„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

შს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
17 თებერვალი, 2003 წელი
№44
(4423)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს.
ფასი 50 თეთრი.

დედაქალაქი

## ვინ ნადირობს შენს თბილისში, ვექო?

რას ჰგავს და რა უბედურებაა-აო! უკანონო მშენებლობები დედაქალაქშიო, მთავარი არქიტექტორიო, მერიაო, — იმდენჯერ მეორდება, იმდენჯერ, რომ აღარ ვაქცევთ ყურადღებას. და ჩაიწურება ამ თებერვალს ხეში ჩამდგარი წყალივით. მაშინაც კი, როცა გამწარებული კაცი იტყვის — ყველა მშენებლობის უკან კორუმპირებული ჩინოვნიკი დგასო, ხელს ჩავიქნევთ: ასე იყო და ასე იქნებაო, ბაბაჯან!

იხ. მე-2 გვ.

თვალსაწიერი

## ომ ერთო, დაიფარე საქართველო!

გასული კვირაც ისეთივე კინკლაობაში, ურთიერთბრალდებებსა და მუშტებზე ყურებაში მიტაატებდა, როგორც მანამდე ბევრი კვირა და თვე. მაგრამ დასრულებით კი მნიშვნელოვანი მოვლენით დასრულდა. ეს საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა გახლდათ, რომელმაც ორი დღე გასტანა.

საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ, მათ შორის ბევრი გამოსვლა ერთობ მძაფრი იყო. ამ ორმა დღემ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ქვეყანა საკმაოდ მძიმე ეკონომიკურ და კრიმინოგენურ მდგომარეობაშია (თუმცა, რა თქმა უნდა, იყო შელამაზების, „მაკიაჟის“ მომენტებიც).



ისიც გამოიკვეთა, რომ სიტყვის თავისუფლებამ ჩვენში მახინჯი ფორმები მიიღო, გადაიქცა ანგარიშსწორების, ერთმანეთის ლანძღვის, ცილისწამების იარაღად და საშუალებად.

იმ დღეს შესვენებისას ვეტერანმა ჟურნალისტმა, რომელიც საბჭოთა პერიოდში რამდენიმე წელი ერთ-ერთ რაიონს ხელმძღვანელობდა, კოლეგებს ასეთი რამ გვიამბო:

— ერთი თავგადაკლული მოწინააღმდეგე მყავდა. მისი საჩივრები ვინ, რა ორგანომ არ შეამოწმა, მაგრამ არა და არა, ვერ დაარწმუნეს, მართალი რომ არ იყო. ბოლოს ასეთი ხერხი მოიგონა: რაიკომის წინ დიდი ნაძვი იდგა, იმაზე ავიდოდა და მლანძღავდა. ასე „ქადაგებდა“ რამდენიმე თვე, ერთ დღეს ჩამოვარდა და კინაღამ სული გააფრთხო. ზოგი ჭირი მარგებელიაო, იმ დღის შემდეგ ხეზე აღარ ასულა. ისე რომ, ყველა თავისით წაიმტვრევს კისერს!

ბატონი გიორგი, როგორც ხვდებით, მთავრობის სხდომაზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის „რევოლუციური“ გამოსვლის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და ეს ამბავიც იმიტომ გაიხსენა, თორემ იმის იმედად ყოფნა, ყველა მისით წაიტეხს კისერსო, ამაოა. ის დრო აღარ არის, როცა გვჯეროდა, რომ „ბოროტსა სძლევდა კეთილი“.

ახლა სხვა დროა, ახლა ძალა სძლევს კეთილსაც და სიკეთესაც საერთოდ. ამ ძალას აღაზევებს და საკმეველს უკმევს ტელევიზია, პრესა. მასმედია არწმუნებს ამ ძალას უძლეველობაში, მოსახლეობას არწმუნებს, რომ ეს სწორედ ასეა.

აი, გამოვიდა იმ დღეს მთავრობის სხდომაზე ბატონი მიხეილ სააკაშვილი და ქვა ქვაზე არ დატოვა. მთელი მისი გამოსვლის „კვინტესენცია“ პრეზიდენტისთვის იმის თქმა გახლდათ, ერთმანეთის კონკურენტები ვართო.

იხ. მე-2 გვ.



ფინანსები

## „ესროლა ბერმა პაპამა“

### და ტყუილად გაისარჯა. რადგან დოლარი და ევრო მარადიული განგოსთვის არიან განწირულნი

იხ. მე-3 გვ.

თვალსაზრისი

## „დაუკრეფავში“ ნუ გადავალთ

### კიდევ ერთხელ ქართული სიმბოლიკის თაობაზე



სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხებზე ჩემი პირველი პუბლიკაცა, რუბრიკით „საზრისი“, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა 1992 წლის მოწვევის პარლამენტის პირველი სესიის გახსნის დღეს.

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს




ბელგიამ შესთავაზა კომპრომისი, რომელიც ნატოს კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმარება: ნატომ უნდა მიიღოს დეკლარაცია, რომელშიც ნათლად აღინიშნება, რომ თურქეთისათვის დახმარება „არ გამოიწვევს ერაყში საომარ ოპერაციაში ნატოს მონაწილეობას“.

ინტერპანორამა

აშასებს რა ომის პერსპექტივას, თურქეთი „ყველაზე უარესი სცენარისთვის ემზადება“. თურქეთის პრემიერის თქმით, მისი თანამემამულენი შეშფოთებული არიან ერაყში მიმდინარე პროცესებით.



ინტერნეტში გაჩნდა ბენ ლადენის ახალი მიმართვა. სპეციალისტთა თქმით, აუდიოჩანაწერი საოცრად გარკვევით ისმინება.



დაახლოებით 600 ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაიმართა მთელს მსოფლიოში. მათში 10 მილიონამდე კაცი მონაწილეობდა. ერაყთან ომის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა ნიუ-იორკშიც, რომელშიც 350 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.




მეცნიერებმა გამოავლინეს გენური მუტაცია, რომელიც შეიძლება იყოს დღეგრძელობის მიზეზი. მათ დაადგინეს, რომ საუკუნეს გადაცილებულ ადამიანებში ასეთი მუტაცია სხვებთან შედარებით ხუთჯერ მეტია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სახელმწიფო

საქართველოს რესპუბლიკა

№ 44, ორშაბათი, 17 თებერვალი, 2003 წელი.

დედაქალაქი

# ვინ ნადირობს შენს თბილისში, ვეჟო?

(პირველი გვერდიდან)

ებრძვიან ვითომ დონ კიხოტელები, ვითომ ქარის წისქვილებს. ანუ არავინ არაფერსაც არ ებრძვის.

სამაგიეროდ ლაპარაკობენ. ორატორობით დაავადებული ორი კაცი ვიცი (თქვენც იცნობთ), „ინფორმაციულ ღრუს“ ალიკაპს რომ ახსნიან და ამაზე რომ ალაპარაკდებიან, ზღვა შრება და ორთქლდება შესაკრებელი წყალთა (საბა).

ლაპარაკობენ, ღაწვებს იხოკენ, ისტერიკაში ვარდებიან.

და ამით მთავრდება ყველაფერი.

მაგრამ დღეს ამათზე არაფერს ვიტყვი: სხვა თემა მაწუხებს და სხვა პრობლემა – საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ობივატელის თემა, გნებავთ, ქალაქელისა, რომელსაც იმდენად შეეზღუდა მოვალეობის გრძნობა, რომ საკუთარი სადარბაზოს სიბინძურე და სიმყრალეც კი ბურკინა ფასოს ხელისუფლების მოსაგვარებელი საქმე ჰგონია!

თავისი – არა!

ხოლო როგორია თბილისის თუნდაც ისეთი პრესტიჟული უბანი, როგორიც ფიქრის გორაა, იმ რაკურსით, სადაც არც მთავარ არქიტექტორს, არც მერიას, არც რომელიმე სხვა ჩინოვნიკურ სტრუქტურას არაფერი ესაქმება, რადგან ჩემი (ჩვენი – მოქალაქეთა) საარსებო სივრცის არასაპარადო მხარეა, პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოზეც კარგად უნდა ჩანდეს.

ჩანდეს, რა!

დახედავს ზოგიერთი ამ ფოტოს და, თუ „თბილწყალკანალს“ მშრალზე არა ვყავართ დასმული, დაიბანს ხელს პილატესავით და საკუთარი სინდისის ემბრიონებს კრუხივით გადაეფარება: – რა ჩემი საქმეა, ქალაქმა მიჰხედოს!

ან, იქნებ, მართლაც ისეა საქმე, რაშიც თბილისელები არც ერთმანეთს ვუტყდებით, არც საკუთარ თავს:

**„მონადირეო ბეჩაო,**
**ჩამოგითოვნა მთანია;**
**ვეჟო, შენ სანადიროში**
**ნადირობდიან სხვანია“.**

ვინ „სხვა“ ნადირობს თბილისში, ვეჟო?

**არმაზ სანებლიძე,**
ავტორის ფოტო.

თვალსაწიერი

# ღმერთო, დაიფარე საქართველო!

(პირველი გვერდიდან)

მერე როგორც „კონკურენტს“ შეეფერება, სულაც „პენალტი“ დაურტყა, სანამ თქვენ არ წახვალთ და თქვენს გუნდს არ წაიყოლებთ, ქვეყანას არაფერი ეშველებაო. და სულ დაავიწყდა მანამდე ნათქვამი, მოდი, ერთმანეთს შევეჯიბროთ დივიდენდების აკრეფაში ხალხის საქმის კეთებითო. თქვა და გაზეთებს მაშინვე ინტერვიუ მისცა, მაქსიმალურად თავშეკავებული ვიყავი, იმიტომ რომ შევარდნაძეს, როგორც პრეზიდენტს, პატივს ვცემო, შევარდნაძის პიროვნებას ოპოზიცია არ უნდა ეხებოდესო.

გაფრენილან, ლუარსაბ!

ვერ დავმალავ, მის მიერ თქმული ზოგიერთი რამ (კორუფციულ ფაქტებზე მოგახსენებთ) აშკარად საყურადღებოდ შეიძლება სჩვენებოდა მსმენელს. ოღონდ არ ვიცი, რამდენად უტყუარია მის მიერ მოტანილი ფაქტები. ეს უნდობლობა იმან დათესა, რომ, როდესაც ასეთი დონის ტრიბუნაზე გამოდიხარ და ასეთი დონის „კომპრომატებს“ დებ იმ ტრიბუნაზე, ყველა პუნქტში მართალი უნდა იყო, ბატონმა მიხეილმა კი თავიდანვე ტყუილი დაახეთქა.

„უმნიშვნელო“, „უბოროტო“, მაგრამ მაინც ტყუილი.

მეო, ამ სხდომაზე სამი მოწვევა გამომიგზავნესო, ასეთ პატივში არასოდეს ვყოფილვარ, მაშინაც კი, როცა თავად ვიყავი მთავრობის წევრიო.

ლუბა ელიაშვილის ტელეპროგრამა „დიალოგში“, უფრო მეტი თქვა, ასე სამგზის რომ არ დაეხიათ ჩემთვის კალთები, იქნებ, სულაც არ მივსულიყავიო, თავიდან აკი არც ვაპირებდი მისვლასო.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ბონდო მძინარაშვილმა მაშინვე დარეკა სტუდიაში, არავითარი სამგზის მიწვევა არ ყოფილა, ჩვეულებრივად, საკრებულოს წევრები მიიწვიეს და გამორჩევით არავინ გამოურჩევიათ, ის კი არა, თვით ბატონმა მიხეილმა გამოიჩინა დაინტერესება, ხომ ნამდვილად ვარ მიწვეული, ხომ არ გამომტოვესო.

ერთიც. იმ დღეს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა „იმპულსურ-ექსპრომტული“ არ ყოფილა, კარგად მომზადებული სვლა გახლდათ, სპეციალურად „ნაგავის“, „ბანდიტის“ საძახებლად ვანო ზოდელავას, ლევან მამალაძის, დარბაზისთვის (ისე, მეორე დღეს ტრიბუნაზე ასულმა ლევან მამალაძემაც არ დააკლო ხელი და სულ მისხალ-მისხალ დაუბრუნა უკან „ბანდიტიც“ და „ნაგავიც“).

ეს სვლა მომავალი არჩევნების შემადგენელი ნაწილია, საშემოდგომო ბატალიების პირველი ბათქია.

ამ ბათქმა ქართულ პოლიტიკურ ატმოსფეროში ახალი მუხტი შეიტანა. უფრო სწორედ, ეს მუხტი კარგა ხანია, არსებობს, მაგრამ იგი, ამიერიდან, როგორც ჩანს, „დომინანტად“ იქცევა. კერძოდ, კამათის, ოპონენტის მიმართ დამოკიდებულების, დიალოგის ფორმად: „მე მირჩევნია ნაგავსაყრელზე ღორებთან წავიდე, ვიდრე ჰალსტუხიან ღორთან დავჯდე“ (ამ „ჰალსტუხიანში“ კონკრეტული პიროვნება მოიაზრება), „გიჟი“, „ყაჩაღი“...

ეს ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ წინ მძიმე დღეები გველის. დაახლოებით ისე მოხდება, ადრე რომ ამბობდნენ – მშვიდობისათვის ბრძოლაში ქვა ქვაზე არ დარჩებაო.

მოდიან დაკოხილი, საჩხუბრად ხელებდაკაპიწებული, ავი ბიჭები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დროქამის ათვლა მათი გამოჩენით იწყება, მანამდე არაფერი ყოფილა, და თუ რამ მაინც ყოფილა, ყველაფერი ამოსაძირკვი და ამოსაშანთავია.

ეს არ იქნება, უბრალოდ, „მამათა და შვილთა ბრძოლა“, „თაობათა ცვლა“, არამედ სხვა რამ – ჭიდილი თვისებრივი ცვლილებისათვის. ოღონდ, ეს თვისებრივი ცვლილება, თუ იგი შესდგა, რამდენად მოუტანს სიკეთეს ქვეყანას, ის კითხვაა, რომელზე ზუსტი პასუხიც არც ერთ მისანს და ნათელმხილველს არ აქვს, რა თქმა უნდა, თვით „ნაციონალებს“, „დემოკრატებს“ და სხვებს არ ვგულისხმობ.

ღმერთო, დაიფარე საქართველო!

**ალეკო ასლანიშვილი.**

კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი ენო არსენიძე.**



## ქვეყნისთვის

– ჩვეული რიტმით ცხოვრობს ქვეყანა – ვშრომობთ, ვიღვწვით... მთავრობის გაფართოებულ სხდომაზეც აღინიშნა, რომ არცთუ კარგი კრიმინოგენური ვითარებაა საქართველოში. ეს ფაქტორი ხშირად შემაშფოთებელ სახეს იძენს იმერეთში, რაზეც ინფორმირებულია ჩვენი მოსახლეობა. ყაჩაღობა, ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვების თავისუფლების ხელყოფა ხომ ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისთვის მიუღებელია?!

## ჩემთვის პირადად

– ძალიან გამახარა ქუთაისის მესვეურთა ერთმა გადაწყვეტილებამ – ჩემი აღზრდილი, ჩემი სტუდენტი და შემდეგ კოლეგაც – ჩვენი სასწავლებლის მუსიკის თეორიის განყოფილების გამგე ქეთევან მამუკელაშვილი ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ვფიქრობ, ეს არა მხოლოდ ამ პიროვნების წარმატებაა, არამედ ჩვენი სასწავლებლისადმი გამოხატული ნდობაც არის. ამდენად, ეს საკადრო გადაწყვეტილება ჩემთვის პირადად ნამდვილად მნიშვნელოვანია.

მსოფლიო შტრიხებში

# გამარჯვებას წინასწარმეტყველებს... დედის მუცლიდან?

**მექსიკის პრეზიდენტის ვისენტე ფოქსის პრეს-სამსახურმა გაავრცელა მთავრობის მეთაურის მომავალი ვაჟიშვილის ულტრახმოვანი გამოკვლევის სურათი, რომელიც თითქოს დედის მუცლიდანვე უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას მამამისსა და მის პოლიტიკურ მომხრეებს.**

**ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე ჩანს, რომ ბავშვი, რომელიც მარტში უნდა დაიბადოს, ხელის თითები გამარჯვების სიმბოლო – ასო V-სავით გაუშლია. ბევრის აზრით, ეს კარგი ნიშანია მისი მამის პარტიისათვის ივლისში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ.**

**ეროვნული მოქმედების პარტიამ (ემპ) ვისენტე ფოქსის წინამძღოლობით 1999 წელს ბოლო მოუღო ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის 70-წლიან მმართველობას. თუმცა ქვეყნის კონგრესში ემპ-ს არ გააჩნია ხმათა უმრავლესობა.**

# „კომუნისტური ქანდაკების“ ახალი სიცოცხლე

**აპრილში დაიწყება საბჭოთა ეპოქის სიმბოლოს – მონუმენტის „მუშა და კოლმეურნე ქალის“ რესტავრაცია. მოქანდაკე ვერა მუხინას ეს ქანდაკება ხომ ყოფილი საბჭოეთის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას სა-**



**მოც წელზე მეტ ხანს ამშვენებდა. ის შეიქმნა 1937 წელს პარიზში მსოფლიო გამოფენაზე საბჭოთა პავილიონისათვის, შემდეგ კი სამშობლოში „გადმოსახლდა“.**

**კვარცხლბეკს უკვე მოხსნეს პირნაკეთობა, ააგეს ხარაჩოები, შემოღობეს. როგორც პრესისათვის მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქის პრეფექტმა ირინა რაბერმა განაცხადა, სამუშაოთა დამთავრების შემდეგ 2005 წლისათვის ქანდაკება აღიმართება 34,5 მეტრის სიმაღლეზე. კვარცხლბეკის შიგნით მოთავსდება მაღაზიები, კვების ობიექტები და ბევრი სხვა რამ, რასაც 66,5 ათასი კვადრატული მეტრი დასჭირდება და 30 მილიონი დოლარი დაჯდება.**

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

რეპლიკა

# hxtdf lfvo.t,b ,bpytcvtybcf fy vjvfdfkb gfhkfvtynfhbcflvb

ძვირფასო მეგობარო,

თუ თქვენ გსურთ გახდეთ ცნობილი ბიზნესმენი ან, კიდევ მეტი – პარლამენტის წევრი, ამთავითვე უნდა შეეგუოთ ერთ აზრს – თქვენ არ იქნებით ის, ვინც ხართ!...

ასე, მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს პრესის ფურცლებიდან შეიძლება შეიტყოთ, რომ მიუხედავად თქვენი წარმატებული ბიზნესისა, თვითონ თურმე არაფერი გიკეთებიათ, წარმატებული კი მაინც თქვენ გქვიათ.

ანუ შენ კი ხარ წარმატებული, მაგრამ შენ არა ხარ შენ!

სწორედ ასეთ მოვლენაზე იხუმრეს გენიალურად, როცა „დათა თუთაშხიას“ ავტორის ვინაობაში ჭორთუხუცესებმა ეჭვი შეიტანეს – „დათა თუთაშხია“ კია ჭაბუა ამირეჯიბის დაწერილი, მაგრამ თვითონ ჭაბუა ამირეჯიბი არ არის ჭაბუა ამირეჯიბიო...

კიდევ უარესი, სხვისთვის მშვენიერ ერთ საღამოს სულ ადვილი შესაძლებელია, ცისფერი ეკრანიდან გაუწყოთ ყვითელი პრესის რეკლამამ, რომ თურმე საკუთარი შვილების გარდა, სხვათა ბაიების მშობელიც ყოფილხარ.



ამ ერთობ სასიამოვნო ინფორმაციის მიუხედავად, თუ ბაიას დედასთან გატარებული სასიამოვნო პროცესი არც გახსენდებათ, მაშინ თქვენ უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ თქვენ არ ხართ ის, ვინც ხართ!...

სხვათა შორის, ამგვარ მოვლენაზე ხუმრობს მარკ ტვენი:

მოქალაქე ფ-მ პარლამენტარობა, ანუ ცნობილ კაცად გახდომა გადაწყვიტა, სხვა დანაშაული მას არ ჩაუდენია. ატყდა და რა ატყდა. კონკურენტებმა ერთ გაზეთში – ეგ ის არ არის, ინდოეთში (ინდოეთში ნამყოფი არც იყო) ხალხს რომ მონებივით აწამებდაო?!

მეორე გაზეთმა – ეგ ამა და იმ შესაძლებლობებით არასრულყოფილი, ეგაო.

იგივე გაზეთმა არაიმავე ნომერში – ეგ სექსუალური მანიაკი, ქალწულებს რომ ცხვირსახოცებივით იცვლისო.

ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს კი ამ და სხვა პუბლიკაციებს ბეჭედიც ზედ დაუსართეს – ის იყო ცნობილობის კანდიდატს სიტყვა უნდა წარმოეთქვა, რომ რამდენიმე უპატრონო ბავშვი, ზოგი სირბილით, ზოგი სიარულით, ზოგი ბობღვით, ზოგი მულატი, ზოგი ყვითელკანიანი და ზოგიც თეთრკანიანი გნიასით ფეხზე შემოეხვია – მამი, მამი, დაგვიბრუნდიო...

ჩამოვიდა ტრიბუნიდან გაოგნებული კანდიდატი და უკან აღარც მიბრუნებულა.

დარჩა არაცნობილად და აღარც არავის შეუწუხებია.

ძვირფასო დამწყებო ბიზნესმენო, ანთუ მომავალო პარლამენტარო, არჩევანი შენზეა: ან დარჩი შეუმჩნეველი და დადექ ჩრდილში, ან იშრომე და გახდი წარმატებული, მაგრამ იმთავითვე შეეგუე ერთ აზრს – შენ არ იქნები ის, ვინც ხარ!

მაშ, ვინ იქნები?

რა ვიცი, შენი მოშურნენი რას გადაგიწყვეტენ!...

პატივისცემით,
**ზაზა ოძუაშვილი.**

პარლამენტის წევრი, სამწუხაროდ, წარმატებული ბიზნესმენი.

ამა და ამ წლის ესა და ეს რიცხვი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფინანსები

# „ესროლა ბერმა კაკამა“

## და ტყუილად გაისარჯა, რადგან დოლარი და ევრო მარადიული ტანგოსთვის არიან განწირულნი

რა დაემართა დოლარს? რატომ აჯობა ევრომ? არ შეიძლება, ეს კითხვები არ აწუხებდეს (ცხადია, მეტ-ნაკლებად) ყველას, ვისაც შეხების წერტილები აქვს ვალუტასთან, თუნდაც ყოფითს დონეზე: რომელს ვენდოთ? რომელი დავაგროვოთ შავი დღისათვის?

ცნობილია, რომ პრეზიდენტ კლინტონის მმართველობის ხანაში დოლარი არაჩვეულებრივად გამყარდა, პრეზიდენტ ბუშის ეპოქაში შესუსტდა. ნიშნავს ეს, რომ კლინტონი წარმატებულ ფინანსურ პოლიტიკას განახორციელებდა, ბუში კი სუსტსა და უგერგილოს?

ჩვენი ობივატელის ლოგიკა ამ მარტივ დეფინიციას უმაღლეს ჭეშმარიტებად მიიჩნევს და ძნელად თუ გადააჯერებ, რომ ასე არ არის.



მაგრამ ასე არ არის.

ამერიკის ეკონომიკა იმდენად ძლიერია, და, ამასთან, კერძოა, რომ ვერც ერთი პრეზიდენტის ცხვირის დაცემინებისგან გრიპს ვერ აიკიდებს და ვერ დაავადდება, — მიიჩნევენ ამ საქმის პროფესიონალები.

მაშ რა მოხდა?

მოხდა ჩვეულებრივი და ლოგიკური ჩანაცვლება: აღმავლობას დაქვეითება მოჰყვა. მართალია, ეს დებულება ისე მარტივი არ არის, როგორც აღმართისა და დაღმართის მუდმივი თანაფარდობა, მაგრამ არცთუ შორსა დგას ამისგან.

ღარიბი საქართველოდან უთუოდ ძნელია ამის გაგება, რაც მდიდარი ამერიკის საზოგადოებრივ შეგნებაში ხდება, მაგრამ, მოდით, შევეცადოთ დილეტანტის დონეზე მაინც გავერკვეთ.

ბუში ახალი მისული იყო თეთრ სახლში, როცა კორპორაციული სკანდალები აგორდა აშშ-ში და დაიწყო დაქვეითება.

რას ნიშნავდა ეს ამერიკელებისთვის?

საქმეში ჩახედული სპეციალისტების აზრით, ეს სკანდალები ნიშნავდა, რომ მათ, ამერიკელებს, ოცნება წაართვეს! ისინი ხომ დარწმუნებულნი იყვნენ და მთელს მსოფლიოშიც ქადაგებდნენ, რომ ქმნიდნენ პატიოსან ეკონომიკას, ანუ პატიოსნად ქმნიდნენ ეკონომიკას! აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არ არის.

ეს მეხის გავარდნასავით იყო სანიმუშო საბაზრო ეკონომიკის მოწმენდილ ცაზე, მათს თავმოყვარეობაზეც მტკივნეულად იმოქმედა.

და, რა თქმა უნდა, დოლარიც ჩოქბჯენში გადაიყვანა. მაგრამ ორთაბრძოლა ჯერ წაგებული არ არის, თუმცა, დამოუკიდებელი ექსპერტები სერიოზულად აკრიტიკებენ ბუშის ანტიკრიზისულ პროგრამას.

ასეა თუ ისე, დღეისთვის ევრომ დოლარი დაჯაბნა. მაგრამ იგივე ექსპერტები გვიმტკიცებენ, რომ „კულბიტი გამეორდება, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით“. დოლარი მაშინაც კი ვერ დაკარგავს თავის ფასსა და ღირებულებას, თვით ამერიკამაც რომ მოინდომოს ამის გაკეთება, რადგან თქვენც ხვდებით, რომ მთელი მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც დოლარით იმართება, ამას არ დაუშვებს.



რატომ არ დაუშვებს? იმიტომ, რომ ეს მისთვის წამგებიანი იქნება.

ადრე თუ გვიან, დოლარი თავის პოზიციას დაიბრუნებს და, აქ უნდა დავესესხოთ ცნობილი ფინანსისტისა და ეკონომისტის ალექსანდრე ლიფშიცის შესანიშნავ ხატოვან გამოთქმას: „ევროსა და დოლარის კურსები — ეს არის ორთა მარადიული ტანგო. ისინი ერთმანეთის მხარდასაჭერად არიან განწირულნი“.

აქ კიდევ ერთი, მერკანტილური მომენტიც იჩენს თავს: ევროპელებისთვის ძალიან ძვირფასი ევრო სრულიადაც არ არის ხელსაყრელი. მათ მიერ წარმოებული საქონელი ამის გამო გაძვირდება, და, სავსებით ბუნებრივია, აღარ გაიყიდება, რადგან მათთვის გაცილებით მომგებიანი იქნება იყიდონ აშშ-ში დამზადებული იაფი მოხმარების საგნები.

ხოლო ამერიკელებს სერიოზულად არც უგრძვნიათ დოლარის კურსის დაქვეითება, ან, უფრო ზუსტად, ნაკლებად იგრძნეს ეს ცვალებადობა, რადგან ქვეყნის შიგნით ფასები სტაბილური დარჩა. ევროპაში კი — პირიქით, ძალიან შეშფოთებულები არიან — ევროს შემოღებით ფასებმა აიწია.

კიდევ ერთი ასპექტი: ერაყთან მოსალოდნელი ომი, ნავთობის გაიაფების პერსპექტივა და დეფოლტის შესაძლებლობა რუსეთში, რომელმაც თავის დროზე უაღრესად უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე.

სპეციალისტებს არ მიაჩნიათ, რომ ნავთობი მკვეთრად გაიაფდება. სადღეისოდ მისი ფასია ბარელი 30 დოლარი. 1998 წელს, დეფოლტის წელს, ნავთობს დღევანდელი ფასი რომ ჰქონოდა, არავითარი დეფოლტი არ იქნებოდა. ვარაუდობენ, რომ არც ამჟამად იქნება, ამ წლის განმავლობაში — ნამდვილად არა.

და ბოლოს:

ინგლისური ფუნტი ყოველთვის დოლარზე ძვირი იყო, მაგრამ არავინ არასდროს არ შეწუხებულა პრობლემით — როდის მოერევა დოლარი ფუნტს? ნებისმიერი ვალუტის კურსი ქვეყნის ეკონომიკაზე არის დამოკიდებული. ყველა სიძნელე, რომელიც დღეს ევროპასა და ამერიკაში არის, დროებითია.

ამიტომ შეჯიბრი — ვინ ვის? — საერთოდ უადგილოდ ჩანს ვალუტასთან მიმართებაში: როგორც ზემოთ ითქვა, ისინი მარადიულ ტანგოს ერთად ცეკვავენ.

### სამი ძირითადი მოვლენა, რომელთაც ბოლო ორ კვირაში გავლენა იქონიეს ვალუტის კურსზე

1. ჯორჯ ბუშისა და კოლინ პაუელის განცხადებები ერაყის შესახებ.
2. მსოფლიო ფასების ზრდა ნავთობზე.
3. რუსეთის ბანკის განცხადება ქვეყნის რეზერვებში ევროს წილის ზრდის შესახებ.

### სამი ძირითადი მოვლენა, რომლებიც იმოქმედებენ ვალუტის კურსზე მომავალი ორი კვირის მანძილზე

1. ერაყში ომის დაწყების მოლოდინი.
2. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე შექმნილი სიტუაცია.
3. მოხსენება აშშ-ში უმუშევრობისა და შრომის ნაყოფიერების შემცირების შესახებ.

თვალსაზრისი

# „დაუკრეფავში“ ნუ გადავალთ

## კიდევ ერთხელ ქართული სიმბოლიკის თაობაზე

(პირველი გვერდიდან)

პარლამენტს ვთხოვდი პირველსავე სესიაზე დაეყენებინა საკითხი სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლის თაობაზე. ვთავაზობდი წინადადებას — უარი გვეთქვა „სამფეროვან დროშაზე“, აღგვედგინა ბაგრატიონთა გერბი და ჰიმნად მიგვეღო კოტე ფოცხვერაშვილის „სამშობლო“. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, მრავალმა წყალმა ჩაიარა...

რადგან ბოლო დროს საკმაო ხმაური ატყდა სახელმწიფო სიმბოლიკის თაობაზე, მსურს კიდევ ერთხელ შევეხო ამ საკითხს.

ხუთჯვრიანი დროშის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გახშირდა ხაზგასმა იმისა, რომ ეს დროშა კათოლიკურია. თითქოს ამ დროშის „კათოლიკური წარმომავლობა“ იყოს მისი უარყოფის საფუძველი. ნუ გვავიწყდება, რომ „დასავლეთი“, საითკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ეს იგივე „კათოლიკური სამყაროა“, და **ამ დროშას ჩვენ მისი „კათოლიკურობის“ გამო კი არ ვიწუნებთ, არამედ იმის გამო, რომ სხვისია, ჩვენი არ არის. სხვისი საკუთრების მითვისება კი ქურდობაა, საძრახისი საქციელია.**

მოითხოვენ ერთჯვარიან დროშას. ამ საქმეში ცოტა არ იყოს, დაგვაგვიანდა. ერთი ჯვარია გამოხატული ფინურ დროშაზე, ბერძნულ დროშაზე, შვედურ დროშაზე (თუმცა ის ჯვრის მსგავსი „გეომეტრიული ფიგურა“ უფროა, ვიდრე ჯვარი). ჩვენ რა პოზიციაში უნდა გამოვხატოთ ერთი ჯვარი? შეიძლებოდა ეგრეთ წოდებული „ბოლნისური ჯვრის“ გამოყენება, თუკი ერთჯვრიანი დროშა ყველასათვის მისაღები ვარიანტი აღმოჩნდება. მაგრამ, შვედური ჯვრისა არ იყოს, იგიც ნაკლებად ჰგავს ჯვარს. ჯვრის ვერტიკალური ნაწილი, გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით გრძელი უნდა იყოს, ვიდრე ჰორიზონტული ნაწილი, მასზე კი ყოველი მონაკვეთი თანაბარი ზომისაა.

შესაძლოა, დროშაზე წმინდა ნინოს ჯვრის გამოსახვა მოისურვონ. ჯვრის ამგვარი გამოხატულება ხომ მსოფლიოში ჩვენს გარდა არავისა აქვს. მაგრამ ჯერ ეს ვიკითხოთ: რა ჯვარია ეს, და არის კი ეს საერთოდ „ჯვარი“? დამაფიქრებლად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ჯვრის ამგვარი გამოხატულების გამო (არა აქვს მნიშვნელობა იმას, დროშაზე იქნება ის გამოსახული თუ არა), — სექტანტებად არ ჩაგვთვალონ. ჩვენი ჯვარი რაღაც „ახალი სიტყვაა“ ქრისტიანულ სამყაროში. ჯვრის ჰორიზონტული ნაწილი (ნაწილები!) — ჩამოკვეცილია. ეს არის ისარი (იგი შეიძლება თვითმფრინავსაც გაგონებდეთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ჯვარს). მერედა, დასაშვებია ასეთი ჯვარი? ნუ გგონიათ, თითქოს საქართველოში ყოველთვის ამგვარად წარმოედგინათ „ნინოს ჯვარი“. არა, ეს სულ ბოლოდროინდელი, ჩვენი მხატვრების ფანტაზიის ნაყოფია, მას არაფერი აქვს საერთო — „ჯვართან“. გადმოცემით ვიცით, რომ ნინოს ჯვარი ვაზის ორი შტოსაგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთთან ნინოს თმებით იყო შეკრული. ვაზის რტოები რომ „ლარივით სწორი“ არ იქნებოდა, ეს ცხადია, მაგრამ ჰორიზონტული ნაწილი რატომ უნდა იყოს ასეთი „სამკუთხა“? მითუმეტეს, რომ ვერტიკალური ნაწილი ზედმიწევნით სწორია (რა, ეს ნაწილი არ იყო ვაზისა?). ჰორიზონტული ნაწილი ნალისებური მოყვანილობის მაინც რომ იყოს, კიდევ არაფერი, მაგრამ ამგვარი სამკუთხა — ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა! იგი შუაში გადატეხილსა ჰგავს (ნალისებური მოყვანილობისა რომც ყოფილიყო ჯვრის ჰორიზონტული ნაწილი, რატომ უნდა იყოს ის მაინცდამაინც ქვემოთ დახრილი, ჩამოშვებული და არა ზემოთ აღმართული?). ვის შეგიძლიათ აუხსნათ და ვინ დაგიჯერებთ, რომ ვაზის ორი შტოს შეკვრა — ამგვარ ჯვარს მოგვცემს? ამგვარ „ჯვარს“ რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

XIX საუკუნეში გაგარინმა დახატა წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში; ჯვრის ჰორიზონტული ნაწილი ოდნავ მორკალულია. შემდგომში, როგორც ჩანს, მისმა ნახატმა „ტრანსფორმაცია“ განიცადა: მივიღეთ ვერტიკალურ მონაკვეთზე მიმაგრებული, გაშლილი „ფარგლის“ მაგვარი რამ.

როგორც იტყვიან, სიტყვამ მოიტანა და აქ ამ საკითხსაც შევეხე, თუმცა მას სახელმწიფოს სიმბოლიკასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ „ქრისტიანული სიმბოლიკის საკითხი“ უყურადღებოდ დასატოვებელი არ არის.

მივუბრუნდეთ დროშას.

არ არსებობს ყოფიერების არც ერთი სფერო, რისთვისაც ყურადღება არ მიეპყროს ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარეს, სამყაროს ერთ-ერთ საოცრებას შოთა რუსთაველს. გასაკვირი იქნებოდა „ვეფხისტყაოსანში“ დროშა რომ არ იყოს ნახსენები. ნახსენებია და თანაც რამდენჯერმე.

იხ. მე-5 გვ.

სიახლე

# ახალი ასოციაცია

**ამ დღეებში თბილისში ოფიციალურად გატარდა რეგისტრაციაში ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ასოციაცია.**

საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოში 299 ლიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი მოქმედებს, აქედან 198 თბილისშია განთავსებული.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ასოციაციის წესდების თანახმად, კავშირის წევრობა სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ ლიცენზირებულ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელს შეუძლია.

ახლადდარსებული ასოციაციის თავმჯდომარეს თემურ მახარაძესა და კავშირის სხვა წევრებს პირველი შეხვედრა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან ივანე ვახტანგიშვილთან და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსთან მზია ტყეშელაშვილთან ჰქონდათ.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ასოციაციამ ეროვნულ ბანკს, როგორც აღნიშნული სფეროს ზედამხედველ ორგანოს, წარუდგინა იმ მტკივნეული საკითხების ნუსხა, რაც ამ ბიზნესში დასაქმებულ პირებს აწუხებთ. ამასთან, დაისვა საკითხი, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო მათი მოსაზრებები.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა სავალუტო პუნქტების მიერ კლიენტების მოტყუებისა და არაკეთილსინდისიერი მომსახურების ფაქტებმა. შესაბამისად, საგრძნობლად შეირყა ნდობა სავალუტო პუნქტების მიმართ. ეროვნულ ბანკში შეხვედრაზე განსაკუთრებულად გაესვა ხაზი არაკეთილსინდისიერი ბიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში ასოციაციის შექმნის საჭიროებას, სებ-ის ნორმატიული დაცვისა და შესრულების აუცილებლობას ფართის შესაბამისობის, გამართული ტექნიკით აღჭურვილობის თუ სხვა საკითხებში, რადგან წესრიგს ნაღდი ვალუტით ვაჭრობის ამ სეგმენტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების მასშტაბებს და, ზოგადად, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში. გამოითქვა რწმენა, რომ ასოციაციის საქმიანობა ეფექტიანი იქნება და ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის შეთავაზებული სერვისის ამაღლებას და ვალუტის კონვერტაციის პროცესში მათი უსაფრთხოების მაქსიმალურ უზრუნველყოფას.

ეკა ლეჟავა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### ეს იყო

# სისხლის წვიმები აჭარაში

## პოლიტიკური რეპრესიები XX ს. 30-იან წლებში

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, სისტემატურად იყენებდა იძულების მეთოდებს, ფიზიკურ ანგარიშსწორებას, კომუნისტები არ ინდობდნენ ერთპარტიელებსაც, რომლებსაც განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ქვეყანაში არსებული პრობლემების შესახებ.

1934 წლის დეკემბერში სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ე. წ. „ხალხის მტრების“ მიმართ სისრულეში უნდა მოყვანილიყო მისი მიღებისთანავე. ამნაირი განაჩენი კასაციას აღარ ექვემდებარებოდა. ცხადია, ეს ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ადამიანთა უფლებებს, რაც კონსტიტუციით იყო აღიარებული, არაფრად თვლიდა. ამ უფლებების კონსტიტუციით აღიარება მოჩვენებით და ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები განხორციელდა 1937-1938 წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ სოციალიზმი, როგორც ახალი წესწყობილება, გამარჯვებულად გამოცხადდა, თითქოსდა იგი ძირითადად აშენდა.

სსრ კავშირში განუზომელი უფლებები მიანიჭეს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამსახურებს. იმპერიაში ჩამოყალიბდა უშიშროების სამსახურის აგენტების ფართო ქსელი, რომლებშიც ჩააბეს ზნეობრივად გადაგვარებული ადამიანები, ეგოისტები და კარიერისტები. მათ სახელმწიფო იყენებდა ოპოზიციონერთა და უბრალო ადამიანების წინააღმდეგ ყალბი „საქმეების“ შესათითხნად. საგულისხმოა, რომ 1937-1938 წლებში აჭარაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ შეთითხნილი იყო 400 ათასი ყალბი საქმე იარლიყით: „ანტისოვეტჩიკი“, „ტერორისტი“, „მავნებელი“, „შპიონი“, „კონტრრევოლუციონერი“ და სხვა. ეს მაშინ, როდესაც აჭარის მოსახლეობა 1939 წლის 1-ლი იანვრის აღწერით 200,1 ათას კაცს შეადგენდა. გამოდის, რომ ერთსა და იმავე მოქალაქეზე რამდენჯერმე იყო შედგენილი ყალბი „მაკომპრომეტირებელი“ მასალები.

ასეთი დიდი რაოდენობით მაკომპრომეტირებელი მასალების შეთითხნა აიხსნება შემდეგი გარემოებით: უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები ამ „წარმატებული“ საქმიანობით ჩინ-მედლებს იღებდნენ, მათ არ ჰქონდათ პროფესიული ცოდნა, ზოგადი განათლება და კულტურა, ვერ ფლობდნენ ადამიანებთან მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, მოკლებული იყვნენ პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარს. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ 1956 წელს, როდესაც 30-40-იანი წლების რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა დაიწყო, აჭარის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან დაითხოვეს 42 მუშაკი, როგორც უვარგისები.

სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღების არეალში იყო მოქცეული აჭარა, რამდენადაც იგი საზღვრისპირა რეგიონი იყო და აქაური მოსახლეობა სამი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა ოსმალთა ბატონობაში. ამიტომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები უსაფუძვლოდ ეჭვობდნენ აჭარლების პოლიტიკურ არასაიმედობაში და ხშირ შემთხვევაში მათ აბრალებდნენ უცხო სახელმწიფოს, კერძოდ, თურქეთის სასარგებლოდ აგენტობას.

სწორედ ამიტომ კიდევ მეტი თავგამოდებით საქმიანობდნენ ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები აჭარაში „ტროცკისტების“, „კონტრრევოლუციონერების“, „ხალხის მტრების“, „სამშობლოს მოღალატეების“ გამოსავლინებლად და ლიკვიდაციისათვის. აჭარის მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მაღალი თანამდებობის პირები მ. სტეპანოვი და ბ. ქობულოვი. სწორედ მათი მითითებით აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შეიქმნა კარცერები და სპეციალური ოთახები, სადაც პატიმრებზე უსაშინლეს და არაადამიანურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ.

აჭარაში პოლიტიკური რეპრესიების განხორციელებაში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჯინჯოლია, უშიშროების სამსახურის მუშაკები მ. კუკუტარია, ნ. მატუა და სხვები. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 22 ივლისის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდა მ. კალინინი, გ. ჯინჯოლია და მ. კუკუტარია



წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს „მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა სანიმუშო და თავგამოდებით შესრულებისათვის“.

1937 წლის პირველ ნახევარში აჭარაში სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს საფინანსო, სამეურნეო და სავაჭრო დარგის, განათლებისა და კულტურის მუშაკების ერთი ნაწილი. მათ შორის იყო ხულოს პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი ა. დარჩია, ორთაბათუმის (ხელვაჩაურის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ნიკოლაიშვილი, ქ. ბათუმისა და ხულოს რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები ი. ხუციშვილი და კ. ჭეიშვილი, მასწავლებლები გიორგაძე (ხელვაჩაურის არასრული საშუალო სკოლა), ვ. ბენდელიანი (ხულოს რაიონი). ისინი ტროცკისტებად მონათლეს, თითქოს არაობიექტურად აფასებდნენ მოსწავლეთა ცოდნას და არასწორად არჩევდნენ კადრებს, უტაქტოდ და უხეშად ეპყრობოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას.

დააპატიმრეს, აგრეთვე, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დ. ლორთქიფანიძე, მთავარი აგრონომი ნ. ებანოიძე. ისინი „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად“ მონათლეს იმის გამო, რომ შეუღლობავი იყო მეურნეობის ტერიტორია, რის გამო თურმე პირუტყვმა გაანადგურა ჩაის პლანტაცია, მექანიკურად ამცირებდნენ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმას, მუშებს გამოუყვეს საბოსტნე ნაკვეთები და დაეხმარნენ შინაური ცხოველების მოშენებაში და სხვა. ასეთი აბსურდული ბრალდებით ისინი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად იქცნენ.

„ხალხის მტრის“ ბრალდებით დააპატიმრეს ქ. ბათუმის საფინანსო განყოფილების გამგე ვ. თავდუმაძე, კახაბრის (ხელვაჩაურის რაიონი) სასოფლო კოოპერატივის თავმჯდომარე სიხარულიძე. ამ უკანასკნელის ბრალდება ის იყო, რომ იგი თითქოსდა აფერხებდა საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას და ა. შ. „ტროცკისტ-კონტრრევოლუციონერის“ ბრალდებით დააპატიმრეს ქ. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, მთავარნავთობგასაღების ბაზის და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ ქ. ბათუმში მოაწყო განათლებისა და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების აქტივის კრებების, საწარმოებში ხალხმრავალი მიტინგების ინსცენირება, სადაც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ქცეულ უდანაშაულო ადამიანებს ამკობდნენ უსაშინლესი ეპითეტებით: „ტროცკისტ ფაშისტთა არამზადები“, „სამგზის საზიზღარი ტროცკისტები დივერსანტები“, „ხალხის მტრები“, „საზიზღარი ქვეწარმავლები“, „ფაშიზმის ქოფაკთა ხროვა“, „შხამიანი გველები“, „გათახსირებულები“, „გველის წიწილები“ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ლორთქიფანიძე, რომელიც შემდგომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ბათუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე (1937 წლის აპრილი) და საქართველოს კპ (ბ) აჭარის XVI საოლქო კონფერენციაზე (1937 წლის 9-13 მაისი) ლაპარაკობდა პოლიტიკური სიფხიზლის შესუსტებაზე, იმის შესახებ, რომ აჭარაში დროულად ვერ გამოავლინეს „კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები“, „ხალხის მტრები“. თურმე ისინი ყოფილან სოფლად კულაკების სახით, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და სხვა საწარმოებში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელს, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს (ეს ორი ორგანო 1930 წელს გაერთიანდა) ვერ წარმოედგინა, რომ მას და მის თანაგუნდელებს შემზარავ განაჩენს უმზადებდნენ. ვერ წარმოედგინა იმიტომაც, რომ იგი არ მონაწილეობდა არც ერთ ოპოზიციურ დაჯგუფებაში.

და მოულოდნელად ზ. ლორთქიფანიძე, აჭარის პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელთა ნაწილი 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს. სასჯელები ასევე წინასწარ იყო გამზადებული. ამიტომ დაკითხვებს აწყობდნენ შხამიანი გველებისა და სხვა არაადამიანური, შემზარავი საშუალებების გამოყენებით. ამ გზით აღწევდნენ მათთვის მისაღები და სასურველი ჩვენებების მიღებას. ამისათვის საზოგადოებრივ აზრსაც მკაცრად ამზადებდნენ. ზ. ლორთქიფანიძისა და მისი გუნდის დაპატიმრებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ საქართველოს კპ (ბ) ბათუმის საქალაქო აქტივის კრებამ ე. წ. „პროლეტარული სასამართლოსაგან“ მოითხოვა მათ მიმართ უმაღლესი სასჯელის გამოყენება.

აქედან მოყოლებული. ე. ი. 1937 წლის მეორე ნახევრიდან აჭარაში იწყება მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები. ეს პროცესი გაგრძელდა 1940 წლამდე. მაგრამ მასობრივი ხასიათი ჰქონდა 1937-1938 წლებში. განუკითხავად აპატიმრებდნენ არა მარტო პარტიულ, სახელმწიფო, სამხედრო, სამეურნეო, განათლების, კულტურისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, არამედ აგრეთვე უბრალო რიგით ადამიანებს, რომლებსაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ პოლიტიკაზე. აჭარაში სამშობლოს ღალატის ბრალდებით 1937-1938 წლებში დააპატიმრეს 11 ათასი კაცი. მათგან 4 ათასი უდანაშაულო ადამიანი მაშინვე სიკვდილით დასაჯეს. მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით აჭარაში პოლიტიკურ რეპრესირებულთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მთლიანად საქართველოში. როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი სიტუაცია განპირობებული იყო ამ მხარეში ოსმალების ხანგრძლივი ბატონობით. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი ხელმძღვანელი, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები აჭარის მკვიდრ მოსახლეობაში მეტწილად მტრის ხატს ხედავდნენ. მათ ჯაშუშად, კონტრაბანდისტად, მოაჯანყედ, ტერორისტად, აგენტად ნათლავდნენ.

იხ. მე-6 გვ.

### ჩვენი სიმდიდრე

# ზუგდიდის მუზეუმი — ერის კულტურის საგანძურის მცველი

**ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ის ეროვნული საგანძურის სიმდიდრითა და კოლექციების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ მუზეუმს საფუძველი ჩაუყარა სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა XIX საუკუნის 40-იან წლებში თავის ზუგდიდის სასახლეში. დადიანებისა და მიურატების კულტურულ-მატერიალური მემკვიდრეობის ბაზაზე 1921 წელს დაფუძნდა ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, რომელიც 1989 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედის. მუზეუმის ყველაზე ხანდაზმული ექსპონატი (ანაკლიის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარი) დაახლოებით 4000 წლისაა.**

**ამ კულტურული კერის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, პროფესორი გონელი არახამია.**

— სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი, რომლის შემადგენლობაში სხვა სამეცნიერო უჯრედებთან ერთად შემოდის ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული კერები, როგორიცაა ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი და ბოტანიკური ბაღი, ერთ-ერთი მსხვილი მრავალდარგოვანი აკადემიური დაწესებულებაა ქვეყანაში, — ამბობს ბატონი გონელი. — სამეცნიერო ცენტრი კოორდინაციას უწევს რეგიონში მოქმედ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია ამგვარი ამოცანების გადასაჭრელად, ბუნებრივია, მოითხოვს მყარ ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მაგრამ რეალური მდგომარეობა შორსაა სასურველისგან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაძლებლობები ამ მხრივ, გამომდინარე საერთო ეკონომიკური სიტუაციიდან, უაღრესად შეზღუდულია. თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი, როგორიცაა ხელფასის დროული დაფინანსება, მოგვარებულია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ძირითადად სპონსორები გვეხმარებიან.

**— კონკრეტულად რა დახმარებას გიწევენ სპონსორები, ვინ არიან ისინი?**

— სასიკეთო საქმე გააკეთა მუზეუმისთვის კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა, რომელსაც პროფ. დ. ნინიძე ხელმძღვანელობს. მუზეუმის კორპუსის (დედოფლისეული სასახლის) პირველი სართულის რესტავრაცია ამ ფონდის სახსრებით მოხერხდა. თუმცა ფართო საზოგადოება ამის შესახებ ნაკლებად არის ინფორმირებული. შემდეგი, ვინც დახმარების ხელი გამოგვიწოდა, იყო პოლიტიკური მოძრაობა „ახალი მემარჯვენეები“. გასული წლის მაისში ეროვნულ გალერეაში ზუგდიდის მუზეუმის საკმაოდ გახმაურებული გამოფენა და ბრწყინვალე კატალოგის გამოცემა მათ დააფინანსეს. მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული ღია ამფითეატრის სარემონტო სამუშაოებისა და მიმდებარე სკვერის მოწესრიგებისათვის საჭირო ფინანსები კომპანია „უშბას“ პრეზიდენტმა გ. ფიფიამ გაიღო. მანვე შეიძინა კერძო პირისაგან XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, „ქართველთ ცხოვრების“ ავტორის ნიკო დადიანის (დიდი ნიკო) საბეჭდავი და შემოსწირა მუზეუმს.

— საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება მუზეუმის ერთ-ერთი კორპუსი („ნიკოსეული“ სასახლე) აშენებული XIX საუკუნის 90-იან წლებში. ამ სასახლის სახურავიდან წლების მანძილზე წყალი ჩამოდიოდა. ამას ზედ დაერთო ის, რომ 80-იან წლებში ეზოში აუზის მშენებლობის დროს ძველი დრენაჟის სისტემა დაზიანდა და სასახლის სარდაფები წყლით აივსო. მართალია, 1989 წელს დრენაჟი აღვადგინეთ და სარდაფები წყლისაგან დაიწრიტა, მაგრამ ამ „წყალდიდობამ“ თავისი გამოუსწორებელი კვალი მაინც დატოვა: შენობის კედლები მთლიანად დანესტიანდა. ამ რამდენიმე თვის წინათ ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა როცა მუზეუმისა და ბოტანიკური ბაღის სავალალო მდგომარეობა იხილა, სურვილი გამოთქვა საკუთარ თავზე აეღო მათი გადარჩენისათვის საჭირო სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფა და სიტყვა საქმედ აქცია: უკვე მიმდინარეობს სასახლის სახურავის კაპიტალური შეკეთება.

ძნელია მოინახოს სიტყვები, იმ მადლიერების გამოსახატავად, ეს პიროვნებები რომ იმსახურებენ. თუმცა, დიდი საქმე თავისთავადაც მეტყველებს.

არ შემიძლია ორიოდ სიტყვით არ შევეხო ამ მართლაც დიდი საქმეების თანმხლებ სამწუხარო გაუგებრობებს. „ახალმა მემარჯვენეებმა“ მუზეუმისადმი თანადგომა რომ გამოხატეს, ამას ერთი ვაიუშველებელი მოჰყვა. პოლიტიკური ძალები მუზეუმის ხელმძღვანელობას ბრალს დებდნენ იმაში, რომ ის „შეეკრა“ ერთ პოლიტიკურ მოძრაობას მისთვის რეკლამის გაწევის მიზნით და ადგილობრივი არჩევნების წინ სხვა პარტიები იჩაგრებიან. ეს პირველი შემოტევა, როგორც იქნა გადავიტანეთ, გამოფენა მოვაწყვეთ და ყველამ დაინახა, რომ კარგი საქმე გაკეთდა. შემდეგ იყო ბრალდება მუზეუმის ხელმძღვანელობის მიმართ: თითქოს დაირღვა „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, ვინაიდან მუზეუმის ტერიტორიაზე, ძეგლის დაცვის ზონაში სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმების გარეშე ჩატარდაო. არადა, ეს ყველაფერი არის „ქარიშხალი ჭიქა წყალში“. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ საკითხის იურიდიულ მხარეს, კერძოდ იმას, რომ დაცვის ზონა გააჩნია ობიექტს, რომელსაც აქვს უძრავი ძეგლის სტატუსი. ასეთი სტატუსის მინიჭება ხდება კანონის შესაბამისად, სახელდობრ, დგება ექსპერტების დასკვნა, ამ დასკვნას იხილავენ კულტურის და მშენებლობის სამინისტროები და ოფიციალურად ობიექტს ენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი და შესაბამისად შეიტანება ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში. ამის შემდეგ დგინდება და მტკიცდება უძრავი ძეგლის დამცავი ზონა, სადაც ვრცელდება კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ფაქტია, რომ დადიანების სასახლეებს უძრავი ძეგლის სტატუსი დღეის მდგომარეობით არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება.

იხ. მე-7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თვალსაზრისი

# „დაუკრეფავში“ ნუ გადავალთ

## კიდევ ერთხელ ქართული სიმბოლიკის თაობაზე

(მესამე გვერდიდან)

ეს ყველამ ვიცით. საჭიროების შემთხვევაში ვიმოწმებთ კიდეც, მაგრამ რატომღაც არავინ ცდილობს ხორცი შეასხას ჩვენი დიდი წინაპრის ნააზრევს. მისი ნააზრევი ჩვენ ერთხელ უკვე გამოგვადგა, როცა ფულის ნიშნების შემოღება დაგვჭირდა. „ლარი“ ხომ დიდებულად დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში, თითქოსდა ოდე-



სმე მართლაც „ლარი“ რქმეოდა ფულის ერთეულს ქართულ სინამდვილეში. „არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?“ რას ამბობს რუსთაველი დროშის შესახებ? „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“. „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმება მხოლოდ იმ მოტივით, რომ ჩვენთვის უცხო არ ყოფილა წითელი და შავი ფერები, არ არის საკმარისი. ზემოთ დამოწმებული ციტატა, ვფიქრობ, საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ქართული დროშა სწორედ ამგვარად წარმოვიდგინოთ: წითელ-შავი. ამით წერტილი დაესმება გაუთავებელ პაექრობას.

მართალია, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ალამი“ ნიშნავს დროშის თავზე გამობმულ ლენტებს, ბაფთებს და არა — დროშას, ბაირაღს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ჩანს, „ალამი“ მოგვიანებით დაერქვა დროშას (ხოლო როდის, არც ამას აქვს მნიშვნელობა). პოემის გმირი საერთოდ არ ახსენებს დროშის ფერს, ახსენებს იმას, რაც მას მეხსიერებაში აღებეჭდა: წითელ-შავ ფერებს, ანუ იმას, რაც მისთვის დროშას, სახელმწიფო ალამს განასახიერებს. ის არ შეიძლება ყოფილიყო შემთხვევითი, უმნიშვნელო ლენტები. როგორც ჩანს, ამგვარ „ალამზე“ („ალმებზე“, ლენტებზე) მოდიოდა მთელი სიმბოლური დატვირთვა დროშისა. ალბათ, ამ ბაფთების, „ალმის“ („ალამთა“) დიდი მნიშვნელობის გამო შეიძინა თავად დროშამ „ალმის“ სახელწოდება, და ჩვენთვის სწორედ ეს არის მთავარი. რაკი „ალმის“ სახელწოდება გადმოვიდა დროშაზე, თავისუფლად შეიძლება დროშის წარმოდგენაც იმავე ალამთა ფერებით. რუსთაველის დროშა წითელ-შავია, სხვა ფერს რუსთაველი არ ახსენებს. ხოლო ამ ფერებს, როგორც ჩანს, განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. იყო თუ არა ქართული დროშა წითელ-შავი (რა თქმა უნდა, არ იყო), ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. ხომ შეიძლება, ლენტები („ალმები“) მაინც ჰქონდა ქართულ დროშას წითელ-შავი ფერისა? ასე რომ, ისტორიულად თუ ქართულ დროშას, მის „სიმბოლიკას“ წითელ-შავი ფერები არ განასახიერებდნენ და მხოლოდ რუსთაველის ფანტაზიის ნაყოფია ეს, ამით ჩვენს პირობებში არაფერი იცვლება: ჩვენ ვიღებთ რუსთაველის წარმოსახვის ნაყოფს. ჩვენი დროშა, დროშის ფერები, შესაძლებელია იყოს ისეთი, როგორიც რუსთაველს წარმოედგინა ძლევამოსილი სახელმწიფოს დროშა: წითელ-შავი (ჰორიზონტულად).

ჩემთვის პირადად, „რუსთაველურ დროშას“ „გორგასლიან-დავიათიანი“ დროშის ფასი ექნება, ხოლო დღევანდელი მხატვრის მიერ „გამოგონილ დროშას“ (რაც არ უნდა დიდი მხატვარი იყოს ის) — თითქმის არავითარი.

შესაძლებელია, წითელი და შავი ფერების მიმართ, ფერთა ამგვარი „სიმბოლიკის“ მიმართ საქართველოში გარკვეული ტრადიცია არსებულიყო (ჩვენს დღევანდელ დროშაზეც ხომ არის ეს ორი ფერი გამოსახული?). ასე რომ, არა აქვს მნიშვნელობა იმას, იყო თუ არა ქართული დროშა-ალამი წითელ-შავი, მთავარია ის, რომ დროშა, სახელმწიფოებრიობის უპირველესი ნიშანი, რუსთაველის თვალთახედვაში ცნობიერდება ორი ფერით, წითელითა და შავით.

ახლა ვიმსჯელოთ დღევანდელი დროშის თაობაზე (რაობაზე).

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სახელმწიფო დროშა ასეა აღწერილი: საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შვინდისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა“. მიაქციეთ ყურადღება: „შავი და თეთრი ზოლითაო“. „ზოლის“ მნიშვნელობა ვინც არ იცის, შემიძლია განვუმარტო, რომ „ზოლი“ ეს იგივე „ხაზია“, ოღონდ ზოგჯერ შეიძლება „ხაზზე“ უფრო განიერი იყოს, მაგრამ მაიც ვიწრო. ასეა დახასიათებული ეს სიტყვა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“. „გრძელი და ვიწროო“. ზოლი შეიძლება არ იყოს მაინცდამაინც გრძელი, მაგრამ ვიწრო აუცილებლად უნდა იყოს (წინააღმდეგ შემთხვევაში ის „ზოლი“ აღარ იქნება). „ზოლის“ სივიწროვეს განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, ლექსიკონში მას ამგვარი განმარტება არ ექნებოდა. მაგრამ ჩვენს დროშაზე გამოსახული შავი და თეთრი „კვადრატები“ — ვიწრო და გრძელი რომ არ არის? იქნებ, ვიფიქროთ იმაზე, თუ რა დაემართა ჩვენს დროშას, რატომ არ შეესაბამება ფაქტობრივი დროშა მის აღწერილობას? ნუთუ ეს დროშა თავიდან მახინჯი გამოუვიდათ (?) და კონსტიტუციის მიღების შემდეგ, კონსტიტუციაში გადმოცემული აღწერილობის მიხედვით სურდათ მისი სრულყოფა? იქნებ ჩვენამდე მცდარმა ინფორმაციამ მოაღწია ამ დროშის შესახებ და არ იყო ის ისეთი, როგორიც დღეს არის, ანუ სინამდვილეში იყო ისეთი, როგორც არის აღწერილი კონსტიტუციაში? საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ: როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, გაჩნდა საჭიროება დროშისა, 1918 წლის 26 მაისამდე საქართველოს „სახელმწიფოებრიობის“ თეორიული და ეფემერული ეტაპი გავლილი ჰქონდა, ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკის სახით. ასეთ კოლიზიებში დროშასაც უნდა შეესრულებინა რაიმე როლი. „ისტორიული დროშა“ არ გაგვაჩნდა. დროშის საერთოდ არქონა გამორიცხული იყო, რაღაც „დროშის მაგვარი“ მაინც უსათუოდ უნდა გაკეთებულიყო. ამგვარ ვითარებაში შეცდომების დაშვებაც არ იყო გამორიცხული, თანაც ისეთ მოკლე დროში. ჩვენ ხომ ახალი დროშის მისაღებად ათი წელიწადიც არ გვეყო? „სამფეროვანი დროშის“ დაკანონებაც, როგორც იტყვიან, სახელდახელოდ მოხდა. მტერი უკვე თბილისის მისადგომებთან იყო მოსული, როდესაც კონსტიტუციის ძალით დაკანონდა ეს დროშა. სამი დღის შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო. ასე რომ, კონსტიტუციასა და მის კანონებს იურიდიული თვალსაზრისით არც კი უმუშავიათ. „სამფეროვანი დროშა იმიტომ კი არ არის უკუსაგდები, რომ ის „სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის“ დროშა იყო, არამედ იმის გამო, რომ ვიზუალური თვალსაზრისით უვარგისია. ამ დროშის უარყოფა სულაც არ ნიშნავს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის უარყოფას, იმ დადებითი მომენტებისათვის ხაზის გადასმას, რაც იყო ჩვენს ისტორიაში. ისტორიას არავინ უარყოფს, დადებითი დადებითად უნდა შეფასდეს და უარყოფითი უარყოფითად, მაგრამ იმ ჩვენი პირველი, დაკარგული თავისუფლების სიყვარულმა ნამეტნავად არ უნდა გაგვიტაცოს. როდესაც საზოგადოებაში ამდენი აჟიოტაჟია იმდროინდელი დროშის გარშემო, ეს იმას ნიშნავს, რომ ის შესაცვლელია.

ახლა პირველი კონსტიტუციის შესახებ.

რას უნდა განასახიერებდნენ შინდისფერ ქსოვილზე შავი და თეთრი ზოლები? შესაძლოა გამორიცხული არ იყოს, რომ ეს ზოლები განასახიერებდნენ ჩვენს ისტორიულ დროშაზე (დროშებზე) დამაგრებული შავ-თეთრი ლენტების, ბაბთების ფერებს (მაგრამ ვინ დაამტკიცა, რომ ისტორიულად ჩვენს სახელმწიფო დროშას მაინცდამაინც შავი და თეთრი ლენტები ჰქონდა?). ასეა თუ ისე, კონსტიტუციის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ჩვენ გაყალბებულ დროშასთან გვაქვს საქმე. როცა „ზოლი“ „აგურად“ იქცევა, ის უკვე არ განასახიერებს იმ იდეას, რაც მას უნდა განესახიერებინა. ჩვენი დროშა არ შეესაბამება კონსტიტუციას. იურიდიული ენით რომ ვთქვათ, ის „ანტიკონსტიტუციურია“. ამდენად — უკანონოა. ხოლო ეს დროშა კანონიერ უფლებებს აღიდგენს მაშინ, როცა იგი კონსტიტუციის შესაბამისი იქნება.

ჩვენ ჯერ აღვადგინოთ ეს დროშა იმგვარად, როგორც კონსტიტუციაშია აღწერილი, და შემდეგ ვილაპარაკოთ მის „შეცვლაზე“, თუ ასეთი სურვილი მაინც გაგვიჩნდება.

მე კი მაინც ორფეროვან დროშას ვამჯობინებდი.

სახელმწიფო დროშაზე წმინდა გიორგის გამოსახვა, არა მგონია, მართებული იყოს. წმინდა გიორგი მთელი საქრისტიანოს წმინდანია და მის მიმართ ჩვენი მხრიდან განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატვამ („მითვისებამ“) შეიძლება უხერხული შთაბეჭდილება შექმნას (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წმინდა გიორგის კულტი მუდამ განსაკუთრებული იყო). ჩვენს წინაპრებს კიდევაც რომ ჰქონოდათ ამგვარი დროშა, დღევანდელ ვითარებაში მისი აღდგენა მართებულად არ მიმაჩნია.

სხვათა შორის, დროშა რაც შეიძლება მარტივი უნდა იყოს: საკუთარი ქვეყნის დროშის დახატვა ბავშვსაც უნდა შეეძლოს.

ზოგიერთი მოხალისე მკითხველი ვაზის გამოხატვას გვირჩევს დროშაზე (აქაოდა, საქართველო ვაზის სამშობლოაო). ხვალ ვინმეს ალბათ, ჩაის ბუჩქების გამოხატვა მოუნდება, ან კავკასიონის თოვლიანი გრეხილებისა, ან სულაც ბორჯომის ბოთლისა, ვიღაცას შეიძლება ოქროს საწმისის გამოსახულებაც მოუნდეს და ა. შ. ეს ყველაფერი დუხჭირი ფანტაზიის ნაყოფია.

ბაგრატიონების გერბის აღდგენას მე ტენდენციური მოსაზრებით დავუჭირე მხარი (ჩემი წინადადება შემდგომში მრავალმა ავტორმა გა-



იმეორა). მსურდა უცხოელებს გაეგოთ, რომ ჩვენ „ნორჩი ერი“ არა ვართ, გვაქვს სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორია. ამჟამად, ვფიქრობ, რომ ურიგო არ იქნება „ბოლნისური ფასკუნჯის“ გამოყენება. იგი ძალიან პოპულარულია ჩვენში. ზეაწეული მარჯვენა თათი წინსვლის მაუწყებელია. თუმცა, არსებული გერბის დატოვებაც შეიძლება.

არ არის სწორი, როცა აცხადებენ, რომ გველეშაპის განმგმირავი წმინდა გიორგის გამოსახულებამ რეალიზაცია ჰპოვა პირველი რესპუბლიკის გერბზეო (საინტერესოა, სად ხედავენ განგმირულ გველეშაპს? ან წმინდანის შარავანდედს სად ხედავენ?). დავით კაკაბაძეს აქვს აღნიშნული, რომ ჩვენს გერბზე გამოსახული რაინდი წმინდა გიორგი არ არის, ის ჩვენი მითოლოგიის „თეთრი გიორგიაო“ (საკვირველია, რომ ამისი შეხსენება მიწევს ავტორებთან, რომლებიც მათი წერილის გამოქვეყნებამდე შვიდი წლით ადრე იყვნენ გაცნობილი ჩემს ზემოთ ნახსენებ პუბლიკაციას). კონსტიტუციაშიც აღნიშნულია, რომ გერბი არის „თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“. პრესაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ამგვარი მითოლოგიური გმირი უცნობია. მაგრამ ამას დავანებოთ თავი, შარლემანის მიერ შესრულებული ეს გერბი ურიგოდ არ გამოიყურება.

უმიზეზო და უსაფუძვლოა კამათი ჰიმნის თაობაზე. კოტე ფოცხვერაშვილის „სამშობლოს“ დამწუნებელი არ მინახავს, და ისე ვიქცევით, თითქოს ის, არც არსებობდეს. ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის დროს შეიქმნა ეს ჰიმნი. მას იმდენად დიდი მოწონება ხვდა წილად, რომ ზოგჯერ პარალელურად (!) სრულდებოდა ოფიციალურად დამტკიცებულ „დიდებასთან“ ერთად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას მაშინაც არ მოსწონდა „დიდება“ და ცდილობდა მის შეცვლას. „სამშობლოს“ მელოდია დიდად პოპულარულია დღესაც. ეს ჰიმნი უსამართლოდ არის უგულებელყოფილი. სახელმწიფო სიმბოლიკიდან ერთი მაინც გვქონდეს „ისტორიული“. ჰიმნი უაღრესად პატრიოტული სულისკვეთებისაა. ოღონდ ტექსტი საჭიროებს ოდნავ დახვეწას. ტაეპი: „სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო“, უნდა შეიცვალოს ასე: „სამშობლო, სამშობლო, ჩემო სამშობლო“. სრულიად ზედმეტია სამშობლოსადმი მიმართვა — „ლამაზო“. სამშობლო იმიტომ კი არ უნდა გვიყვარდეს, რომ ის ლამაზია, არამედ იმიტომ, რომ ის სამშობლოა (განა დედა იმიტომ უნდა გვიყვარდეს, რომ ის ლამაზია?!).

სახელმწიფო სიმბოლიკის თაობაზე ზედმეტად გაჭიანურებულმა სჯა-ბაასმა უკვე „ბალაგანის“ სახე მიიღო. ზოგიერთი ჭკუადამჯდარი მკითხველი ჰიმნად ხალხური „ლილეოს“ გამოყენებას გვირჩევს. და ასე შემდეგ...

არ შეიძლება ჰიმნად საეკლესიო „მრავალჟამიერი“. სად გაგიგიათ, რომ ეკლესიებში წირვა-ლოცვა სახელმწიფო ჰიმნის აჟღერებით სრულდებოდეს?!

ჯვრიანი დროშებიც, წმინდანთა გამოსახულებანიც, საეკლესიო საგალობლებიც რელიგიურ-საკულტო მსახურებისთვის არის განკუთვნილი. „დაუკრეფავში“ ნუ გადავდივართ. ხომ უნდა გვახსოვდეს, რა პრობლემის წინაშე ვდგავართ. ამ პრობლემის ფარგლებში დავეტიოთ. სახელმწიფო სიმბოლიკა სახელმწიფოს „პასპორტია“. იგი, რასაკვირველია, მოსახლეობის უმრავლესობისთვის მისაღები უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ყველა წევრის გუნება-განწყობილებას მივუსადაგოთ.

დამატებით მინდა აღვნიშნო, რომ „მონარქიისდროინდელი“ დროშის აღდგენა, კიდევაც რომ იყოს შესაძლებელი, აუცილებელი არ არის. დღეს არც რუსებს აქვთ რომანოვების დროშა, არც ფრანგებს — ბურბონებისა, არც გერმანელებს — კაიზერისა, მაგრამ ამის გამო „უხერხულობას“ არ გრძნობენ. ჩვენ გვინდა „ახალი დროშა“ ახალ რეალობასთან შეთანასწორებული. ოღონდ ამ დროშას შესაფერისი ისტორიული საფუძველი უნდა ჰქონდეს.

დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად ნამდვილად არ არის მზად ის ერი, რომელსაც ათი წელიწადი არ ყოფნის სახელმწიფო სიმბოლიკის მისაღებად.

**ბაგრატ ლაკადელი,**
მწერალი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეს იყო

# სისხლის წვიმები აჭარაში

## პოლიტიკური რეპრესიები XX ს. 30-იან წლებში

(მეოთხე გვერდიდან)

ცრუ ჩვენებების იძულებით გამოძალვის შედეგად აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოებმა შეთითხნეს ე. წ. „აჭარელთა საქმე“. ამის შედეგად 1937 წლის 22 სექტემბერს შეადგინეს საბრალდებო დასკვნა, რომელსაც ხელს აწერდა აჭარის ასსრ პროკურორი ი. კაპანაძე. საბრალდებო დასკვნა შემზარავი იყო: ამ ფალსიფიცირებული „აჭარის კონტრრევოლუციური საააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის“ საქმეში შეიყვანეს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ზექერია ლორთქიფანიძე, აჭარვაჭრობის თავმჯდომარე ჯემალ ქიქავა, აჭარის ცაკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, დაპატიმრებისას საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი გიორგი რამიშვილი, აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ილიას მეგრელიძე, აჭარის ადვოკატთა კოლეგიის წევრი გრიგოლ ლაღიძე, აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველი ქაზიმ ბასილაძე, ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სულეიმან ბეჟანიძე, საქართველოს კპ (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილე ხასან ძნელაძე, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ხასან ჩავლეიშვილი (ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი თოფალოღლები), 1925 წლამდე აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, შემდგომ ბათუმის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ოსმან რომანაძე (ქობულეთის რაიონის სოფელი წყაროვკა), ოსმან ვანაძე (ხულოს რაიონის სოფელი ვანაძეები).

მათ, როგორც ათასობით პოლიტიკურ პატიმარს, „სამშობლოს ღალატის“ ბრალდება წაუყენეს.

ფალსიფიცირებული მასალების მიხედვით ზ. ლორთქიფანიძე და მისი თანაგუნდელები თურმე ცდილობდნენ აჭარაში ერთპიროვნული კულაკური მეურნეობის, თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას, სასულიერო წოდების მიმართ შეზღუდვების მოხსნას, აჭარის თურქეთთან შეერთებას. იგი თურმე სისტემატურად ხვდებოდა ბათუმში თურქეთის კონსულს, მისგან იღებდა ნაღდ ფულს, რჩევა-დარიგებებს, აწვდიდა ცნობებს მთლიანად სსრ კავშირის, კერძოდ საქართველოსა და აჭარის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის მუშაკების მიერ შეთითხნილი მასალებით თითქოს ზ. ლორთქიფანიძემ კონტრრევოლუციური საქმიანობა დაიწყო 1927-1928 წლებში. მას აბრალებდნენ ჯ. ქიქავასთან ერთად „აჭარის განთავისუფლების“ კომიტეტის შექმნას, რომელიც თითქოსდა ორგანიზაციულად 1933 წელს გაფორმდა.

ფალსიფიცირებული საქმეების მიხედვით აჭარაში თურმე მოქმედებდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები, კერძოდ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის მეთაურები ყოფილან გ. რამიშვილი და ე. სიხარულიძე (აჭარის საშინაო ვაჭრობის მმართველი), „მენშევიკების აჭარის კომიტეტი“ (ხელმძღვანელი საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი კ. გოგიბერიძე), „ქართული ეროვნული პარტია“, რომლის წევრები ყოფილან გ. ლაღიძე, მ. აბაშიძე, ა. კეკელიძე და სხვები. ეს ორგანიზაციები 1936 წელს გაერთიანებულან. ამის შესახებ თურმე შექმნილა „აჭარის განთავისუფლების გაერთიანებული კომიტეტი“, რომლის ხელმძღვანელ ბირთვად ითვლებოდნენ: ზ. ლორთქიფანიძე, ჯ. ქიქავა, რ. ხოზრევანიძე, ზ. ბერიძე, პ. საბაშვილი, გ. რამიშვილი, გ. კოპლატაძე, ი. სურგულაძე, პ. ცხოიძე, კ. გოგიბერიძე, გ. ლაღიძე.

თითქოსდა ამ გაერთიანებულმა კომიტეტმა კავშირი დაამყარა სსრ კავშირის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრ სერებრიაკოვთან (მოსკოვი), ქურდაძესთან (თბილისი), მემარჯვენე ტროცკისტებთან (გ. მგალობლიშვილი, შ. მათიკაშვილი, მ. ტოროშელიძე, თ. ქლენტი და სხვა).

თურმე ზ. ლორთქიფანიძის დავალებით ბათუმში უნდა დაეხოცათ საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები (?!), მოეკლათ ლ. ბერია, როდესაც იგი აჭარაში ჩამოსვლისას ეწვეოდა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას. ამ ტერორისტული აქტის განხორციელება ევალებოდათ პ. მეგრელიშვილს, გ. რამიშვილსა და ა. გვარელოღლის.

ერთ-ერთი ყალბი ბრალდების მიხედვით ზ. ლორთქიფანიძე მიზნად ისახავდა გამხდარიყო აჭარის „მომავალი პრეზიდენტი“. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს ბრალდება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. იგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც ზემოთ ითქვა, უმაღლეს სახელმწიფო მოხელედ ითვლებოდა. ფაქტობრივად იყო „პრეზიდენტიც“ და „მთავარობის თავმჯდომარეც“. აჭარის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებმა შეთითხნეს აჭარის „მომავალი“ მთავრობის შემადგენლობაც: „პრეზიდენტის“ მოადგილე და განათლების მინისტრი — ო. მოწყობილი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ჯ. ქიქავა, ფინანსთა — ს. ზაქარიძე, ჯანდაცვის — ო. კონცელიძე, შინაგან საქმეთა — ა. გვარელოღლი, სამხედრო მინისტრი — ქ. ბასილაძე.

გაოცებას იწვევს ი. მეგრელიძის, ს. ბეჟანიძის, ხ. ძნელაძის და სხვათა მიმართ წაყენებული ბრალდებები. აჭარის მიწათმოქმედების ყოფილ სახალხო კომისარს, სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტს ი. მეგრელიძეს ერთ-ერთ კონტრრევოლუციურ ბრალდებად წაუყენეს ის, რომ აჭარაში დაგეგმილზე მეტად გაზარდეს თამბაქოს პლანტაციების ფართობი, რასაც თურმე გლეხობის აღშფოთება გამოუწვევია.



საბრალდებო დასკვნის მიხედვით ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. ბეჟანიძის „მავნებლური“ საქმიანობა იმაში გამოიხატებოდა, რომ რაიონში სუსტად იდგა მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურება, დროულად არ ტარდებოდა პირუტყვის აცრები, შემცირებული იყო საკვები ბაზა, საზაფხულო საძოვრები გაუწმენდელი დარჩა სარეველა ბალახებისაგან, რასაც თურმე გამოუწვევია პირუტყვის დაავადება, დაცემა და სხვა. ს. ბეჟანიძე ზ. ლორთქიფანიძის დისშვილი იყო და ამის გამო მას ე. წ. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტიურ წევრად თვლიდნენ. საკოლმეურნეო წყობის ჩაშლის ბრალდებით იყვნენ დაპატიმრებული კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ხ. ჩავლეიშვილი, ო. რომანაძე, ო. ვანაძე.

„აჭარის კონტრრევოლუციური საააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის“ მონაწილეთა სასამართლო პროცესი ჩატარდა ქ. ბათუმში არმიისა და ფლოტის ოფიცერთა სახლში 1937 წლის 24-28 სექტემბერს. სხდომაზე დასასწრებად ხალხი სპეციალურად ჩამოყავდათ რაიონებიდან; ქალაქად, დაბა-სოფლებში, საწარმო-დაწესებულებებში განუწყვეტლივ ატარებდნენ კრებებსა და მიტინგებს, რათა საზოგადოებისათვის ერთხელ კიდევ ჩაეგონებინათ, რომ საქმე ეხება ხალხის მტრებს, ტერორისტებსა და აჯანყების მოთავეებს.

მოწმეებად გამოიყენეს პოლიტიკური პატიმრები: ნ. გამრეკელიძე — ხულოს რაიონის ყოფილი მიწათმოქმედების განყოფილების გამგე, დაპატიმრებისას — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მ. ყურშუმაძე — ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ზ. ბერიძე — „აჭართამბაქოს“ ნედლეულის ყოფილი მმართველი, აგრეთვე სახალხო კომისრები, საწარმო-დაწესებულებების, მათ შორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და სხვა. ისინი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად დარეტიანებულნი, დატერორებულნი თუ დაშანტაჟებულნი, ყალბ ჩვენებებს აძლევდნენ. თითქოს ზ. ლორთქიფანიძე და მისი თანაგუნდელები მათ ავალებდნენ საქმის განგებ გაფუჭებას, კანონების დამახინჯებას, რათა გამოეწვიათ სახალხო მღელვარება. განსასჯელთა საქმე ფორმალურად განიხილა აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ. მასში შედიოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რ. ჯინჭარაძე, წევრები ი. კორძაია და ვ. ჩიტაია (სამეული), მდივანი იყო ლ. ჩიჩუა. სახელმწიფო მბრალმდებელი აჭარის ასსრ პროკურორი ი. კაპანაძე იყო. საზოგადოებრივ ბრალმდებლებად სპეციალურად შერჩეული იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ბრიგადირები, წარმოების მოწინავენი (სტახანოველები), მათ შორის იყვნენ: თ. ცეცხლაძე, ხ. დუმბაძე, კაშია, მამალაძე, ტურძელაძე გუბაშვილი. წინასწარ დაწერილი სცენარი სასამართლო სხდომაზე არ შეცვლილა. განსასჯელებიდან 8 კაცს (ზ. ლორთქიფანიძე, ჯ. ქიქავა, გ. რამიშვილი. ი. მეგრელიძე, გ. ლაღიძე, ქ. ბასილაძე, ს. ბეჟანიძე, ო. რომანაძე) მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ქონების კონფისკაციით. ხ. ძნელაძეს, ხ. ჩავლეიშვილს — 10, ხოლო ო. ვანაძეს — 8 წლით პატიმრობა. განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. განაჩენი იმავე დღესვე მოიყვანეს სისრულეში.

ეს იყო აშკარად ფალსიფიცირებული საჩვენებელი სასამართლო პროცესი. დანარჩენ ასეულობით პოლიტიკურ პატიმარს, როგორც ზემოთ ითქვა, ასამართლებდნენ სამხედრო ტრიბუნალები, ე. წ. „ორეულები“ და „სამეულები“. ასე გაანადგურეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელი და რიგითი მუშაკები. საგულისხმოა, რომ 1937 წლის ივნისიდან 1938 წლის თებერვლამდე აჭარაში საკავშირო კპ(ბ) რიგებიდან გარიცხეს 439 კაცი (საერთო რაოდენობის 13,5 პროცენტი). მათ შორის „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს 428 კომუნისტი. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად იქცნენ საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი არტემ გეურქოვი, რომელიც 1937 წლის აპრილიდან მუშაობდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მდივნები შუქრი და სულეიმან ლორთქიფანიძეები (ა. გეურქოვმა აუტანელი წამების გამო საკანში მოიკლა თავი).

სამხედრო ტრიბუნალების განაჩენებით, „ორეულებისა“ და „სამეულების“ დადგენილებებით სიცოცხლეს გამოასალმეს ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე, სახალხო კომისრები ო. კონცელიძე (ჯანდაცვა), ი. ქათამაძე (განათლება), მ. სურმანიძე (სოცუზრუნველყოფა), ს. ზაქარიაძე (ფინანსთა), ო. მოწყობილი (ვაჭრობის), გ. ბოლქვაძე (სამხედრო კომისარი), ა. გვარიშვილი (მილიციის უფროსი), პროფესიული კავშირების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რ.ხოზრევანიძე, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნები ვ. ფოფხაძე და ფ. მიქელაძე, პარტიისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტის მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები და სხვა.

ქალაქად, რაიონებსა და დაბა-სოფლებში თითქმის აღარ დარჩენილან ხელმძღვანელი მუშაკები, ვინც პოლიტიკურ რეპრესიებს გადაურჩნენ. „ჯაშუშის“, „კონტრაბანდისტის“ და სხვა აშკარად ფალსიფიცირებული ბრალდებით, ანდა რეპრესირებულ ყოფილ სახელმწიფო, პარტიულ და სხვა მუშაკებთან ნათესაობის მოტივით დააპატიმრეს მრავალრიცხოვანი რიგითი მოქალაქეებიც. მათ ხვრეტდნენ, უკეთეს შემთხვევაში, პატიმრობაში აგზავნიდნენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჯურღმულებში. ე. წ. „სამეულის“ დადგენილებით დახვრიტეს ზ. ლორთქიფანიძის მეორე დისშვილი შაქირ თურმანიძე, რომელიც დაპატიმრებისას ხულოს რაიონის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ მუშაობდა. აგრეთვე მისი ძმა ოსმან ლორთქიფანიძე, სიძე (დისშვილის ქმარი) სულეიმან ბერიძე, ახლო ნათესავი მემედ თურმანიძე, ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს ზ. ლორთქიფანიძის მეუღლეს ესმა ლორთქიფანიძეს და ა. შ.

ასეთი ბედი ერგოთ მოედინ სურმანიძის, რიზა ხოზრევანიძის, ილიას ქათამაძის და სხვათა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს. 1937 წლის 23 ივნისს დააპატიმრეს და სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 19 სექტემბრის განაჩენით დახვრიტეს მ. სურმანიძის ძმა ახმედი, რომელიც ქედის სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1938 წლის 23 აპრილის განსაკუთრებული თათბირის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს მისი მეუღლე აიშე სურმანიძე და შორეული ციმბირის კატორღაში გამოამწყვდიეს.

პოლიტიკურ რესპრესიებს მსხვერპლად შეეწირნენ აჭარის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. 1937 წლის 12 ივლისს შვილებთან იბრაიმსა და იფეთთან ერთად დააპატიმრეს პირველი აჭარელი მწერალი და პუბლიცისტი მემედ აბაშიძე, რომელიც იმავე წლის 17 სექტემბერს დახვრიტეს ქ. თბილისში სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით. მას ბრალად დასდეს „სამშობლოს ღალატი“ იმის გამო, რომ თითქოს იგი იყო „ქართული ეროვნული პარტიის“ კომიტეტის წევრი და 1936 წლიდან შედიოდა ე. წ. „აჭარის განთავისუფლების გაერთიანებული კომიტეტის“ შემადგენლობაში. 1937 წელს დახვრიტეს აგრეთვე ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმის ყოფილი დირექტორი და სამასწავლებლო ინსტიტუტის თვალსაჩინო ლექტორი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე.

1937 წლის 22 ივლისს დააპატიმრეს და იმავე წლის 13 დეკემბრის „სამეულის“ დადგენილებით ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორს მევლუდ ოქროპირიძეს, რომელიც აუტანელი ტანჯვა-წამების შედეგად კატორღაში გარდაიცვალა 1946 წელს. იგი იყო სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტი და პერსპექტიული მეცნიერი მკვლევარი. წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად, ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე ბათუმის ჩაის ტექნიკუმის დირექტორად. მ. ოქროპირიძეს ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები სუბტროპიკული კულტურების ბიოლოგიის, აგროტექნიკისა და ეკონომიის საკითხებზე.

პოლიტიკური რეპრესიების შედეგად ფიზიკურად გაანადგურეს სასულიერო წოდება. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ მუსლიმანური სარწმუნოების მსახურთა მიმართ. რეპრესიების მასშტაბზე მეტყველებს ასეთი ფაქტები: ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის) ორ მცირე დასახლების პუნქტში (სამოლეთი და მოფრინეთი), სადაც 56 კომლი სახლობდა, რეპრესიების მსხვერპლი გახდა 18 კაცი, მათ შორის 3 სასულიერო წოდების წარმომადგენელი იყო. ამავე სოფლის შაქირ გამრეკელიძის ოჯახიდან პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს 3 ადამიანი (მამა და ორი შვილი). მამა ხოჯა იყო, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე და მშობლიურ საქართველოზე დიდად შეყვარებული, ხოლო შვილებიდან ნური მუშაობდა ხულოს რაიონის მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ, ხოლო დაპატიმრებისას — რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. მეორე შვილი (ქერემი) მსახურობდა ქალაქ ბათუმში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. სამივე ფიზიკურად მოსპეს.

ცხადია, სოფელი სამოლეთი გამონაკლისი არ ყოფილა. ქედის რაიონის მცირე დასახლების სოფელი ხოხნაში 1937-1938 წლებში პოლიტიკური რეპრესიები შეეხო 11 კაცს. მათ შორის იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლების, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, სოფლის წვრილი მოვაჭრეები. მათ წაუყენეს „კონტრაბანდისტის“, „კონტრრევოლუციონერის“, „შპიონის“ ბრალდებები.

ასევე განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს შერვაშიძეების მიმართ, რომლებიც ქედის რაიონის სოფლებში — ქედაში, ოქტომბერსა და ორცვაში ცხოვრობდნენ. მათ აბრალებდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობასა და შპიონაჟს. სულ რეპრესირებული იყო ამ გვარის 10 მოქალაქე, რომელთა უმრავლესობა ფიზიკურად მოსპეს. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს შაქირ შერვაშიძის ბედი. მას დამთავრებული ჰქონდა ბათუმის გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა ტარტუს უმაღლეს სასწავლებელში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. დაპატიმრების წინ ქედის სკოლაში ასწავლიდა რუსულ და გერმანულ ენებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 19 სექტემბრის განაჩენით შ. შერვაშიძე დახვრიტეს.

მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა იყო აჭარის დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში. ეჭვს არ იწვევს, რომ საბჭოთა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უდიდესი დანაშაული ჩაიდინა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. შემზარავი კიდევ ის იყო, რომ კატორღამოხდილი რეპრესირებულები, ვინც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს და თითოოროლა დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს, მეორედ (1949 წელს) იმავე ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჯოჯოხეთურ ჯურღმულებში გაასახლეს. რეპრესირებულთა ოჯახების წევრები, რომლებიც დაპატიმრებას გადაურჩნენ, დიდხანს ატარებდნენ „მავნებლის“, „ხალხის მტრის“ და ა. შ. ზნეობრივად და სულიერად დამამცირებელ იარლიყებს.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების (1953 წლის 5 მარტი) დროიდან პოლიტიკურ რეპრესირებულთა მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. სკკპ XX ყრილობის (1956 წლის თებერვალი) გადაწყვეტილებების შედეგად პრაქტიკულად იწყება მათი რეაბილიტაცია.

საქართველოს პარლამენტმა, დიდი დაგვიანებით, მაგრამ 1997 წლის 11 დეკემბერს მაინც მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“. ამ კანონით რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს ენიშნებათ პენსია და გათვალისწინებულია სხვა სოციალური შეღავათები. ცხადია, ეს ღონისძიებები მნიშვნელოვანია. აქ მთავარი ის არის, რომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღდგა ისტორიული სამართლიანობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესიების შედეგად მიღებული ფიზიკური, მით უფრო სულიერი ჭრილობები კიდევ დიდხანს არ მოშუშდება. იგი დარჩება ჩვენი საზოგადოების მწარე გაკვეთილად ახლაც და მომავალშიც.

**ოთარ თურმანიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**
**ქ. ბათუმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჩვენი სიმდიდრე

# ზუგდიდის მუზეუმი — ერის კულტურის საგანძურის მცველი



(მეოთხე გვერდიდან)

ასე რომ, ტყუილად გვიკიჟინებენ ამ კანონის დარღვევის თაობაზე. ამით ხაზს ვუსვამ საკითხის მხოლოდ იურიდიულ მხარეს. მაგრამ ზემოთქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ფარატინა ქაღალდებს, რომლებიც მხოლოდ საქმის ფორმალურ მხარეს ქმნიან. როგორც ისტორიკოსს, ყოველთვის საქმის ფაქტობრივი მხარე უფრო მაინტერესებს: ეს სასახლეები ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტი. ვერაფერი მაიძულებს სანქცია მივცე ისეთ ქმედებას, რომელიც მუზეუმს რაიმე ზიანს მოუტანს.

სტატუსზე მოგახსენებდით: ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად ვმუშაობთ იმ დოკუმენტების შედგენაზე, რომელთა საფუძველზე სასახლეებს და ბოტანიკურ ბაღს უნდა მიენიჭოთ უძრავი ძეგლების სტატუსი და ამ საქმეს მალე ბოლომდე მივიყვანთ. ამისათვის ყველა წინაპირობა არსებობს. ამით, უპირველეს ყოვლისა, მუზეუმის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ვართ დაინტერესებული.

**— კი მაგრამ, თუ სასახლეებს ძეგლის სტატუსი არ ჰქონდათ, ამის შესახებ რატომ თავიდანვე არ განაცხადეთ, სანამ აჟიოტაჟმა კულმინაციას არ მიაღწია?**

— იმედი მქონდა, რომ ეს ყველაფერი, როგორც გაუგებრობა, მალე გაიფანტებოდა. დღეისათვის ყველამ დაინახა, რომ ამფითეატრის რემონტით და მიმდებარე სკვერის მოწესრიგებით კარგი საქმე გაკეთდა და ეს ჩემთვის სავსებით საკმარისია. თანაც ეს მოხდა კანონის სრული დაცვით.

ახლა ვდგევართ შემოტევების ახალი ტალღის წინაშე. ეს ტალღა გამოიწვია ბატონ ბადრი პატარკაციშვილის ქველმოქმედებამ. დღე ერთია და ათეულობით პროვოკატორთან მიწევს შეხლა-შემოხლა იმის თაობაზე, თუ რატომ მივეცით მას უფლება გაეკეთებინა ის დიდი საქმე, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. ამჟამად ყველა დეტალზე არ მინდა ვისაუბრო, მალე კიდევ ერთხელ დაინახავს ყველა, რომ კარგი საქმე გაკეთდა.

ისე კი, ყველას გასაგონად მინდა განვაცხადო: ზუგდიდის მუზეუმს და ბოტანიკურ ბაღს ძალიან უჭირს, ულრმესი მადლობა ყველას, ვინც ჩვენსკენ კეთილი თვალით იმზირება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ სპონსორებს პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით არ ვირჩევთ.

**— თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ თეატრონის შეკეთება და შენარჩუნება ხელს შეუშლის დადიანების სასახლეების გაწევრიანებას იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში, რაზედაც მეცნიერთა და ხელოვნებათმცოდნეთა დიდი ჯგუფი მუშაობდაო. რას იტყვით ამის შესახებ?**

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, სამწუხაროდ, ამ საკითხზე არათუ მეცნიერთა ჯგუფს, ცალკეულ მეცნიერსაც კი არასოდეს უმუშავია. სპეციალისტების ჯგუფს ამ საკითხზე ოდესმე რომ ემუშავა, პირველ რიგში, იმას გაარკვევდნენ, ოფიციალურად აქვს თუ არა ამ სასახლეებს ადგილობრივი ან ეროვნული ძეგლის სტატუსი. თუ არ ჰქონდა, მაშინ მათთვის ჯერ ეროვნული ძეგლის სტატუსის მინიჭებაზე იზრუნებდნენ და შეიტანდნენ მათ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში. ვინაიდან ეროვნული ძეგლის სტატუსის უქონლად იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ძეგლის შეტანის საკითხს არც განიხილავენ. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ძეგლის შესატანად იუნეკოს, სამწუხაროდ, ისეთი მკაცრი კრიტერიუმები აქვს, რომ ისინი ჩვენს ეროვნულ გრძნობებს და ემოციებს ნაკლებად ითვალისწინებენ. კრიტერიუმების ამგვარი სიმკაცრით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ ნუსხაში ვერ მოხვდა ქართველი ერის სიამაყე სვეტიცხოველი. მეცნიერთა (მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეთა) ჯგუფი დადიანების სასახლეების იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში გაწევრიანების საკითხებზე მუშაობისას თუ დაასკვნის, რომ ამ მართლაც უდიდესი მნიშვნელობის საქმის დადებითად გადაწყვეტას ამფითეატრი ხელს შეუშლის, მის აღებას წინ არაფერი უდგას.

**— რამდენად იცნობს მუზეუმის ექსპონატებს ხალხი და რა კეთდება ამ მიმართებით?**

— მუზეუმის საგამოფენო დარბაზები, რომელიც 1992 წელს დაიკეტა ცნობილი სიტუაციის გამო, გასული წლის სექტემბერში გაიხსნა. დამთვალიერებელთა რაოდენობა, მართალია, დიდი არ არის, მაგრამ რეგიონის საშუალო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები გვარწმუნებენ, რომ გაიზრდება დამთვალიერებელთა რიცხვი. ვმუშაობთ ბუკლეტისა და კატალოგის მომზადებაზე, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს მუზეუმის მდიდარი კოლექციების პოპულარიზაციას.

**— რა სიახლეებია მოსალოდნელი ახლო მომავალში?**

— ახლო მომავალში, როგორც მოგახსენეთ, დასრულდება მუზეუმის და ბოტანიკური ბაღის განვითარების კონცეფციისა და მის საფუძველზე გენგეგმის შემუშავება, სასახლეებისა და ბაღისათვის ეროვნული ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად დოკუმენტების შექმნა. გაგრძელდება ნიკოსეული სასახლისა და ბაღის რემონტი და რეაბილიტაცია. ვემზადებით სამეცნიერო სესიისათვის, რომელიც მიეძღვნება ცენტრის პირველი ხელმძღვანელის პროფესორ ილია ანთელავას ხსოვნას.

ესაუბრა
**ოდიკ ქუხილავა,**
„სრ“ საკ. კორ.

ეს ჩვენი საქართველოა

# მარეთის ხეობის საიდუმლო

## ეთნოგრაფიული ექსპედიცია ზემო აჭარაში

შარშან აგვისტოში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აბუსერიძე ტბელის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობით მოეწყო ერთობლივი ეთნოგრაფიული ექსპედიცია ზემო აჭარის მარეთის ხეობის ოლადაურის საკრებულოს სოფლებში (ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. მგელაძე, ბათუმი).

ექსპედიციის მიზანი იყო აჭარული სოფლის ტრადიციული კულტურისა და ინოვაციური პროცესების შესწავლა. ამ მიმართულებით დაიგეგმა სამწლიანი (2002-2004 წ.წ.) პროგრამა, რომლის პირველი ეტაპი მიმდინარე წელს განხორციელდა. მომავალ 2003 წელს საპრობლემო ჯგუფი XIX საუკუნის II ნახევრის აჭარის მაღალმთიანეთიდან (ღორჯომის ხეობა) გურიის სოფლებში — ზოტსა და ჩხაკაურაში — ჩასახლებულ აჭარლებში იმუშავებს. 2004 წელს ეთნოლოგთა ერთობლივი ექსპედიცია გოდერძის უღელტეხილს ეწვევა, სადაც ხულოს რაიონის მოიალაღეები სეზონურად ბინადრობენ.

მარეთის ექსპედიციის თითოეული წევრი მასალას კონკრეტული თემატიკის მიხედვით აგროვებდა. „მარეთის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება, მოსახლეობაში შემონახული ტრადიციული კულტურის ელემენტების გამოვლენა“ (ნ. მგელაძე), „ნათესაური და სამეზობლო კავშირების თავისებურებები საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიან სისტემაში“ (ნ. ჯავახაძე), „დასახლების ტრადიციული სტრუქტურა და მასზე თანამედროვე პროცესების გავლენა“ (გ. ჩიქოვანი), „ტრადიციული და თანამედროვე საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კონსტრუქციული თავისებურებები“ (ჯ. მიქელაძე), „ოჯახის დინამიკა საბჭოთა და პოსტსაბჭოური პერიოდების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცვლილებათა ფონზე“ (ს. ბახია — ოქრუაშვილი), „კერისა და ბუხრის მნიშვნელობა აჭარელთა სულიერ და სოციალურ ყოფაში“ (თ. ტუნაძე), ხოლო ლ. ლევიძე აჭარაში აქამდე შეუსწავლელი პრობლემის — „სამონადირეო ტრადიციებისა და ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესწავლაზე მუშაობდა.

აჭარაში მარეთის ხეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, იგი ქრისტიანობის გავრცელების მიზნით აქ მოღვაწე მოციქულების — ანდრიას, სვიმონისა და მატათას სახელებს უკავშირდება. „სწორედ მოციქულთა შრომის შედეგია ის, რომ მარეთის ხეობაში, ყოველ მეორე სოფელში იყო ეკლესია-მონასტრები. დარჩიძეებში, ტომაშეთში, მაჭარულში, შუბანში, ოლადაურში, გამონათლევში, მაწყვალთაში, კვიახიძეებში, დღვანში, ჯაბნიძეებში, ტბეთში, სამოლეთში“ (ვ. მაკარიძე).

მართალია, მარეთის ხეობაში ძველი ეკლესიები შემორჩენილი არ არის, მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს ახალი ეკლესიების მშენებლობა; სოფელ ზვარეში სამანქანე გზის პირას უკვე დასრულებული ეკლესიაა აღმართული. სოფელ გამონათლევში წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა გუმბათის გადახურვამდეა მისული. აქ შარშან ბათუმიდან მოწვეულმა მღვდელმა ერთდროული ნათლობა ჩაატარა. მონათვლის მსურველი მრავალი ახალგაზრდა ელოდება ამ ეკლესიის დასრულებას, რათა მირონცხებულნი გახდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მარეთის ხეობიდან მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში ჩასახლებულმა აჭარლებმა მთაზე აღმართეს ჯვარი, ახლა ეკლესიის აშენებისთვის იღვწიან, რისთვისაც დახმარებას სახელწიფოსგან ელიან.

აჭარაში თურქების სამსაუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად, ყოფაში დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანული სიმბოლოები.

ექსპედიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი, ორნამენტებით დამშვენებული საკულტო-სარიტუალო პურის საცხობის რკინის ყალიბი, რომლის ერთი ნაწილი ჩამოსხმულია, სახელური კი — ნაჭედი. საცხობის ორნამენტის კომპოზიცია ჯვარსახოვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. ქრისტიანული სიმბოლიკა — ჯვრის გამოსახვის ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი ყოფაში. მაგალითად მჭადზე ხელით ჯვრის გამოსახვა, კანის გაღიზიანების შემთხვევაში განკურნების მიზნით ჯვრის დასმა წვეტიანი საგნით დაზიანებულ ადგილზე და სხვა. ქრისტიანობისკენ შემობრუნება იგრძნობა ყველგან, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მაჰმადიანობის აღმსრულებელი უფროსი თაობის გარკვეული ნაწილი მარეთის ხეობის ყოველ სოფელში მოქმედ ჯამეში ხშირად დადის სალოცავად.

გარდა იმისა, რომ მარეთის ხეობა თავისი სილამაზით შთამბეჭდავია, აქაური დასახლებით ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა აჭარაში; ფერდობებზე წამომდგარი ორ ან სამსართულიანი ბლოკით, აგურით ან ხით ნაშენი სახლებით დამშვენებული მთის სოფლები, მაღალმთიანეთისთვის უჩვეულო გარემოს ქმნის. აღსანიშნავია ისიც, რომ იშვიათობას არ წარმოადგენს სახლებში თანამედროვე ჰიგიენური ნორმების დაცვით გამართული დამხმარე ნაგებობები — აბანო, სამზარეულო და სხვა.

თბილისელი ეთნოლოგების გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ საქართველოში დღევანდელი ენერგოკრიზისის ფონზე მარეთის ხეობის სოფლები ორი მიკროელექტროსადგურის მეშვეობით ზამთარ-ზაფხულ უზრუნველყოფილია მუდმივი ელექტროენერგიით. უფრო მეტიც, ალპური საძოვრების საზაფხულო ნაგებობებიც კი გაჩირაღდნებულია. ამ სიკეთისთვის ადგილობრივი მოსახლეობა დიდ მადლიერებას გამოთქვამს აქაური მკვიდრის, პარლამენტარის ანზორ გოგიტიძის მიმართ, რომლის ინიციატივითაც ეს სასიკეთო საქმე განხორციელდა.

საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების ფონზე გაკვირვებას იწვევს აგრეთვე აჭარის სოცუზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა, რომლებიც ამ ხეობის მოსახლეობას სისტემატურად და დროულად აწვდის ხელფასებსა და პენსიებს.

მარეთის ხეობის ტრადიციული კულტურის ნიმუშების გამოსავლენად ორ სოფელში — ოლადაურსა და კვიახიძეებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები მუშაობს, სადაც ამ კუთხის ყოფისათვის დამახასიათებელი ექსპონატებია მოთავსებული.

თბილისელი მეცნიერებისთვის ეს იყო პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია აჭარაში, რამაც მეცნიერულ ინტერესებთან ერთად დიდი სულიერი კმაყოფილებაც მოგვანიჭა. ამისთვის გულითადი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ექსპედიციის ხელმძღვანელს, პროფესორ ნ. მგელაძეს, რომლის ინიციატივითაც დაიგეგმა და განხორციელდა აღნიშნული ექსპედიცია, მადლობა მარეთის ხეობის მოსახლეობას ტრადიციული ქართული მასპინძლობისთვის, კეთილგანწყობისთვის, მათში დაგროვილი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების უშურველად გაზიარებისთვის; მადლიერებას გამოვხატავთ სოფელ მაწყვალთას მკვიდრის ზ. მაკარაძის ოჯახის მიმართ იმ ხელშეწყობისთვის, რამაც ექსპედიციის წარმატებული მუშაობა განაპირობა. ულრმესი მადლობა ბათუმის აბუსერისძე ტბელის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ი. ბიბილეიშვილს ჩვენდამი გამოჩენილი თანაგრძნობისა და ყურადღებისათვის.

**ნანული ჯავახაძე,**
**გულდამი ჩიქოვანი,**
**სალომე ბახია-ოქრუაშვილი,**
**ლერი ლევიძე,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლები.**



**სურათზე:** ექსპედიციის წევრები მარეთის ხეობაში, სოფელ გამონათლევის მშენებარე ეკლესიასთან.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 44, ორშაბათი, 17 თებერვალი, 2003 წელი.



# პუშკინი დაუღუპავთ „ცისფერებსა“ და... კურდღელს

**პოეტმა არად ჩააგდო „შავი ქვრივის“ წინასწარმეტყველება და ეს მას 1837 წლის 10 თებერვალს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.**

გინდ დაიჯერეთ და გინდ — არა, მაგრამ ალექსანდრე პუშკინს — უშიშარ დუელიანტს, ბანქოს აზარტულ მოთამაშეს და თავისი ეპოქის ამ ყველაზე განათლებულ ადამიანს — მხდალი ყურცქვიტასი ეშინოდა. როგორც კი დაინახავდა კურდღელს თავის გზაზე, იგი მაშინვე ბრუნდებოდა უკან, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ეს ცუდი ნიშანი იყო: კურდღელმა თუ გადაგირბინა გზაზე, უბედურებას უნდა ელოდე. მაგალითად, სწორედ ონავარი ყურცქვიტას გამო ვერ მოხვდა იგი მეგობარ დეკაბრისტებთან სენატის მოედანზე, თორემ ან ჩამოახრჩობდნენ, ანაც შორეულ ციმბირში უკრავდნენ თავს. ამ ორიოდე წლის წინათ მიხაილოვსკოეში ძეგლიც კი დაუდგეს გენიოსი პოეტის ყურცქვიტა მხსნელს.

ყოველივე ამაზე პუშკინმა მხოლოდ ერთხელ ჩაიქნია ხელი და ამან საფლავის კარამდე მიიყვანა კიდეც იგი.

დაუჯერებლად გეჩვენებათ? აი, რას წერს თვით პუშკინი.

„მე კვლავ სიმბირსკში ვარ, — წერს პოეტი თავის მეუღლეს, — მესამე ღამეს ორენბურგისკენ გავემგზავრე. ის-ის იყო შარაგზაზე გავედი, რომ წინ კურდღელმა გადამირბინა. ეშმაკმა დაგლახვროს, რას არ მივცემდი, ოღონდ ეგ წყეული თავიდან მომეშორებინა. მესამე სადგურში ცხენების გამოსაცვლელად შევჩერდი — ვხედავ მეეტლეები არ არიან, — ერთი ბრმაა, მეორე კარგად გამომთვრალიყო და იმალებოდა. გვარიანად ვიჩხუბე, თუმცა მაინც გადავწყვიტე შინ დავბრუნებულიყავი, ოღონდ სხვა გზით...“ (1833 წლის 14 სექტემბერი).

სიმბირსკის ფოსტის გზაზე პირველად მოხდა, როცა პუშკინი მაშინვე არ გაბრუნდა უკან, რადგან ორენბურგში მიეჩქარებოდა, სადაც აგროვებდა მასალებს „კაპიტნის ქალიშვილისა“ და „პუგაჩოვის ამბოხების ისტორიისათვის“.

ჰოლანდიელ წარგზავნილ ჰეკერენსაც ეჩქარებოდა. იგი შვებულებიდან ბრუნდებოდა რუსეთში. და იქნებ სწორედ მაშინ, როცა პუშკინმა სიმბირსკის გზაზე დაინახა კურდღელი, ამ ბებერ ქუირს გაუფუჭდა ეტლი... დიპლომატი ერთ უბადრუკ გერმანულ სასტუმროში გაჩერდა. აქ ავადმყოფობა სტანჯავდა ლამაზ ფრანგ ყმაწვილს. ჰეკერენი მისდამი თანაგრძნობით განიმსჭვალა, და მართალია, მისი ეტლი მალე შეაკეთეს, იგი მაინც დარჩა და დაელოდა დანტესის გამოჯანმრთელებას.

პუშკინმა ორენბურგში ყოველგვარი ფათერაკის გარეშე ჩააღწია. შინ დაბრუნებისას კი... „როგორც კი ბოლდინოს მივუახლოვდი, მღვდლებს გადავაწყდი, და ამანაც ისევე გამაბრაზა, როგორც სიმბირსკში კურდღლის დანახვამ. ალბათ, შემთხვევითი არ არის ასეთი შეხვედრები ძვირფასო“. უნდა ვიყო ფრთხილად (ცრუ რწმენით — მღვდელთან მოულოდნელი შეხვედრა ავის მომასწავებელია).

მაგრამ უკვე გვიან იყო. 11 ოქტომბერს, ანუ მას შემდეგ ზუსტად ერთ თვეში, რაც სიმბირსკში კურდღელმა გადაუჭრა გზა პოეტს, ჰეკერენმა რუსეთში ჩაიყვანა დანტესი.

### აი, სად ყოფილა ჩასაფრებული მუხთალი სიკვდილი

ზავა კიდევ სამთვენახევარი და პუშკინი დღიურში ჩაწერს, რომ ბარონი დანტესი მიიღეს გვარდიაში ოფიცრად. „გვარდია უკმაყოფილოა“. ალბათ, შეიძლებოდა, პოეტს იქვე მიეწერა — აი, სად ყოფილა ჩასაფრებული მუხთალი სიკვდილი? ეს ქერათმიანი და თეთრი პირისახის მქონე ფრანგი ხომ თეთრი მუნდირის ჩაცმას აპირებდა. ალბათ, უკვე მალე ახდებოდა „შავი ქვრივის“ ბოლო წინასწარმეტყველება.

ეს ქვრივი — ქალბატონი კირხჰოფი — ყველაზე მოდური მკითხავი იყო მთელს პეტერბურგში. ახალგაზრდობაში პუშკინმაც მიაკითხა მას. ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, თუ რა უწინასწარმეტყველა ქალბატონმა კირხჰოფმა დამწყებ პოეტს. იქნებ ის, რომ იგი მალე მიიღებდა ფულს და მოულოდნელ წინადადებას შესთავაზებდნენ, რომ სახელს მოიხვეჭდა და გახდებოდა თანამემამულეთა კერპი. რომ ორჯერ გადაასახლებდნენ და ღრმა სიბერემდე იცოცხლებდა, თუ... 37 წლისას უბედურებას არ დაატეხდა მას თავს თეთრი კაცი, თეთრი თავი, ან თეთრი ცხენი.

მაშინ პუშკინი 20 წლისაც არ იყო. წინასწარმეტყველება მას სერიოზულად არ აღუქვამს. მაგრამ იმავე საღამოს ლიცეუმელმა ამხანაგმა კორსაკოვმა მოუტანა დიდი ხნის წინათ მივიწყებული ვალი — ბანქოში წაგებული თანხა. შემდეგ გენერალმა ორლოვმა მას პოლკში ჩაწერა შესთავაზა. მალე მისი ლექსებისათვის გადაასახლეს სამხრეთში. არადა, კირხჰოფთან შეხვედრის შემდეგ სულ ნახევარი წელი იყო გასული.



პუშკინი მეუღლესთან ერთად სარკესთან.

პუშკინი ჩაფიქრდა. ამას მეორე გადასახლება მოჰყვა — ფსკოვის ერთ-ერთ სოფელში. პუშკინის სახელი და დიდება მთელს რუსეთს მოედო. მაგრამ აუხდენელი რჩებოდა ბოლო წინასწარმეტყველება.

იგი გამოუტყდა მეგობრებს, რომ მუდამ განიცდიდა შიშის გრძნობას, როცა ხელს ართმევდა თეთრ კაცს. ხოლო როცა ქერათმიან იმპერატორს — ნიკოლოზ პირველს წარუდგინეს, იგი უცებ შეძრწუნდა: „ეს ხომ არ არის სწორედ ის თეთრი კაცი, რომელზეც ჩემი ბედია დამოკიდებული?“ მან მიატოვა მასონთა საზოგადოება, რადგან იქ ერთ-ერთი ლიდერი იყო ადამ ვაისჰაუპტი (გერმანულად — „თეთრი თავი“). საქმე კურიოზებამდეც კი მისულა: დრაგუნმა მურავიოვმა სალონში შემთხვევით მოტეხა ხელი აპოლონ ბელოვედერელის ქანდაკებას. პუშკინმა დაწერა ეპიგრამა ბელვედრელ მიტროფანეზე. დრაგუნმა პუშკინს პარნასზე მაიმუნი უწოდა. მაგრამ ყველას გასაოცრად, გულფიცხი პოეტი არ გაბრაზებულა ამის გამო და დრაგუნს ბოდიშიც კი მოუხადა. თავის მეგობარს მან ეს ასე განუმარტა: „მიწინასწარმეტყველეს, რომ მომკლავს ან თეთრი კაცი, ან თეთრი ცხენი, მურავიოვს შეუძლია დუელში გამომიწვიოს, არადა, იგი არა მარტო თეთრი კაცია, არამედ — ცხენიც“.

როცა გაჭიანურდა პოეტის დაქორწინება მშვენიერ ნატალიასთან, დარდის გასაფანტავად მან პოლონეთში ჩასვლა გადაწყვიტა. იქაურობა აჯანყებას მოეცვა. მაგრამ ამბოხებულთა მეთაურებს შორის ვინმე ვაისკოფპიც იყო — კვლავ „თეთრი თავი“ — პუშკინი შეშინდა: „იგი ნამდვილად მომკლავს და მკითხავის წინასწარმეტყველება ახდება“.

### და აი, ჰორიზონტზე გამოჩნდა ქერათმიანი დანტესი

გვარდიაში მართლაც უკმაყოფილება სუფევდა — რატომ მიიღეს ასე მალე მის რიგებში ფრანგი? უმაღლესი საზოგადოებაც გაოცებული იყო. ბარონი ჰეკერენი, მთელს პეტერბურგში ცნობილი წუწურაქი, უცებ დიდ ფულს ახარჯავს ჟორჟს. იგი მას უჩვეულო მზრუნველობითა და სინაზით ეპყრობა, დაუახლოვა ქალაქის რჩეულ საზოგადოებას, თვით იმპერატორსაც წარუდგინა, იშვილა კიდეც და თავის ერთადერთ მემკვიდრედ გამოაცხადა. უმაღლეს საზოგადოებაში ეს თემა დიდი განხილვისა და ბჭობის საგნად იქცა. ვერსია, თითქოს ახალგაზრდა ფრანგი ჰეკერენის უკანონო შვილი იყო, მაშინვე უარყვეს, ბარონს ცოლი არასდროს ჰყოლია. მისთვის ქალები უბრალოდ არ არსებობდნენ. პეტერბურგელმა დიდგვაროვნებმა ბოლოს ისიც კი იფიქრეს, რომ ეს ქერათმიანი ლამაზი ყმაწვილი, თვით ჰოლანდიის მეფის უიღბლო სიყვარულის ნაყოფი იყო, ჰოდა, მანაც უკანონო შვილი რუსეთში გამოგზავნა ელჩთან. მისი პატრონობისათვის ბარონს კი მილიონი გადაუხადა.

### ცისფერები... ცისფერები

ფრანგის შვილად აყვანის საიდუმლოს ფარდას ხდის თავად ა. ტრუბეცკოის მოგონებები, რომელიც დანტესთან ერთად მსახურობდა კავალერგარდის პოლკში. თავად წერდა, რომ დანტესი იყო შესანიშნავი ამხანაგი, გონებამახვილი, მხიარული. „ცოტ-ცოტას იგიც სცოდავდა, მაგრამ ეს ყოვლად უწყინარი და ახალგაზრდა კაცისათვის დამახასიათებელი სიცელქე უფრო იყო. ერთის გარდა, რომლის შესახებაც ჩვენ გაცილებით გვიან შევიტყვეთ. არ ვიცი როგორ ვთქვა: იგი ცხოვრობდა ჰეკერენთან, თუ ჰეკერენი — მასთან... იმ დროისათვის უმაღლეს საზოგადოებაში გავრცელებული იყო მამათმავლობა (ჰომოსექსუალიზმი). თუ ვიმსჯელებთ იმით, რომ დანტესი გამუდმებით ეარშიყებოდა ქალებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰეკერენთან ურთიერთობაში იგი მხოლოდ პასიურ როლს ასრულებდა. იგი ძალზე ლამაზი იყო“.

აი, დანტესის შვილად აყვანის მთელი საიდუმლოც. პეტერბურგში ბარონის ირგვლივ შეკრებილი იყო უმაღლესი საზოგადოება — „ოქროს“ ახალგაზრდობა, რომელსაც გარკვეული მიდრეკილებები ჰქონდა. დუელის მიზეზი გახდა ანონიმური პასკვილი, რომელშიც პუშკინი რქებდადგმულ ქმრად მოიხსენიეს. პოეტს მის ავტორად ჰეკერენი მიაჩნდა. მაგრამ მთელი რიგი მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ პასკვილის ავტორები იყვნენ ბარონის ოქროს, უფრო სწორად კი — „ცისფერი“ გარემოცვის წევრები — თავადები ი. გაგარინი და ი. დოლგორუკოვი, რომლებიც ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. დოლგორუკოვი ერთხელ დაქორწინებულიც იყო, თუმცა მეუღლის მოვალეობის შესრულებას არ მიიჩნევდა საჭიროდ, რადგან, მისი თქმით, საამისოდ არსებობდა მეეტლე, ცოლმა იგი მიატოვა.



პუშკინის ბედისწერა დანტესი.

მკვლევარი პ. შჩოგოლევი ადასტურებდა ტრუბეცკოის სიტყვებს, რომ მამათმავლობა უმაღლეს საზოგადოებაში გავრცელებული იყო: ძირითადად — დიპლომატიურ წრეებში. „ასტები“ ანუ „ცისფერები“ მრავლად იყვნენ ორი სასწავლებლის — მისი უდიდებულესობის პაჟთა კორპუსის და გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალერიის იუნკერთა სკოლის კურსდამთავრებულთა შორის.

### ვიგელი, უვაროვი და სხვები...

როგორც ირკვევა, პუშკინი არ უნდა ყოფილიყო ეგრეთ წოდებული „ბერძნული სიყვარულის“ მომხრე. „არზამასის“ ლიტერატურულ საზოგადოებაში მის ამხანაგთა შორის იყო „ასტი“ ვინმე ფ. ვიგელი — დიპლომატი, ბესარაბიის ვიცე-გუბერნატორი, უცხო სარწმუნოებათა დეპარტამენტის დირექტორი, საიდუმლო მრჩეველი. 1823 წლის შემოდგომაზე პუშკინმა მას მიუძღვნა ლექსი „წყეული ქალაქი კიშინიოვი!“ ლექსში ბესარაბიის დედაქალაქს იგი ადარებს სოდომს, რომელსაც ღვთის რისხვა დაატყდა თავს ცოდვებისათვის. პოეტი დაცინვით თანაუგრძნობს ფილიპე ფილიპეს ძეს, რომელსაც საღამოს შეიძლება არ ესტუმროს სამი ლამაზი ახალგაზრდა კაცი, და არწმუნებს, რომ როგორც კი იპოვის თავისუფალ დროს დატოვებს ოდესას, რათა შეხვდეს მას.

10 წლის შემდეგ პუშკინი დღიურში ჩაწერს: ვიგელმა ვარსკვლავი მიიღო და ამით ძალზე კმაყოფილია. გუშინ ჩემთან იყო — მე მიყვარს მისი ლაპარაკი — იგი საინტერესო და საქმიანია, მაგრამ საუბარი ყოველთვის მამათმავლების თემამდე მიჰყავს.

დუელის შემდეგ ბრბო ბინძურ პასკვილს ს. უვაროვსაც მიაწერდა. იგიც „ასტი“ იყო, რომელმაც სამსახური დიპლომატობით დაიწყო, მოგვიანებით კი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდა, შემდეგ განათლების მინისტრადაც მუშაობდა. იგი პუშკინის დაუძინებელი მტერი იყო, თუმცა, ოდესღაც ისინი ერთად მოღვაწეობდნენ „არზამასში“. სერგეი უვაროვს ჰყავდა „დაქალი“ — თავადი მ. დონდუკოვ-კორსაკოვი. უვაროვმა თავისი „საყვარელი“ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად დააწინაურა, რათა მუდამ გვერდით ჰყოლოდა. ამ ამბავს პუშკინმა ერთ-ერთი ეპიგრამა მიუძღვნა.

პუშკინი ვერ ხვდებოდა დანტესის შვილად აყვანის ნამდვილ მიზეზს. იგი იზიარებდა საყოველთაოდ მიღებულ ვერსიას. ამიტომაც მისწერა მან ბარონს დუელის წინ: ენაჭარტალა დედაბერივით დადევდით ფეხდაფეხ ჩემს ცოლს, რათა გეამბნათ თქვენი ეგრეთ წოდებული უკანონო ვაჟის მისდამი სიყვარულის შესახებ; ხოლო როცა ათაშანგით დაავადებულს, შინიდან ფეხი არ უნდა მოეცვალა, თქვენ ეუბნებოდით, რომ მისი სიყვარული კლავდა“.

### დუელი

დუელი ჯერ კიდევ შემოდგომაზე მწიფდებოდა. ჰეკერენი შეშინდა. იგი ნებისმიერ შემთხვევაში კარგავდა „შვილს“. დანტესს ან დუელში მოკლავდა ჩინებული მსროლელი პუშკინი, ან, პოეტს თუ მოკლავდა იგი, სამუდამოდ გაასახლებდნენ რუსეთიდან. ამ ორთაბრძოლის თავიდან აცილების მიზნით ბარონი დათანხმდა დანტესის ქორწინებას ნატალიას დასთან — ეკატერინესთან. მაგრამ ჟორჟს სურდა მხოლოდ ნატალია — პირველი მთელი პეტერბურგის ლამაზმანებს შორის. დუელი გარდაუვალი იყო. გახსოვთ ნატალიასადმი მიწერილი წერილი, რომ სიკეთეს არ მოიტანდა სიმბირსკში კურდღელთან შეხვედრა? ან მისი სიტყვები: „ფრთხილად უნდა ვიყო, ძვირფასო“. ჰოდა, ახდა კიდეც. სწორედ თავისი ძვირფასი მეუღლის გამო დაიღუპა პოეტი.

ერთი რამ მაწუხებს დღემდე. პუშკინმა, რომელიც არასდროს ივიწყებდა „შავი ქვრივის“ წინასწარმეტყველებას, რაც ცხოვრებამაც დაუდასტურა კიდეც, სწორედ 37 წლის ასაკში რატომ უგულებელყო მკითხავის სიტყვები და გაემართა შავ ღელეზე, სადაც დუელი ჰქონდა დანიშნული თეთრ მუნდირში გამოწყობილ და თეთრ ცხენზე ამხედრებულ ქერათმიან თეთრი პირისახის კაცთან?

ანდა, სიმბირსკში კურდღლის დანახვისთანავე რომ ებრძანებინა მეეტლისათვის უკან გაბრუნება, იქნებ მაშინ არც ჰეკერენის ეტლი დაზიანებულიყო და აღარც დანტესს შეხვდებოდა იგი? თუმცა, ახლა მკითხაობას აზრი აღარ აქვს. ეტყობა, ასეთია ბედისწერა და მას ვერსად გაექცევი. თვით პუშკინიც ასე ამშვიდებდა ვიაზემსკის: „ბედი მუდამ გვეთამაშება. ნუ გაუწყრები. წარმოიდგინე, რომ იგი თავის ნებაზე მიშვებული უზარმაზარი მაიმუნია. განა ვინმეს შეუძლია დააბას იგი ჯაჭვით? ვერც შენ, ვერც მე, ვერც სხვა, ვერაფერს გააწყობ, ისევე როგორც ვერაფერს იტყვი“...

**პოეტების მკვლელები დანტესი და მარტინოვი ერთად მსახურობდნენ კავალერგარდის პოლკში, სადაც ერთმანეთს დაუახლოვდნენ კიდეც. ეს, ალბათ, არის კიდევ ერთი მისტიკური რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელმაც ასე უცნაურად დაუკავშირა ერთმანეთს პუშკინისა და ლერმონტოვის ბედი.**

**ევგენი მელეხოვი.**

„კომსომოლსკაია პრავდა“
2003 წლის 10 თებერვალი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სადაურსა სად წაიყვან...

**1903 წლის 19 თებერვალს საქართველოში დაიბადა და 1991 წლის 9 თებერვალს მინსკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მსახიობი თამარ წულუკიძე — დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის მეუღლე, მეგობარი და თანამებრძოლი.**

**მრავალტანჯულ ადამიანს, წლობით ციმბირის ბანაკების ბინადარს, 88 წლის ქალბატონს, შეუსრულეს ანდერძი: კრემაციის შემდეგ ურნა მისი ფერფლით სამშობლოში ჩამოასვენეს და თბილისში, ვაკის სასაფლაოზე, დედისა და ვაჟიშვილის გვერდით დაკრძალეს.**

**მკითხველს ვთავაზობთ რამაზ სურმანიძის მოთხრობის ნაწყვეტს, რომელიც, თამარ წულუკიძის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ნაკლებად ცნობილ ეპიზოდებს მხატვრულად ასახავს.**

**რამაზ სურმანიძე**

# ბანაკის არისტოკრატია

**(ნაწყვეტი მოთხრობიდან „მურდულის ქვა“)**

წერას მოვრჩი...

ერთხელ კიდევ ჩამოვკაკლე კრიალოსანი. ჯორკო, რომელიც ჩემი საწერი მაგიდაც იყო, გვერდზე მივაჩოჩე და კედელზე მიკიდულ საათს შევხედე, ღამის სამი საათი იყო. ელექტროლამპა უჩვეულოდ მძლავრად კაშკაშებდა.

წამოვდექი, თხის ტყავს ხელი წამოვავლე და კედელზე მივკიდე. იქვე პატარა თაროზე შეწყობილ წიგნების ყუაზე ათიოდე სახელი ამოვიკითხე: ზაქარია ჭიჭინაძე, ხარიტონ ახვლედიანი, აბდულ მიქელაძე, აპოლონ წულაძე, „შამილის ტყვე ქალები“, „იმერეთის მეფეები“, შამშე მეგრელიძე, ერთი ჩემი წიგნიც ერია... მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ერთ-ერთის რუსულმა წარწერამ მიიქცია –„Всего одна жизнь“, დიდი ასოებით ეწერა წიგნს.

თაროდან გადმოვიღე და დავხედე, ავტორი თამარ წულუკიძე იყო. ამდენ ქართულ წიგნში ერთი რუსულიც გამოერია, თუმცა, რა გასაკვირია, ჩვიდმეტი წელი დურმიშხანმა რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში გაატარა...

— მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ეს წიგნი? — ჩემს თავს ვეუბნები.

ჩემდაუნებურად გადავშალე და პირდაპირ ორასოთხმოცდამეშვიდე გვერდს ვკიდე თვალი.

„ჩანაწერი დღიურში:

აპრილი, 1951, კრასნოიარსკის მხარე, სოფელი აბანი...“

მომდევნო გვერდები რამდენჯერმე გადავიკითხე.

თავზე დამათენდა.

ცოტა ხანს მივწექი. როცა გამეღვიძა, მზე პერანგას მთის წვერიდან მთისძირამდე მეწამული ფერით ანათებდა.

ფრთხილი ნაბიჯით არქიფო შემოვიდა. თურმე ორი საათია ეზოში ზის და ჩემს გაღვიძებას ელოდება.

წამოვჯექი. ერთმანეთს მივესალმეთ.

— რუსული იცი? — მოულოდნელად შევეკითხე.

ხელში ის წიგნი მეჭირა. სანამ კითხვას დავაზუსტებდი, თავად დამასწრო.

— მაგაზე მკითხე? — წიგნზე მანიშნა.

— დიახ.

— რუსული კითხვა არ ვიცი. დურმიშხანი ხანდახან ჩვენც გვიკითხავდა და გვითარგმნიდა. უყვარდა ეს წიგნი.

— რატომ? — ჩავეძიე.

— რა ვიცი. ერთხელ მეც აქ ვიყავი. მისმა ბიჭმა ამოიტანა ეს წიგნი აქ. დურმიშხანმა შემთხვევით ქალის სურათი დაინახა, წიგნი გამოართვა და დიდხანს იყო სურათს დაშტერებული. მაგარი კაცი იყო. სათვალეს არ ხმარობდა და მაშინ ვნახე მისი აწყლიანებული თვალები. ბიჭს არაფერი უთხრა, მე მომიბრუნდა: ეს ქალი აბანის ბანაკში ჩემთან ერთად ტკეპნიდა ციმბირის მიწასო, მითხრა და სურათს ფრთხილად დაადო ხელი.

ყველაფერი გასაგები იყო. ჩვენ გველოდა შეხვედრა გენიალური სანდრო ახმეტელის მეუღლესთან, ქალბატონ თამარ წულუკიძესთან, თანაც არა საქართველოში...

ზაალი მოვიხმეთ. დურმიშხანის ჩანაწერები ჰქონდა. იქნებ ახლაც მაგნიტოფონის ლენტს დაეკმაყოფილებინა ჩვენი ცნობისმოყვარეობა.

* * *

განათლებულ ხალხს, რომელთა შორის მრავალი იყო ცნობილი მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი, ე. წ. „ბანაკის არისტოკრატიას“, ნებსით თუ უნებლიეთ, ციხის ადმინისტრაცია პატივისცემით ეპყრობოდა, მათ შორის გამოვყოფდი ექიმებს, რომელთა მიმართ განსაკუთრებული მოკრძალება აშკარა იყო. ხუმრობა ხომ არაა, შეიძლება გაჩნდეს ეპიდემია, დაერიოს პატიმრებსაც, ზედამხედველებსაც, მათი ოჯახის წევრებსაც. ამისი ყველას ეშინოდა, რადგანაც ეს ნიშნავდა დიდი ოდენობით სამუშაო ძალის დაკარგვას, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ თავად ადმინისტრაციას და მათი ოჯახის წევრებსაც ძალზე ხშირად სჭირდებოდათ ექიმის ხელი.

ეს მიზეზები საკმარისი იყო, რომ პატიმრებსაც ექიმი განსაკუთრებულ პატივში ჰყოლოდათ. არც ისაა გასაკვირი, რომ ისინი, ჯერ კიდევ გადასახლებაში მყოფნი, ურჩევდნენ თავიანთ შვილებს, საექიმოზე ესწავლათ. მგონი, ჩვენში ექიმობისადმი სწრაფვის ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს.

მეც ასეთი განწყობა მქონდა, თუმცა ინტელიგენციის ფასი ჩემთვის უცხო არ იყო. გადასახლებამდე მთელი ჩემი სიცოცხლე იარაღქვეშ ვიყავი, დედმამით ობლობაში გაზრდილს არავითარი განათლება არ მიმიღია, წერა-კითხვა გურულმა დობილმა მასწავლა და ზოგს ნახევრად ფირალი ვეგონე, მაგრამ სახელმწიფო სამსახურით ისეთ განათლებულ ხალხთან მქონდა საქმე, რომ სხვას ასეთი რამ ენატრებოდა. მე ვიცნობდი მასწავლებლებს, ექიმებს, მსახიობებს, ინჟინრებსა და აგრონომებს. მათგან მრავალი ჩემი უახლოესი მეგობარიც იყო. ამიტომ პატიმრობის დროს სულ იმაზე ვდარდობდი, რომ ამ ჭკვიან ხალხს სამუდამოდ დავკარგავდი და საქმე მექნებოდა თავზეხელაღებულ ავაზაკებთან, კაცის მკვლელებთან, მძარცველებთან. მართლაც, ამათგან სულ აკლებული ვიყავით, მაგრამ როგორც რამდენჯერმე ვთქვი, აღმოსავლეთ ციმბირშიც არ გვაკლდა ნასწავლი, განათლებული ხალხი.

ახლა ამ სამუდამო გადასახლების დროს, ჩემთვის საკმარისი არ იყო უბრალოდ განათლებული ადამიანი, აქ თვალი მიძებნიდა და სული მთხოვდა ისეთ ქართველ კაცს, ვისთანაც შემეძლო საუბარი, მსჯელობა, რჩევა-დარიგება, თუნდაც ჩვენს მძიმე ხვედრზე კამათი.

პირველ ხანებში, სანამ ახალ ადგილას „დავმკვიდრდებოდი“, ჩვენიანი არავინ შემხვედრია, შემდეგ გავიგე, რომ რამდენიმე მუშაკი ჰყავდათ ტაიგაში ხეტყის დამზადებაზე, მაგრამ იმათ არ შევხვედრივარ, ანდა როგორ შევხვდებოდი, როცა ჩემი მეურნეობის ღობის გარეთ უნებართვოდ არა თუ ვერ გავიდოდი, თვალითაც ვერ გავიჭვრეტდი. ვიყავი კრასნოიარსკის მხარის აბანის რაიონის მეცხენეობის მეურნეობაში და ჩვენთვის უჩვეულოდ მაღალი ცხენების მოვლა-პატრონობით ვიქცევდი თავს.

* * *

ზაფხულის ერთ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამომიძახა.

— სამი საუკეთესო ცხენი უნდა შეარჩიო და ათი დღე ავარჯიშო, — მითხრა.

ჩემი ახალგაზრდობა სულ ცხენზე გავატარე, ნამდვილი მხედარი ვიყავი, როგორც იტყვიან, ცხენზე მეძინა და მეღვიძა, მარულასაც მრავალჯერ დავსწრებივარ, მაგრამ ცხენების, თანაც ამ ჯიშის ახმახი ბედაურის ვარჯიშის არაფერი გამეგებოდა.

— ვავარჯიშო? — გავიკვირვე მე.

— ჰო, მაგრამ შენ კი არა, — განმარტა თავმჯდომარემ, — ამისათვის სპორტსმენი-მწვრთნელი გვეყოლება. შენ, მთავარია ცხენები შეარჩიო, სხვა სამუშაოსგან გაათავისუფლო, კარგად კვებო და სპორტსმენს ხელი შეუწყო წვრთნაში.

დავმშვიდდი.

— კი ბატონო, — დავეთანხმე.

იმ დღესვე ისე მოვიქეცი, როგორც თავმჯდომარემ მითხრა. ათი დღის შემდეგ ჩემი „ყორანა“, „ალათი“ და „ტორათი“ შევკაზმეთ და გავამზადეთ (ეს სახელები მე შევარქვი).

გავიგე, რომ კრასნოიარსკში ტარდებოდა რაღაც შეჯიბრი და ჩემი რჩეული ბედაურებიც იქ მიჰყავდათ.

დავალება შესრულებულად ჩავთვალე და მშვიდად წავედი სახლში. ისე ოდნავ დავნაღვლიანდი, ჩემი ამდენი ნაფერები ცხენები, ვინ იცის, ხელში ვის ჩაუვარდება და რა მოუვა-მეთქი.

ნახევარი საათიც არ გასულა, კურიერი მოვიდა — სასწრაფოდ თავმჯდომარე გიბარებსო.

მაშინვე კაბინეტში ვეახელი.

— შენც უნდა წაჰყვე კრასნოიარსკში.

— რატომ? — გავიკვირვე. — ოთხი წლის მანძილზე ასეთი რამ პირველად მესმოდა.



ა. გლებოვი. „ზაგმუკი“. რეჟისორი სანდრო ახმეტელი. სცენა სპექტაკლიდან, 1926 წ. ილთანი – თამარ წულუკიძე.

თურმე მწვრთნელს ისე მოეწონა ჩემი მოვლილი ცხენები, რომ ჩემს გარეშე წასვლაზე უარი თქვა.

რა გაეწყობოდა. უარის თქმის უფლება არ გვქონდა, ანდა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლებოდა, ამდენი ხნით ზონაში ჩაკეტილს, საშუალება მეძლეოდა ადამიანებთან გავსულიყავი. სასწრაფოდ მოვემზადე და კვლავ კანტორაში მივედი.

სამნი ვიყავით, წინ სამასი კილომეტრი გზა გვქონდა, მაგრამ იმაზე ადრე დავფარეთ, ვიდრე გვეგონა.

ქალაქის შესასვლელთან ვიღაც დაგვხვდა და პირდაპირ მოედანზე წაგვიყვანა, გვაჩვენეს ჩვენი სასტუმროც და ცხენების სადგომიც. შეჯიბრება სამი დღის შემდეგ გაიმართებოდა. მანამდე ჩვენს ცხენებს უნდა დაესვენათ და საჭირო წვრთნა გაევლოთ.

კრასნოიარსკის მოედანი სამაგალითოდ ყოფილა აშენებული. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან აქ მოდიოდნენ დასათვალიერებლად და სანიმუშო ნახაზების წასაღებად. იმ დღესაც იყო ერთი დელეგაცია. ჩემმა მწვრთნელმა მითხრა: მათ შორის ერთი ქართველი ინჟინერიც არისო და შემპირდა, რომ შემახვედრებდა.

მე შორს დავიჭირე, ვინმესთან შეხვედრის უფლება არ გვქონდა, მაგრამ დამამშვიდა, არავითარი საშიშროება არ მოგელისო და წამიყვანა.

ასე გავიცანი საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტორი კახა ჯავახიშვილი. ჩვენი ასაკის და განათლების ცენზის დიდი განსხვავებულობის მიუხედავად, ისე სასიამოვნოდ წარიმართა საუბარი, ერთმანეთს ვეღარ ვშორდებოდით.

სამწუხაროდ, იგი მეორე დღესვე უნდა გადაფრენილიყო ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში.

* * *

ერთ დღეს, კარგად მახსოვს, ეს იყო 1953 წლის 23 ნოემბერს, აბანის რაიონული კულტურის სახლში მიგვიწვიეს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა აქტივის კრებაზე. კრების დამთავრების შემდეგ გამოაცხადეს, რომ გაიმართებოდა კონცერტი, ხოლო კონცერტმაისტერად დაასახელეს თამარ გიორგის ასული წულუკიძე. მე ყურადღებად ვიქეცი, მაგრამ, როგორც წესი, იგი სცენაზე არ გამოჩენილა.

კონცერტი დამთავრდა და მეც კულტურის სახლის გამოსასვლელთან გავჩერდი. კონცერტის მონაწილე რუსულ ეროვნულ ტანსაცმელში ჩაცმულ ახალგაზრდებს შორის მომავალი ორმოცდაათიოდე წლის ქალი დავინახე: ბეწვის ქუდს ქვემოთ ჭაღარაშერეული თმა მოუჩანდა, ტანზე თხელი პალტო ეცვა, ფეხზე მაღალყელიანი ფეხსაცმელი. მისი სიარული მსუბუქ ცეკვას მოგაგონებდა, ისე ნარნარი იყო. უმალ ჩემი თავი დავირწმუნე, რომ თამარ წულუკიძე სწორედ ეს ქალი იქნება-მეთქი.

როგორც კი გამისწორდა, პირდაპირ შემომხედა და, ალბათ, თავადაც იგრძნო ჩემი დაჟინებული მზერა. წამით შედგა, შესაძლოა, ჩემმა ქართულმა იერმა შეაყოვნა.

— ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, თამარ წულუკიძე თქვენ ბრძანდებით?

— დიახ. — რუსული აქცენტით ქართულადვე მიპასუხა და სახეზე რაღაცნაირად ნაღველი გადაეკრიფა.

— მე... მეც, აქ ვმსახურობ, — დაბნეულად ვთქვი, — სოსნოვკის მეცხენეობის ფერმაში.

— მეზობლები ვყოფილვართ. მეც იქვე კოლმეურნეობის ბაღს ვყარაულობ.

— თქვენ, კოლმეურნეობაში? — გავიკვირვე მე. — თქვენ ხომ აქ კულტურის სახლში...

— არა, — შემაწყვეტინა თამარმა. — აქ როცა სჭირდებათ, მაშინ მოვყავარ ხოლმე. მსახიობი ვარ და...

ასე მოკლე საუბრით გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისი იყო. აქ მრავალსიტყვაობას ისედაც გადაგვაჩვიეს.

— თუ საჭიროდ ჩათვალოთ, ან იქნებ რაიმეში დაგჭირდეთ, იქ სოსნოვკის ფერმაში მნახავთ, — დავაწიე სიტყვა.

თამარი მობრუნდა. დაჟინებით შემომაცქერდა, თითქოს მიმახსოვრებდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, აუცილებლად. — თქვა, სწრაფად მიბრუნდა და გზა გააგრძელა.

არაფერზე არ შევუწუხებივარ ქალბატონ თამარს. შემდეგ, როცა გავიგე ვინც იყო, ჩავთვალე, ჩემთან სიახლოვე იუკადრისა-მეთქი, მაგრამ შევცდი.

სამსახურებრივი საქმის გამო ხშირად მიხდებოდა მეზობელ კოლმეურნეობაში გადასვლა. იქაურ ფერმაში გამგედ დაღესტნელი აბასოვი მუშაობდა, კარგი მოსაუბრე და გულღია კაცი იყო. იმას ვკითხე თამარზე:

— ჩემი თანამემამულეა, დიდი კაცის ცოლი და ცნობილი ადამიანი, ხომ არაფერი უჭირს?

— ეს ისეთი ქალია, რომც უჭირდეს, არ იტყვის, თუმცა ჩვენს პირობებში არცაა გასაკვირი. აქ ჩვენს ბაღ-ბოსტანს ღობე არა აქვს, აუცილებელია ყარაული, ჰოდა, ქალები იცავენ მას. თამარის გარდა, იქ ერთი ესტონელი ქალია, მეორეც აქაური მდაბიო, ულიანა. ქმარი ომში დაეღუპა და ახლა სამ ობოლ ბავშვს ზრდის, ქალებიც ეხმარებიან. — მითხრა აბასოვმა.

მესიამოვნა, თამარი ამ მდაბიო ქალთან რომ მეგობრობდა. დავრწმუნდი, არ სჭირდებოდა ჩემი დახმარება, ან, უბრალოდ, მოერიდა, თორემ ამას ის არ ითაკილებდა.

— თამარ წულუკიძე დიდი არტისტია, თოჯინების თამაშს ასწავლის ბავშვებს, — გააგრძელა საუბარი აბასოვმა, — მაგრამ აქაც ყველაფერს აკეთებს, ვერც კი შეამჩნევ, რომ ის მუშა არაა. ყველაფერი გამოსდის ხელიდან, მძიმე სამუშაოზეც უარს არ ამბობს, ყველაფერს გულით ასრულებს, თანაც ისე ზუსტად, რომ გეგონება, თუ ეს არ გაკეთდა, ყველაფერი დაინგრევაო.

ამის შემდეგაც რამდენჯერმე შევხვდი ქალბატონ თამარს, ისევ ორიოდ სიტყვით მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ მისი ნაღვლიანი გამოხედვა და ეს სიტყვები ერთდღიან საუბარს უდრიდა, იმდენად შთამბეჭდავი იყო.

მალე გავიგე, თამარ წულუკიძემ და ბელორუსმა მწერალმა ალეს პალჩევსკიმ პატარა ქოხი იყიდეს და ერთად ცხოვრობენო. ერთხელ ალესი ჩემთან გადმოვიდა, ქოხის სახურავის შეკეთება მინდა და ხის წვრილი მორები უნდა მივათრიოო. მე ქართველთა სიძეს მაშინვე მივეცი ცხენები „პოვოზკით“, ძალიან კმაყოფილი დარჩა. მასალა საძებარი არ ჰქონდა, თვითონაც დურგლების ბრიგადაში მუშაობდა.

მე რას ვაკეთებდი? ხომ გითხარით, ცხენების ფერმის გამგე ვიყავი, მუშები მყავდა, პირუტყვს უვლიდნენ, აჭმევდნენ, ბანდნენ, კვიცებს უვლიდნენ, ნაკელი გამოჰქონდათ... თუ რამე გადასატანი იყო, მთელს რაიონს ჩემი გამწევი ძალის იმედი ჰქონდა, ყველგან კი არ იყო ასეთი ფერმები. რა ვიცი, რას არ ვაკეთებდით... ბავშვთა ბაგა გავარემონტე, სასმელი წყლის ჭა გავასუფთავე, ხე-ტყე დავამზადე და გამოვიტანე, ხშირად სასმელი წყალიც, ცხენების საჭმელიც მომქონდა, ბზე, ნამჯა. მინდვრებში ხორბლის თესლს ვეზიდებოდი, მოსავალიც ბეღლებში ჩემს ბრიგადას მიჰქონდა, პურს ვცელავდით, ვლეწავდით, რა ვიცი...

ორმოცდათოთხმეტის აპრილიდან რაღაც ხმები გავრცელდა, ვითომც ჩვენი სამუდამო გადასახლების განაჩენი გაუქმდაო, მაგრამ ჩვენ ეს დიდხანს არ გვჯეროდა. ნოემბერში მართლაც მოვიდა განკარგულება, 10 დეკემბერს გამისწორეს საბოლოო ანგარიში და გზა დამილოცეს.

რაიონის ცენტრში ხალხის ტევა არ იყო, უმეტესობა სახლში ბრუნდებოდა. ზოგიც ჯერ კვლავ გადასახლებაში რჩებოდა. იყო გამოთხოვების ცრემლები, მოკითხვის, წერილების, ამანათების, მალე შეხვედრის სურვილები, წასვლის ღიმილი და დარჩენის სევდა...

ერთგან თოვლის ლოდებზე ქალების ჯგუფი შემომდგარიყო. შუაში თამარი დავლანდე; შავები ეცვა და ეხურა, მაგრამ იმდენ ქალში რაღაცნაირად ანათებდა მისი ეშხი და მიმზიდველობა, თავადაც შემნიშნა. მომეჩვენა, რომ გაეხარდა თანამემამულის ნახვა, მეც მისკენ გავიწიე. ქალებს გამოეყო.

— მიდიხართ? — მითხრა და მზერა ჩემოდნიან ხელზე გადაიტანა.

— დიახ, როგორც იქნა, გვეშველა. — ვუპასუხე, მორიდებით შევათვალიერე და შესაკითხად პირი დავაღე, მაგრამ თავად მიპასუხა:

— იანვარში დედა გარდამეცვალა. მეტი აღარავინ მყავდა, ის იყო ჩემი ერთადერთი ნუგეში.

ვერაფერი ვთქვი. თავადაც შეწუხდა, სახლში დაბრუნების სიხარული ოდნავ რომ დამიფრთხო.

— მაპატიეთ, ჩემი ნაღველით თქვენც რომ შეგაწუხეთ. ისე დავიღალე, რომ მგონია, მომავალში აღარაფერი გამახარებს.

— იმედია, მალე დაბრუნდებით და სამშობლოში სასიხარულოც ბევრი გამოჩნდება, მით უმეტეს, თქვენისთანა ადამიანისათვის. — ესღა ვუთხარი.

— ერთადერთი ამისი იმედი მაქვს, რომ შევხვდები ჩემს მეგობრებს, კოლეგებს. აქამდე მათმა სიყვარულმა, შორეულმა ნატვრამ მომატანებინა.

წასვლის სიგნალი გაისმა.

— მშვიდობით! — მითხრა და ხელი გამომიწოდა.

— ნახვამდის, იმედია, მალე სამშობლოშიც შევხვდებით.

სწრაფად მოვბრუნდი და ცხენმარხილებისაკენ გავემართე.

ციმბირში არაფერი დამრჩენია საფიქრალი, მაგრამ გული დამწყდა, ეს, ჩემთვის არცთუ ისე ახლობელი ადამიანი ჩვენთან ერთად რომ არ მოდიოდა და არ იზიარებდა ჩვენს საერთო სიხარულს...

... რვა დღე დამჭირდა სახლში ჩამოსასვლელად. გზაში რაზე უნდა მეფიქრა. ერთხანს იმის ანგარიშში ვიყავი, სულ რამდენი დღე გავატარე გადასახლებაში. ოცდაჩვიდმეტის 10 წელიწადს, ე. ი. 3652 დღეს, მეორე სამუდამო გადასახლების დრო, 1937 დღეც დაემატა. დიახ, 1937 დღე.

კარგი დამთხვევაა, არა?

**ქ. ბათუმი.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ია მშვიდობისა

## მძიმის ნიშანი

მე ვარ მძიმის ნიშანი. მე ვგავარ ჯოხს. ხან დაფაზე ვარ დასმული, ხან ფურცელზე, ხან კიდევ წიგნში.

მე ყველას ვუყვარვარ. მპატიჟებენ დაბადების დღეებზე. ჩემი თავი ძალიან მომწონს, ლამაზი ვარ, არა?

ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: არ მიყვარს წერტილ-მძიმე, იმიტომ, რომ ის მეტიჩარაა.

ახლა ჩემზე. მე ვიწერები მახვილი სიტყვის მერე, როგორც ესენია: დღეს, ის, ეს.

კიდევ მინდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ — არა. ჰაკა!

**რუსუდან ჩეჩელაშვილი.**
**ახალი სკოლის მე-3 ა კლასის მოსწავლე.**

## მურა – ჩვენი მეგობარი

მურა ჩვენი სკოლის მეგობარია: ყოველდღე ბავშვებთან ერთად სკოლაში მოდის და მიდის. ალბათ, ნატრულობს, მანაც იაროს სკოლაში, მასაც ჰყავდეს მზრუნველი ოჯახი, რომელიც მოუვლიდა, აჭმევდა, სითბოს აგრძნობინებდა, მოეფერებოდა, ქუჩაში თუ სადარბაზოში ღამეს არ გაატარებდა.

მურა საშუალო სიმაღლისაა, თეთრ ტანზე შავი მსხვილი ლაქები აქვს. ეს ფერები ისე ლამაზად ატყვია, რომ ადამიანს ეგონება, ვიღაცამ ფუნჯით მოხატაო. შავ თვალებში ღიმილი დასთამაშებს, კუდს სიხარულისაგან აქეთ-იქეთ აქიცინებს. სკოლიდან წამოსულ ბავშვებს მოჰყვება. მას ბავშვებმა სადარბაზოში გაუკეთეს პატარა სახლი. იგი ამით კმაყოფილია და იქ სიამოვნებით იძინებს.

ბევრჯერ მინდოდა მურასთან ლაპარაკი, მაგრამ მეშინოდა, ბავშვებს გიჟი არ ვგონებოდი. ამიტომ ერთხელ მურას თვალებით ვკითხე, ჰყავდა ოჯახი თუ არა, მაგრამ მან ისე შემომხედა, რომ ყველაფერს მივხვდი. მივხვდი, რომ იგი ვიღაცამ მიიჩვია, შემდეგ სახლიდან გააგდო. მან ეს ამბავი ისეთი თვალებით გადმომცა, ლამის ავტირდი. მურა მომიახლოვდა და ახლა მან მკითხა, მომწონდა თუ არა სკოლა, მე ვუთხარი, რომ სკოლა ძალიან კარგია. მან კუდი გაიქნ-გამოიქნია და გარს შემომიარა, ხელი გადავუსვი, მოვეფერე.

— ნატალი, წამოდი, — მითხრა კლასელმა და ხელი მომკიდა. მურამ სევდიანი თვალებით შემომხედა და დამემშვიდობა.

სკოლიდან გამოსულმა მურა ვიპოვე და ბევრი, ძალიან ბევრი ვესაუბრე.

**ნატალი ანთიძე,**
**შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის წევრი, თბილისის 172-ე სკოლის IV კლასის მოსწავლე.**

## ახალგაზრდობის შემოქმედება

# ყი-ყი-ყი

### არაკი

ლობის გასწვრივ, ამყაყებულ გუბეში, ერთი გაყეყილი ბაყაყი ცხოვრობდა. დილაობით, როცა ჭიებით, პეპლებითა და ხოჭოებით მუცელს ამოიყორავდა, იქაურობას ტრაბახით იკლებდა:

— ყი-ყი-ყი, ჩემისთანა ღონიერი და მრისხანე სულიერი ქვეყნად მეორე არ მოიძებნება, ყი-ყი-ყი!...

შუადღით, ხავსმოდებულ ნაპირზე ჩამომჯდარი ბაყაყი გუბის სარკეში საკუთარი გარეგნობით ტკბებოდა და აღტაცებით გაიძახოდა:

— ყა-ყა-ყა, ბედნიერებაა, რომ ასეთი ლამაზი და მოხდენილი ვარ, ყა-ყა-ყა...

საღამოობით მთვარეს შესცქეროდა და სიამოვნებით აცხადებდა:

— ყო-ყო-ყო, ჩემისთანა ტკბილხმოვანი მომღერალი სხვა არავინაა ამ ცისქვეშეთში, თვით მნათობებსაც კი ერთი სული აქვთ, როდის ავმღერდები.

ამ სიტყვებისთანავე პირაღმა გაწვებოდა, გაციების შიშით მრავალძარღვას ფოთოლს გაბეყილ მუცელზე მიიფარებდა და შთაგონებით აკრიმანჭულებდა გუბე-ჭაობის სადიდებელ სიმღერას.

ასე, ყიყინ-ყაყან-ყოყონში გადიოდა დრო.

ერთხელ, როდესაც ბაყაყი უსაქმურობისაგან ნაპირზე ყირას გადადიოდა, საშინელმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. გუბე ისე აიმღვრა და ათუხთუხდა, მდუღარით სავსე ქვაბი გეგონებოდათ, იქიდან გადმოსულმა ტყვიისფრად აზვირთებულმა ნიაღვარმა მოულოდნელობისაგან დაბნეული ბაყაყი ჩაითრია, ციბრუტივით დაატრიალა და იქვე, ბებერი თხმელის გაშიშვლებულ ფესვებს მიახეთქა, დარეტიანებულმა ბაყაყმა ერთი ამოიკვნესა და გულშეღონებული წყლის დინებას მინებდა.

გავიდა დრო.

ღრუბლებიდან მზე გამოჩახჩახდა. ბაყაყი მოსულიერდა, გაიხედ-გამოიხედა და გაოცებისგან ისე შეხტა, რომ სულ დაავიწყდა ცოტა ხნის წინ თავს დამტყდარი უბედურება.

— რა მოხდა? — რა და იმ მოვარდნილ ღვარცოფს გუბის ბინადარი სრულიად უცხო, მაგრამ მშვენიერ ადგილას გამოერიყა. ის ახლა ხარბად ათვალიერებდა ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ მინდორს; ჯანსაღ, ქოჩორა ტყეს; ხევისკენ გაკლაკნილ ბროლის ნაკადულს; ხევს გაღმა, ერთმანეთზე შედგმულ, სხვადასხვა ფერის კორდებს, ბორცვებს და გორაკებს, რომლებსაც ზემოდან დათოვლილი, გოროზი მთები დაბყურებდნენ.

— ყოყ!.. მშვენიერი ადგილ-მამულის პატრონი ვყოფილვარ და არ მცოდნია! — კმაყოფილებით გაიფიქრა ბაყაყმა და სალხინო შემოსძახა:

— ყი-ყაა, ყი-ყაა, ჭირიმე შენი! ყიყააა...

აქ ბაყაყი უცებ დამუნჯდა, რადგან, თავის სიცოცხლეში პირველად, მელა დაინახა...

მოშორებით, გორაკზე მოცუხცუხე გრძელკუდა ისე ფაცხა-ფუცხით იქნევდა კუდს, აშკარად ვიღაცას გაურბოდა. ასეც იყო, — არ გასულა დიდი დრო, რომ მელას თავს არწივი დააცხრა და საცოდავად აწკმუტუნებული სადღაც გაიტაცა.

— ყააყ!.. — თვალები საცრისოდენა გაუხდა ბაყაყს, — ვის გაუგია ჩემზე დიდი და ღონიერი სულიერის არსებობა ამ ცისქვეშეთში?!.. ცხადია, მომეჩვენა. — გადაწყვიტა ბოლოს და სველ ბალახზე ხტუნვა-ხტუნვით ტყის დასათვალიერებლად გაემართა. კარგა ხნის მოგზაურობის მერე ჭიკჭიკ-ქღურტული მოესმა და წითელქუდა სოკოს ქვეშ გაიტრუნა.

იმ დღეს ფრინველები სილამაზის კონკურსისათვის ემზადებოდნენ. იქვე, ბაყაყის შორიახლო, წიფლის ტოტებს მოფარებულები თავს დასტრიალებდნენ ტურფა ოფოფს, — ფერუმარილით ალამაზებდნენ, — ქოჩორს უვარცხნიდნენ, მძივებს ურჩევდნენ... მათი ქღურტული რომელიღაც ფრინველის ხმამ დაფარა: დროა, მეგობრებო, ვიჩქაროთ, თორემ კონკურსზე დაგვაგვიანდებაო!



თქმა და ქმნა ერთი იყო: წიფლის დაბურული ტოტებიდან ფრინველთა გუნდი გამოჩნდა. მათ ყვავილებით მოწნული ტახტრევანით თვალისმომჭრელი სილამაზის ოფოფი მიჰყავდათ.

დაყუყულმა ბაყაყმა შეხედა და... ისევ საცრისოდენა გაუხდა თვალები.

— ყაყ! მეჩვენება ვითომ? — ამჯერად საფუძვლიანად დაეჭვდა ყიყინა. მაგრამ რადგან ის მშვენიერი მთაველი სათავისოდ მიაჩნდა, გული დაიარხეინა, — ნამდვილად მოლანდებები დამეწყო სიცხისა და დაღლილობისაგან, მაგრამ არაფერია; უცებ შემოვურბენ აქაურობას, ჭიაღუა ქვეშევრდომებს თვალებს დავუბრიალებ და მერე დავისვენებ, წამოვგორდები, წავედიი, ყიი-ყაა, ყიი-ყაა...

ბაყაყმა კარგა ხანს იხტუნა და იძრომიალა ბალახ-ბულახში. ბოლოს მეხისგან დაკვრანჩხული მუხის ძირას მორაკრაკე წყაროს მიადგა. დასიცხულმა შინ ჭყუმპალაობა გადაწყვიტა, უეცრად უცნაური ხმაური მოესმა:

— ყოყ!... ეს კიდევ რა ჯანდაბაა, ამას ასე არ დავტოვებ! — მეტისმეტად გაგულისდა ბაყაყი. მოზრდილი ტლაპო გადაცურა, ღრანტეებს გადაახტა და ერთობ გაუგებარი სანახაობის წინაშე აღმოჩნდა. წრედ შემორკალულ მაღალ ბუჩქებს შორის, ყვავილებით მორთულ ფანჩატურში სხვადასხვა ჯურის ფრინველები ისხდნენ. სცენაზე, რომელიც განივრად გადაჭრილ ვეება ხეს წარმოადგენდა, მუსიკოს-მომღერლები იდგნენ და ტაშის გრიალში მაყურებლებს თავს უკრავდნენ. მათ ეს-ესაა რომელიღაც მოდური სიმღერა შეასრულეს. მერე კონფერანსიემ, — ფრაკიანმა ჩხიკვმა დარბაზს მიმართა:

— ძვირფასო ფრინველებო, ჩვენი კონცერტის დასასრულს, სცენას ვუთმობთ საქვეყნოდ ცნობილ მომღერალს ბულბულს...

კვლავ ატყდა ტაშისცემა, ხმაური, სტვენა, — მაგრამ, აი, გამოჩნდა ის კოხტა ფრინველი და უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში გალობა გაისმა ისეთიი? — ბაყაყს მსგავსი არაფერი სმენოდა.

ჰოდა, ეს უკვე მესამედ გაუხდა თვალები საცრისოდენა.

კონცერტი დასრულდა. ფრინველები აიშალნენ. ბაყაყი მთვრალივით, აცა-ბაცა ხტუნვით შინისაკენ გაემართა. მიხვდა, იმ ლამაზ ცისქვეშეთში რაც ნახა და მოისმინა, ყველაფერი სინამდვილე იყო. გული მაინც არ გაიტეხა:

— ყიიპ, ყოოპ! გიჟებით ყოფილა აქაურობა დასახლებული ამ უშნოდ გაფუყულებს თავი მძლეთამძლე გმირები, მზეთუნახავები და ტკბილხმოვანი მომღერლები ჰგონიათ. სინამდვილეში ყველა გონჯი და აბეზარი არსებაა. არა, შენი ჭირიმე, ამათგან თავი შორს უნდა დავიჭირო. საძაგლები! ფიჰ! ისე დამღალეს, ერთი სული მაქვს, როდის მივალ შინ!

მზე ჩადიოდა, როცა ყიყინა თავის საბრძანებელს მიუახლოვდა. შორიდანვე იშვირა ფეხები და შიგ ჩახტა. გაგრილდა, სული მოითქვა და... ყიყინ-ყაყან-ყოყონიც გაისმა. ესე იგი ქვეყნად ყველაზე ღონიერი, ლამაზი და ნიჭიერი გახლავართო...

მისი ქვეშევრდომები, — გუბეში და მის გვიმრამოდებულ ნაპირზე მობინადრე ნაირ-ნაირი ჭიაღუები თუ მწერები, როგორც ყოველთვის, თანხმობის ნიშნად დუმდნენ და მშვიდად ელოდნენ, როდის ისურვებდა ბაყაყი მათ ჩაყლაპვას.

ასეა: გუბეში ცხოვრება თუ გინდა, დუმილი უნდა იცოდე.

რატომ? იმიტომ რომ... თუმცა, რაღას მალაპარაკებთ, პასუხი ხომ თქვენც იციათ.

ყი-ყი-ყი...

**ნიკა შენგელია.**

## პოეზია – უპირველეს ყოვლისა

### ციკლიდან „ერთვნყლი და საკაცობრიო"

## მიხეილ ჩაჩუა

### მიმართვა აფხაზეთიდან დევნილ მამაკაცებს

აფხაზეთთან ერთად, ძმებო,
ჩვენ თავიც გვაქვს დაკარგული.
ვინ თქვას, ყიმისოდ ვძლებთო,
გასკდომაზე არის გული.

კი, აფხაზეთს დავიბრუნებთ,
თუ სიცოცხლეს ჩავკლავთ მდოვრეს.
ნუ ვედებით ლობე-ყორეს!
ნუ ვედებით ლობე-ყორეს!

დიდს თუ პაწას,
დიდს თუ პაწას,
დროთა, საქმეს რომ ვეწიოთ,
ხალხო, ამ მათხოვრულ წანწალს
არ სჯობს, მამულს შევეწიროთ?

გამოვიდეთ ქუდზე კაცი –
ასჯერ ასი და ათასი,
ერთად დავდგეთ, ერთმანეთის
გავისიგრძეგანოთ ფასი.

მთავარია ჩვენი ნება,
ჩვენი სულისკვეთება.
გმირთა ხელში შეიძლება
იზარბაზნონ კეცებმაც.

თავსაც მაშინ დავიბრუნებთ,
თუ სიცოცხლეს ჩავკლავთ დუნეს.
ეს სიცოცხლე გვინდა რისთვის,
მამულს თუ არ დავიბრუნებთ?
წინ, ახალი დიდგორისკენ
გავაქროლოთ ჩვენი ჰუნე!

### მე რა მიშავდა

მე რა მიშავდა,
შენ ყლმერთოდ რომ არ
მცკიოდე,
შენგამო სიმწრით
ძილ-ღვიძილშიც რომ არ ვკიოდე.
მე რა მიშავდა,
რა მიშავდა, თუნდაც იოცის
ოდენა შველა შემძლებოდა,
ძვირფასო შენთვის.
მაგრამ, ეცყობა,
გამწყრომია მაღალი ღმერთი
და ველარ გშველი,
შვილი შენი ვერაფერს გშველი;
თავზე მემხობა ამიცრომაც
ცაცა და ჭერიც.
მე რა მიშავდა,
შენ ყლმერთოდ რომ არ
მცკიოდე.

### შეჩერებული წამი

ახლა, განსჯის და კარგა
ხნის მერე,
როცა ვიხსენებ შენთან შეხვედრას,
მცერსაც კი ზოგჯერ
ისე შევხედავ,
ასე მგონია, არ იყოს მცერი; –
ზოგჯერ კი არა, ეს ხშირად
მომდის, –
სიძულვილისგან ვიცლები იმწუთს,
ალიონს ვხედავ, ვერ ვამჩნევ
მიმწუხრს,
ნელ-ნელა გულზე მეხსნება
ლოდიც;
ეკალთან ერთად ქრება ბარდებიც,
ბრდღვიალ-ბრდღვიალა მრჩება
ვარდები,
ლამის გავბავშვდე და გავჭაბუკდე,
ისემც ვიხარო, არას ვაბუქებ.
ძნელია თუმცა რწმუნება ამის:
ეს უქმოსილი შეჩერდა წამი, –
გადასარევად ცკბილი და ამო, –
როდესაც ვთხოვე: შეჩერდი, წამო!

## ყველაწმინდა

### აკაკი პეტაძეს

ბოსტანში ვაუცეხეთ პური,
ბოსტანში ავწიეთ თასი
გადმოვაპირქვავეთ გული
მამულის სიყვარულით სავსე.

ითქვა, სადღეგრძელო ბევრი
(რაჭველებს არ უყვართ
აჩქარება),
იყო დოქების ცევრი,
იყო ხვანჭკარის ჩანჩქერები.

ბევრი სადღეგრძელო შევსვით,
„ყველაწმინდაც" უნდა გვეთქვა
წესით.
წესთან* გაგვახსენდა „ყველაწმინდა"
და წესში „ყველაწმინდაც" შევსვით.

## აღდგომა დილას თქმული

მამა ელიოზს – მერაბ ელიოზიშვილს,
ვინაც პირველმა მომილოცა
აღდგომა დილა.

თუ ხარ, უნდა იყო კაცი,
ლხინიც შეგეძლოს და ომიც.
რაღაცით უნდა ჰგავდე არწივს,
რაღაცა უნდა გეცხოს ლომის.

მამულის, ოჯახის ბურჯად
იდგე და იწონებდე თავს...
რაღაცით უნდა ჰგავდე მთას, –
ზღვასაც მოლივლივეს ლუურჯად.

თუ ხარ, უნდა იყო კაცი,
თუ ხარ, უნდა იყო კაცი,
მამულის სიყვარულით აცრილს
გიყვარდეს მსოფლიო მთელი.

თუ ხარ, უნდა იყო ღირსი,
მაცხოვრის დაღვრილი სისხლის
და მისი აღდგომის ღირსი,
დიადი აღდგომის ღირსი.

აღარ გავაგრძელებ მეცს,
ან რა ვთქვა ამაზე მეცი:
რაღაცით უნდა ჰგავდე ღმერთს,
რომ შენში ღმერთობდეს ღმერთი.

აღდგომა დილა.
5 მაისი, 2002.

* წესი– სოფელია რაჭაში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# რამდენი წლისაა სამყარო?

**ამერიკელმა ასტრონომებმა შეძლეს დაედგინათ სამყაროს ასაკი: იგი წარმოიქმნა 13,7 მილიარდი წლის წინათ „დიდი აფეთქების“ შედეგად. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალება მათ მისცა „უილკინსონის“ კოსმოსური ზონდის მეშვეობით დედამიწაზე მიღებული მონაცემების ანალიზმა.**

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც ამუშავებს ზონდის მონაცემებს, შეძლო მიეღო სამყაროს ყველაზე ადრეული პირველი დეტალური გამოსახულება, ანუ „მოხერხდა სამყაროს ფოტოგადაღება. მისი ჩვილი ბავშვობის ასაკში, როცა იგი სულ 380 ათასი წლის იყო“. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ვარსკვლავები აკიაფდნენ „დიდი აფეთქებიდან“ მხოლოდ 200 მილიონი წლის შემდეგ.



ავტომატურმა კოსმოსურმა ხომალდმა სამყაროს სიღრმეში სტარტი 2001 წლის 30 ივნისს აიღო.

ამერიკელი ასტრონომების მიერ მიღებული შედეგების ოფიციალური წარდგენა მიმდინარე წლის 1 თებერვლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ეს გადადეს, რადგან ამ დღეს დაიღუპა კოსმოსური ხომალდი „კოლუმბია“ შვილი ასტრონავტით.

# ტოკიოში ღამით მოქალაქეთა სიმშვიდეს დაიცავენ... სუმოისტები

**„ისენოუმის“ კლუბის მოჭიდავეები ყოველ ღამით იმორიგევებენ ტოკიოს ედოგავას რაიონის ქუჩებში. ქუჩის ხულიგნებისაგან ქალაქის მცხოვრებთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, ეს აქცია იმასაც შეუწყობს ხელს, რომ იაპონელებში კიდევ უფრო დიდი პოპულარიზაცია გაუწიონ სპორტის ამ ეროვნულ სახეობას.**

როგორც გაზეთი „იომიური“ წერს, ქუჩებში ღამის პატრულირების იდეა გამოთქვა სუმოისტთა კლუბის მფლობელმა ისენოუმიმ. როგორც მან აღნიშნა, სურს, რომ ახალგაზრდა და ძლიერმა მოჭიდავეებმაც შეიტანონ თავიანთი წვლილი ქალაქის ამ უბანში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იაპონიის ჭიდაობა სუმოს ასოციაციაში დაადასტურეს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა სპორტსმენები მონაწილეობენ ქუჩებში ღამის მორიგეობაში.

ორი კაცისაგან შემდგარი კლუბის მოჭიდავეთა პატრული შუაღამის შემდეგ ყოველდღიურად გააკონტროლებს რაიონის ქუჩებს ყოველ ერთ საათში. მოჭიდავეებს ექნებათ პოლიციელის სასტვენი და ქამრები წარწერით „ღამის პატრული“.



ისენოუმის კლუბი მდებარეობს ტოკიოს აღმოსავლეთ გარეუბანში, ჰარუეტის საცხოვრებელ კვარტალში.

იმის მიუხედავად, რომ ამ უბანში ბოლო ხანებში რაიმე სერიოზული დანაშაული არ მომხდარა, ისენოუმის თქმით, – მოჭიდავეებს მაინც სურთ შეიტანონ შეძლებისდაგვარი წვლილი წესრიგის დაცვაში, მით უმეტეს, რომ ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის, აშკარად არ არის საკმარისი. „ პოტენციური დამნაშავეები მაშინვე გაიქცევიან, როგორც კი დაინახავენ ჩვენს გოლიათ მოჭიდავეებს, განა ასე არ არის?“ – მიაჩნია ისენოუმი სანს.

# აუქციონზე ვან გოგის სურათი კინაღამ გაიყიდა 83 დოლარად

**ტოკიოს ერთ-ერთი აუქციონის ორგანიზატორებმა კინაღამ ჩალის ფასად გაყიდეს ვან გოგის სურათი მას შემდეგ, რაც ვერ შეძლეს დამოუკიდებლად დაედგინათ ავტორის ვინაობა, იტყობინება „ბი-ბი-სი ნიუსი“.**

იაპონიის „შინვას“ კომპანიას, რომელიც აწყობს ხელოვნების ნიმუშების გაყიდვის აუქციონებს, დაგეგმილი ჰქონდა, რომ უცნობი მხატვრის ნამუშევარი – ზეთის საღებავებით შესრულებული გლეხი ქალის მცირე ზომის პორტრეტი (41X35 სმ) გაეყიდა 10 000-20 000 იენის ფარგლებში (დაახლოებით 83-167 დოლარი).



მაგრამ ბოლო მომენტში მოვიდა წერილი ამსტერდამის ვან გოგის მუზეუმიდან, რომელიც ადასტურებდა დიდი ჰოლანდიელი ფერმწერის ავტორობას, და ამან ლოტის საცალო ღირებულება სულ ცოტა 25 ათას დოლარამდე გაზარდა.

როგორც კომპანიის წარმომადგენელმა იოჰირო კურატამ განაცხადა, აუქციონი მოგვიანებით გაიმართება და სურათის ფასი შეიცვლება. „ჩვენ, უბრალოდ, ეჭვი გვეპარებოდა იმაში, ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა ეს ტილო გენიალურ მხატვარს“, – უთხრა მან ჟურნალისტებს.

„შინვას“ სპეციალისტებმა, რომლებმაც სურათი მიიღეს იაპონელი მხატვრისა და ვან გოგის და სეზანის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემლის კაზუმაცა ნაკაგავას კოლექციასთან ერთად, მაშინვე შენიშნეს, რომ იგი ძალზე წააგავდა ვან გოგის ერთ-ერთ ნამუშევარს. ხუთშაბათს ამსტერდამიდან მოსულმა წერილმა დაადასტურა, რომ მათი ეჭვი სამართლიანი იყო.

აუქციონის განმკარგულებელმა დირექტორმა შინჯი ჰასადამ აღნიშნა, რომ საჯარო ვაჭრობის დროს სურათის ფასი შეიძლება გაიზარდოს 30 მილიონ იენამდე (250 ათასი დოლარი), მაგრამ ნახატის რესტავრაცია უთუოდ უარყოფით გავლენას მოახდენს მის ფასზე.

ვან გოგის მუზეუმიდან გამოგზავნილ წერილში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ რესტავრაციის გამო სურათმა დაკარგა ის მრავალი დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რომლითაც გამოირჩევა ვან გოგის ფერწერა. მაგალითად, ტილოზე თითქმის აღარ შეინიშნება ფუნჯის მოსმის ის თავისებურება, რომელიც დიდ ჰოლანდიელს ახასიათებდა.

# ბრიტანეთის განათლების სამინისტროს შეკვეთით განხორციელებული გამოკვლევა

**სასკოლო კლასების აღჭურვა ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით არანაირ გავლენას არ ახდენს საგანმანათლებლო**



**პროცესის გაუმჯობესებაზე. ეს ხაზგასმულია გამოკვლევაში, რომელიც განხორციელდა დიდი ბრიტანეთის განათლების სამინისტროს შეკვეთით.**

მოხსენებაში აღნიშნულია: „განათლების სისტემაში სამთავრობო ინვესტიციათა უპრეცედენტო დონის მიუხედავად (ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასეთი დაბანდებების მოცულობამ მილიარდ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა), არ გამოვლენილა რაიმე „ხილული კავშირი“ კომპიუტერების გამოყენებასა და განათლების დონის ამაღლებას შორის“.

განათლების დონეზე კომპიუტერების დადებითი გავლენის ერთადერთი დადასტურება გახდა ის, რომ უმცროსი კლასების მოსწავლეები რეგულარულად იყენებენ კომპიუტერს ინგლისურ ენაში დავალებათა შესასრულებლად. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაუმჯობესება ძალზე უმნიშვნელო იყო. რაც შეეხება ზუსტ მეცნიერებებს, პერსონალური კომპიუტერი, პირიქით, აუარესებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებელს ამ სფეროში.

გამოკვლევის ფარგლებში 1999-2000 წლების პერიოდში დიდი ბრიტანეთის 60 დაწყებითს და საშუალო სკოლაში დაკვირვებას აწარმოებდნენ 700 მოსწავლეზე.

გამოკვლევის შედეგად ისიც გახდა ცნობილი, რომ საშუალო სკოლებში კომპიუტერის გამოყენების დონე ძალზე დაბალია, თუმცა, ყოველი ასეთი სკოლა სულ ცოტა 150 „ჭკვიანი მანქანით“ მაინც არის აღჭურვილი.

# ჰოლანდიაში გამოჩნდა ახალი ვალუტა

**ტრანსცენდენტალური მედიტაციის პროგრამის დამაარსებლის მაჰარიში იოგის მოძღვრების მიმდევართა მიერ გამოცემული „ვალუტა“ აღიარეს ჰოლანდიაში. ჰოლანდიის 100-ზე მეტმა მაღაზიამ გამოაცხადა, რომ ისინი მზად არიან მიიღონ რაამები, რომლებსაც მთელს მსოფლიოში უშვებს მშვიდობის გლობალური სახელმწიფო – მაჰარიშის მიერ დაარსებული მოძრაობა.**

ზოგიერთი ასეთი მაღაზია განეკუთვნება მსხვილი სუპერმარკეტების ქსელს. ისინი ქვეყნის მრავალ ქალაქშია განლაგებული.

როგორც ჰოლანდიის ცენტრალური ბანკის წარმომადგენელმა აღნიშნა, ვალუტას უშვებენ ჰოლანდიის ყველა კანონის დაცვით და სანამ ბანკი ნებას დართავდა ქვეყნის ტერიტორიაზე მის მიმოქცევას, მან ყოველმხრივ შეისწავლა ეს საკითხი.

სულ ოქტომბრიდან გამოუშვეს ერთი, ხუთი და 10 რამის ღირებულების დაახლოებით 100 ათასი ცალი ბანკნოტი. ჰოლანდიელები ამ ვალუტას უკვე სამი კვირაა იყენებენ.

ინდოელმა გურუმ მაჰარიში მაჰეშ იოგიმ XX საუკუნის 50-იანი წლების დამლევს შექმნა ტრანსცენდენტალური მედიტაციის პროგრამა და დააარსა სულიერი აღორძინების მსოფლიო მოძრაობა. ამ იდეით დაინტერესდნენ ჯგუფ „ბითლზის“ წევრები, რომლებიც 1968 წელს ეწვივნენ მას ინდოეთში და გაიარეს მედიტაციის პრაქტიკა. ამჟამად მსოფლიოში მისი დაახლოებით 40 მილიონი მიმდევარია.




# მილიარდი მზის ძალისაა!

თითქოსდა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანელმა მეცნიერებმა შექმნეს სინათლის წყარო, რაც მილიარდჯერ აღემატება მზეს. ქალაქ დარმშტადტში ააგეს ბილიარდი ვატის სიძლიერის ლაზერი. აბა, შეადარეთ: მზე ანათებს მხოლოდ ათასი ვატის სიმძლავრით. თავიანთ პირმშოს სწავლულებმა ლათინური „ფელიქსი“ დაარქვეს, რაც გაიშიფრება, როგორც „პეტავატის სიმძლავრის ლაზერი“.

ტექნიკის ამ სასწაულის შექმნას განუწყვეტელი ექსპერიმენტებისა და საჭირო ნაწილების ძიების ათი წელი დასჭირდა. პროექტის დამთავრებაში დიდი დახმარება გაუწიეს კოლეგებმა ბორდოდან, რომლებმაც, შექმნეს რა საკუთარი სუპერლაზერი, გერმანელ სწავლულებს ნება მისცეს, ნაწილებად დაეშალათ ის და აეღოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც გამოადგებოდათ.

დიტერ ჰოფმანის ხელმძღვანელობით შექმნილ კონსტრუქციას 400 კვადრატული მეტრი უჭირავს. მისი ნაწილების ადგილიდან დაძვრას მძლავრი ამწე სჭირდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისუფთავეს. ყველა მიმსვლელმა ხალათი და სპეციალური ფეხსაცმელი უნდა ჩაიცვას, ვინაიდან ასეთ მაღალ ტემპერატურაზე მცირეოდენი მტვერიც კი ლაზერისათვის საფრთხეს ქმნის.

# „ჰარი პოტერმა და ფენიქსის ორდენმა“ უკვე დაამყარა საბავშვო ლიტერატურის საცალო გაყიდვის რეკორდი

**ჰარი პოტერის თავგადასავლების ახალმა წიგნმა – „ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი“, – რომელიც 2003 წლის 21 ივლისს გამოიცემა, უკვე დაამყარა საბავშვო ლიტერატურის გაყიდვის საცალო ფასების რეკორდი, იტყობინება „ასოშიეიტედ პრესი“.**

როგორც ამერიკელი გამომცემელი ჯ. კ. როულინგი აცხადებს, ეს ახალი საბავშვო რომანი ამერიკის შეერთებულ შტატებში 29,99 დოლარად გაიყიდება.

საბავშვო წიგნით ვაჭრობის წარმომადგენლებმა ამ ფასს უკვე უწოდეს ყველაზე დიდი, რომელიც კი შეხვედრიათ თავიანთი საქმიანობის დროს. 2000 წელს გამოცემული ამ სერიის წინა წიგნი – „ჰარი პოტერი და ცეცხლის თასი“ 25,95 დოლარად იყიდებოდა. საბავშვო მხატვრული ლიტერატურის დიდი ნაწილი გაცილებით იაფი ღირს.

ახალი წიგნის ასეთი დიდი ფასი ძირითადად განაპირობა ბეჭდვითი მასალებისა და წიგნის წარმოების ღირებულებამ – ახალ გამოცემაში 700-ზე მეტი გვერდია.

თუმცა, მრავალი წიგნით მოვაჭრე მზად არის მყიდველს იგი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შესთავაზოს. მაგალითად, უდიდესი ინტერნეტმაღაზია „ამაზონ. კომი“, რომელშიც წიგნმა უკვე დაიკავა პირველი ადგილი ბესტსელერთა ნუსხაში, ჰარი პოტერის ახალ თავგადასავალს 17,99 დოლარად გაყიდის.




**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბექანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 44, ორშაბათი, 17 თებერვალი, 2003 წელი.

## ორშაბათი
17 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.10 მხ. ფილმი "**არლეტი**" 11.45 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.00 ნაშუადღევს 14.05 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 14.30 "საქართველო და გარესამყარო" 15.15 დოკ. ფილმი "ჰონგ კონგი 5 წლის შემდეგ" 16.15 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის შეხვედრა: თბილისის სტუ-ჯეოსელი – ბათუმის "ბასკო". შესვენებისას "რამპა". 17.45 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.50 მუს. პაუზა 22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**კონდორის სამი დღე**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**შეხვედრის ადგილი უცვლელია**" მე-4 სერია

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 19.05 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**სოლტონის ზღვა**" მთ. რ-ში: ველ კილმერი, სანდრა უესტი 02.00 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "**ბიჭები ბრუნდებიან**" 10.20 მხ.ფ. "**შეყვარებული თომა**" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "**საუკუნოდ ჩემი**" 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 22.30 მხ.ფ. "**გზაჯვარედინები**" 00.30 ღამის ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი "**ტყუპები**" 15.00 მხ. ფილმი "**სახელმწიფოს მტერი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**სასიყვარულო ისტორია**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**ირმებზე მონადირე**" 23.00 დოკ. ფილმი

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**დუეტები**" მთ. როლ-ში გვინეტ პელტროუ, მარია ბელო. 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო "**რომანტიკოსად დაბადებული**" მთ. როლში კრეიგ ფერგიუსონი 01.45 ფილმი ღამურა "**მეწამული ქალი**" მთ. როლ-ში ასია არჯენტო, ჯინ შეპარდი 03.45 პაუზის გარეშე

09.35 მხ. ფილმი "**თანამგზავრები**" 11.15, 14.00, 17.25, 18.25, 21.55, 23.45 მუსიკა 11.30 ქართ. მხ. ფილმი "**ანემია**" 13.35 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.15 დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" 15.45 მხ. ფილმი "**თვითმკვლელობის მეფეები**" 18.00 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-13 ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 116-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი**" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "**ციებ – ცხელება**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" 00.45 მხ.ფ. "**ჩაშლილი საქმე**"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 სათავგადასავლო ფილმი "**საიდუმლო კუნძული**" 12.15 თრილერი "**შეთქმულება თეთრ სახლში**" 14.20 კომედია "**მომაკვდინებელი ფეხბურთი**" 16.15 მულტფილმი "ეგვიპტის პრინცი" 17.55 მხატვრული ფილმი "**ავი ქალი**" 1 სერია 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 20.00 მელოდრამა "**მთელი ძალით**" 21.30 დოკუმენტური ფილმი 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.45, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" 01.05 მხატვრული ფილმი "**კლასიკოსი**" 03.30 მელოდრამა "**სხვადასხვა კუთხეში**"

VII არხი

09.20 "აჩიკუდა" 09.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.20 სპორტი 10.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია 10.55 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.15 "ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით) 12.05 კომპიუტერული ტექნიკა 12.40 დისნეი და მისი მეგობრები 13.00 კომპიუტერული თამაშები 13.15 მობილურები 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.35 კომპიუტერული ტექნიკა 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.55 კომპიუტერული თამაშები 21.10 "ლა-ლა-ლა" 22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.25 "კინოკლუბი " - "**ოცეოლა**" - ცხოვრებისეული. როლებში: გოიკო მიტიჩი 00.15 სპორტი 00.20 მობილურები 01.10 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი

## სამშაბათი
18 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 "ზოოპარკი" 10.10 მხ. ფილმი "**კონდორის სამი დღე**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "**ზღაპარი და ჯადოსნური ამბავი**" 16.55 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.50 დოკ. სერიალი 22.15 "სათავეებთან" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**შეხვედრების ადგილი უცვლელია**" მე-5 სერია

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება**"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "**რომა**"-"**ვალენსია**" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 "ბურთი და მოედანი" 10.50 მხ. ფილმი "**საუკუნოდ ჩემი**" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "**გზაჯვარედინები**" 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. "**კისრისტეხით**" 22.00 დიალოგი 23.45 ძველი კინო - მხ. ფილმი "**ფრთხილად ბანდიტები**" 01.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "**ირმებზე მონადირე**" 15.00 მხ. ფილმი "**ბოგუსი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ბრწყინვალება**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**ვერტიკალური ზღვარი**"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**სამაგალითო ხვადი**" მთ. როლ-ში ბენ სტილერი, მილა იოვოვიჩი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "**კაპიტან კორელის არჩევანი**" მთ. როლ-ში ნიკოლას კეიჯი, პენელოპა კრუსი 01.45 ფილმი ღამურა "**გარღვევაზე**" მთ. როლ-ში სინტია გირი, ენდრიუ მაკარტი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-13 ს. 10.30 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 11.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი**" 12.45 მხ.ფ. "**ციებ-ცხელება**" 14.15 "ტელემეტრი" 14.45 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.15 დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" 15.45 მხ. ფილმი "**ჩაშლილი საქმე**" 18.00 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 18.35 მულტსერიალი "ალექსი" 1-ლი ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 117-ე ს. 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი**" 22.15 მხ. ფილმი "**ბრძოლის ველი-დედამიწა**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" 00.45 მხ. ფილმი "**სასტუმრო შანხაი**"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 საბავშვო ფილმი "**ბავშთა სამყარო**" 12.15 სათავგადასავლო ფილმი "**უკანასკნელი რაინდი**" 1 სერია 14.00 თრილერი "**პრეტენდენტი**" 16.15 მულტფილმი 17.55 მხატვრული ფილმი "**ავი ქალი**" 2 სერია 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 «Ï ðåñš-ï àï üå» 19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 თრილერი "**დეტექტივი**" 21.30 დოკუმენტური ფილმი 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 კომედია "**8 თავი ერთ ჩანთაში**" 03.30 მხატვრული ფილმი "**ბუმერანგი**"

VII არხი

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "ბედნიერი ერი" 09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 10.55 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.25 მობილურები 12.05 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი . 12.25 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.15 კომპიუტერული თამაშები 13.25 დისნეი და მისი მეგობრები 13.45 კომპიუტერული ტექნიკა 14.30 ჰოროსკოპი 14.35 სპორტი 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.45 კომპიუტერული თამაშები 20.55 "ღამის კაპრიზი" - თემა: სექსი და კონტრაცეპტივა. 21.55 მობილურები 22.40 "კინოკლუბი" - "**ანგელოზები და მწერები**" . 00.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 01.20 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი .

## ოთხშაბათი
19 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.10 მხ. ფილმი "**შეხვედრების ადგილი უცვლელია**" მე-5 ს. 11.40 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.35 "თქვენი უფლებები" 15.15 მხ. ფილმი "**ფარაონი**" 16.25 კონცერტი 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.50 "ჰოლივუდის ვარსკვლავები" ჯინ ჰეკმანი 22.15 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**საგანგებო მდგომარეობა**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**კანონის მეორე მხარეს**"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 19.05 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "**მანჩესტერი**"-"**იუვენტუსი**" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი "**უიღბლოთა კლუბი**" 12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმეორებით) 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "**მშვიდობით პოლიციელო**" 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "**ქიშპი**" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "**ცხოვრება და მეტი არაფერი**" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "**ვერტიკალური ზღვარი**" 14.30 მხ. ფილმი "**მგლის საძმო**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ჩიხში**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**ჯუმანჯი**" 22.30 მხ. ფილმი "**ნიკი, ეშმაკის შვილი**"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**დაპკა მაგას, ის ფრანგია**" მთ. როლ-ში პაიპერ პერაბო 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 ჩაძირობანა 00.00 ფილმი ბრავო "**აჩრდილთა სამყარო**" მთ. როლ-ში ტორა ბერჩი, სტივ ბუშემი 01.45 ფილმი ღამურა "**ბრძოლა გადასარჩენად**" მთ. როლში ლენს ჰენრიკსონი, მარკ როლსტონი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 1-ლი ს. 10.30 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 11.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 12.50 მხ. ფილმი "**ბრძოლის ველი-დედამიწა**" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "მწერები იმპერია" 15.45 მხ. ფილმი "**სასტუმრო შანხაი**" 18.00 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" მე-2 ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "**ტარაკანი**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" 00.45 მხ. ფილმი "**ცივი გული**"

08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 საბავშვო ფილმი "რთული ბავშვი" 12.15 სათავგადასავლო ფილმი "**უკანასკნელი რაინდი**" 2 სერია 14.00 მხატვრული ფილმი "**საიდუმლო**" 16.15 მულტფილმი 17.30 კომედია "**მანიტუს მოკასინები**" 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 20.00 მელოდრამა "**წარსულზე მოგონებანი**" 21.30 დოკუმენტური ფილმი 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" 01.00 მელოდრამა "**ყველა ქალის ოცნება**" 03.30 თრილერი "**პრეტენდენტი**"

VII არხი

09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.45 კომპიუტერული ტექნიკა 12.20 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი . 12.40 მობილურები 13.25 დისნეი და მისი მეგობრები 13.45 კომპიუტერული თამაშები 14.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.40 მობილურები 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 კომპიუტერული თამაშები 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.00 კომპიუტერული ტექნიკა 22.20 "კინოკლუბი " - "**კრავთა დუმილი**". ა.შ.შ. 1992 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ენტონი ჰოპკინსი, ჰუდი ფოსტერი. 00.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 00.45 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი.

## ხუთშაბათი
20 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი "**საგანგებო მდგომარეობა**" 11.40 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 15.15 მხ. ფილმი "**ფარაონი**" 16.35 დოკ. ფილმი "აერობუსი" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.50 ნინო ანანიაშვილი თბილისში 22.30 "საქართველო არის ესე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**მარკიზ დე სადი**" 01.35 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**კაფკა**"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი "**ქალთა ქვეყანა**" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 19.05 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 20.05 სერიალი "**დატყვევებული გულები**" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 23.40 მხ. ფილმი "**ფანტომასი**" მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე 02.10 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი "**რაბინ იაკობის თავგადასავალი**" 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "**ცხოვრება და მეტი არაფერი**" 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "**ღმერთთა წისქვილები**" 1 ს. 00.55 მხ.ფ. "**ღმერთთა წისქვილები**" 2 ს. 02.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "**ჯუმანჯი**" 13.30 მხ. ფილმი "**ნიკი, ეშმაკის შვილი**" 15.00 მხ. ფილმი "**წამომწყები**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**მარტოხელა გმირი**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**გაიცანით ჯო ბლექი**"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**ფორტუნის ბორბალი**" მთ. როლში გლენ კლოუზი, ლივ ტაილერი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "**ქურდები**" მთ. როლ-ში კატრინ დენევი, დანიელ ოტოი. 01.45 ფილმი ღამურა "**შეთქმულების საიდუმლო**" მთ. როლში მელ გიბსონი, ჯულია რობერტსი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" მე-2 ს. 10.30 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 11.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 12.45 მხ. ფილმი "**ტარაკანი**" 14.15 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.10 დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" 15.45 მხ. ფილმი "**ბაქი და ჯადოსნური სამაჯური**" 18.00 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" მე-3 ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 20.00 ტელეჟურნალი "კონტაქტი" 21.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 22.00 "ჩემი ქვეყანა" 22.15 მხ. ფილმი "**ოროსტრიალი**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" 00.45 მხ. ფილმი "**ამერიკელი მაქცია პარიზში**"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 საბავშვო ფილმი "**მატჩი**" 12.30 მხატვრული ფილმი "**ცეკვები მგლებთან**" 15.30 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.25 კომედია "**ბოთეთა მეჯლისი**" 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.35 "პირისპირ" 20.35 მელოდრამა "**ჩრდილოეთის ნათება**" 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 კომედია "**ჩემპიონთა საუზმე**" 03.30 მხატვრული ფილმი "**მეხსიერებით თამაში**"

VII არხი

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.45 მობილურები 10.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.10 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი . 12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.00 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 კომპიუტერული თამაშები 13.40 კომპიუტერული ტექნიკა 14.00 სპორტი 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 20.20 კომპიუტერული თამაშები 20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: "შიში". 21.25 მობილურები 22.10 "კინოკლუბი"- "**ღმერთების სიკვდილი**". ა.შ.შ. 1991 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: ლუკინო ვისკონტი. 00.50 კომპიუტერული ტექნიკა 01.30 "ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## პარასკევი
### 21 თებერვალი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბელფეგორი" **10.15** მხ. ფილმი **"გოლიათი ქალის თავდასხმა"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** "მხოლოდ კლასიკა" **15.15** მხ. ფილმი **"ტკბილი ტყუილი"** **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" **17.10 50-50** **17.45** "ზუმი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "ენა დედაა ერისა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "ბენი ჰილი" **22.15** "მრავალსახეობა" **23.00** "დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი **"ურჩხულთა მეჯლისი"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"**

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი? **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.05** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **20.05** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.05** მხ. ფილმი **"ედი"** მთ. რ-ში: ვუდი გოლბერგი **02.10** მხ. ფილმი **"ნათლია 1"** მთ. რ-ში: მარლონ ბრანდო, ალ პაჩინო **04.00** კლასიკა

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი **"ღმერთთა წისქვილები"** 1 ს. **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10** მხ. ფილმი **"ღმერთთა წისქვილები"** 2 ს. **14.30** დოკ. ფილმი **15.20, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **16.20** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** კონცერტი **20.00** მხ.ფ. **"თავდაყირა"** **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"შინდლერის სია"** **02.10** ღამის ფილმი

კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **"გაიტანით ჯო ბლექი"** **15.00** მხ. ფილმი **"ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"დიდი ბიზნესი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ბრილიანტის პოლიციელი"** **22.30** მხ. ფილმი **"იამაკასი"**

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მიქსი მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი **"მოკვდი სხვა დროს"**. მთ. როლ-ში პირს ბროსნანი, ჰოლი ბერი. **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** რუსული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"თეთრი ოლეანდრი"** მთ. როლ-ში იმშელ პაიფერი, რენე ზელვეგერი **01.45** ფილმი ღამურა **"9 მმ"** მთ. როლ-ში პაოლო რობერტო, რებეკა ფეისი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" მე-**3** ს. **10.30** მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.45** მხ. ფილმი **"ორომტრიალი"** **14.15** "ჩემი ქვეყანა" **14.45** ტელეჟურნალი "კონტაქტი" **15.15** დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" **15.45** მხ. ფილმი **"ბაზა"** **18.00** მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** **18.40** მულტსერიალი "ალექსი" მე-**4** ს. **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** ტელეჟურნალი "კონტაქტი" **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ. ფილმი **"სიქვარული სატანაა"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"შეხედე ზღვას"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.15** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **10.00** სათავგადასავლო ფილმი **"მუშკეტერების დაბრუნება"** **12.15** დრამა **"სამხედრო ექიმი"** **14.00** კომედია **"ბედის საჩუქარი"** **16.15** მულტფილმი **17.30** მელოდრამა **"ბრაუნინგის ისტორია"** **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.35** "Ï ðåñń-ï àï üå" **19.45, 22.40, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **20.00** მელოდრამა **"ის მშვენიერია"** **22.45, 00.45** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **22.50, 00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.00** "ალტერნატივა" **01.00** კომედია **"შურისძიების გეგმა"** **03.30** თრილერი **"ფორსაჟი"**

VII არხი

**09.15** მელოდია **09.35** "აჩიკუდა" **10.00** კომპიუტერული ტექნიკა **10.40** "ბიორითმი". **11.00** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **11.40** მობილურები **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **13.25** "მელოდია" **13.50** კომპიუტერული თამაშები **14.00** "მელოდია" **14.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.40** კომპიუტერული თამაშები **19.45** "ობიექტივი" -სტუმარი **20.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **21.00** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.10** რაგბი - **ზეტ12** - სიდნეი -ოკლენდი **23.30** "კინოკლუბი " - **"ულზანა"**. ცხოვრებისეული. როლებში: გოიკო მიტიჩი **01.25** მობილურები **02.10** ბიორითმი" - აგუტინი და ვარუმი.

## შაბათი
### 22 თებერვალი

**08.00, 20.00, 00.45** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"ურჩხულთა მეჯლისი"** **10.00** დილის პაემანი **11.00** "ლატარია ყველასათვის" **11.10** "მხიარული კარუსელი" **11.40** დოკ. სერიალი "ოდისეა სივრცეში" **12.05** "ვიცი" **12.35** "მეტრო" **13.10** კვალი **13.40** დოკ. სერიალი "გაბრიელ შანელი" **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.00** რაგბიში ევროპის ერთა თასის გათამაშების მატჩი. საქართველო-ესპანეთი, შესვენებისას "მოამბე" **16.50** საწინდარი **17.10** მულტსერიალი "ბელფეგორი" **17.40** რეალური სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** "ენერგია" **19.35** "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" **20.40** "ფორტუნა" **21.10** სერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** **22.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი **"ბნელი წარსული"** **00.55** ღამის ჯაზი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** "ახლო ხედი" **21.00** დოკ. ფილმი **21.40** მხ. ფილმი **"ტუჩები განვადებით"**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.45** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **18.45** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **19.15** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **20.05** სერიალი "ჩინელი პოლიციელი" **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** **ფსიქო**. მხ.ფ. **"აპუს სამყარო"**. **01.15** მხ.ფ. **"წვიმის კაცი"** მთ. რ-ში: დასტინ ჰოფმანი, ტომ კრუზი **03.20** ღამის ჯაზი

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი **"თავდაყირა"** **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **12.40** მხ. ფილმი **"შინდლერის სია"** **15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **15.20** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **16.30** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.30** მხ.ფ. **"თოვლის ძაღლები"** **00.00** მხ.ფ. **"თავგადაპარსულები"** **01.40** ღამის ფილმი

კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **"ბრილიანტის პოლიციელი"** **13.30** მხ. ფილმი **"იამაკასი"** **15.00** მხ. ფილმი **"მახე"** **17.00** მხ. ფილმი **"ამერიკული ნამცხვარი 2"** **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მულტფილმი **21.00** მხ. ფილმი **"პერლ ჰარლბორი"** **00.20** მხ. ფილმი **"უშველე და შეინარჩუნე"**

**09.00** განმ. რუსული მუსათეული **10.00** ტოროლა **13.00** განმ. უცნობი **14.00** SMS შოუ **17.00** ფილმი **"ქუხილი შარვალში"** მთ. როლ-ში რუპერტ გრინი, საიმონ კელოუ **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** უცხოური მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"შეუკავებელნი"** მთ. როლში სტივენ დორფი, ნატაშა ჰენდრიჯი **01.50** ფილმი ღამურა **"წითელი პლანეტა"** მთ. როლ-ში ველ კილმერი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" მე-**4** ს. **10.30** მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.45** მხ. ფილმი **"ბაზა-2"** **14.15** "ტელემეტრი" **14.45** ტელეჟურნალი "კონტაქტი" **15.15** დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" **15.45** მხ. ფილმი **"ბაზა"** **18.00** მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** **18.40** მულტსერიალი "ალექსი" მე-**5** ს. **19.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **20.00** ტელეჟურნალი "კონტაქტი" **21.00** დოკ. მუს. ფილმი "იგლზი" **22.00** კლუბი ყაზბეგი: **1**. მხ. ფილმი **"ბედის შემობრუნება"** **77-83-28** **2**. მხ. ფილმი **"წარმატების ფორმულა"** **77-83-29** **3**. მხ. ფილმი **"იპოვე და გაანადგურე"** **77-83-30** **00.20** მხ. ფილმი **"გარღვევა"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.30** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** კომედია **"ფული ყოვლისშემძლეა"** **10.50** დოკუმენტური ფილმი **12.10** სათავგადასავლო ფილმი **"ასპენ ექსტრიმი"** **14.10** მხატვრული ფილმი **"ზღვის ლომების ჯგუფი"** **16.10** მულტფილმი "პრინცი ჰოდონი და პრინცესა რანრანი" **17.30** ისტორიული ფილმი **"ჟანა დ'არკი"** 1 სერია **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.30, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "პრესდაიჯესტი" **19.40** "ყველანი ვართ პატარები" **19.50** მხატვრული ფილმი **"შირი"** **22.50** «Ñëî âî » **00.50** მხატვრული ფილმი **"სპეციალისტი"** **03.30** მელოდრამა **"ლოლიტა"**

VII არხი

**18.10** მობილურები **18.50** მელოდია **18.55** კომპიუტერული თამაშები **19.00** "აჩიკუდა" **19.25** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.15** "ღამის კაპრიზი" - თემა: ნარკომანია **21.20** რაგბი - **6** ერი - უელსი -ინგლისი **23.05** "კინოკლუბი " - **"ლამაზი მამაკაცი"** იტალია **1983** წელი. კომედია. როლებში: ანდრიანო ჩელენტანო **00.25** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი. **02.15** კომპიუტერული ტექნიკა

## კვირა
### 23 თებერვალი

**08.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"ბნელი წარსული"** **10.00** "დილის პაემანი" **11.05** "დიდი დასვენება" **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** "სპა" **12.35** "პრეს-სტუდია" **13.25** მოსკოვი-თბილისი **13.55** "ღამის ჯაზი" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.15** დოკ. სერიალი "ოდისეა სივრცეში" **15.45** კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის "დინამო"–რუსთავის "აზოტი". **17.35** "ეძიე ქალი" **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** "ჩემპიონი" **18.50** ეკოდაიჯესტი **19.25** "ჩვენი მისამართია" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** "ამბობენ" **21.25** "მუსიკალური ოქტაგონი" **22.10** ტელესერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** **23.00** "შორეული ახლობელი" **23.40** მხ. ფილმი **"რა გაცინებს"** **00.10** ტაიმ-აუტი **00.40** მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** მრავალსახეობა **20.30** ვიცი **21.00** მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი) **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"არლეტი"**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **11.50** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **14.35** ველური ბუნება **15.05** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 23.40** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **18.45** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **19.15** ველური ამბები **20.00** სერიალი "ჩინელი პოლიციელი" **21.00** კურიერი **21.25** ჩვენი ეზო **21.40** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"მანქანა"** **8 77 45-79-25** ჟერარ დეპარდიე, ნატალი ბეი. **"ცბიერი ქურდი"** **8 77 45-79-26**, ალეკ ბოლდუინი, რებეკა დეორნეი. **"ჩემი ნაზი მხეცი"** **8 77 45-79-27** გალინა ბელიაევა, ოლეგ იანკოვსკი. **23.50** მხ.ფ. **"ინგლისელი პაციენტი"** მთ. რ-ში: რალფ ფაიანსი, ჟულიეტ ბინოში. **02.30** კლასიკა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** ალსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"თოვლის ძაღლები"** **10.20** მხ.ფ. **"თავგადაპარსულები"** **13.00** გადაცემა - მურადა (განმეორებით) **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ბრძოლის ველი"** **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ.ფ. **"დენთის კასრი"** **00.50** ღამის ფილმი

კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **"პერლ ჰარლბორი"** **15.00** მხ. ფილმი **"უჩინარი"** **16.50** მხ. ფილმი **"ნიღაბი"** **18.30** ჯაზ-პარნასი **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"კეთილი სახელი"** **22.00** მხ. ფილმი **"მოჩვენება"** **00.10** მხ. ფილმი **"ვარსკვლავური დესანტი"**

**10.00** ტოროლა **13.00** განმ. უცხოური მუსათეული **14.00** SMS შოუ **17.00** ფილმი **"ციური სასჯელი"** მთ. როლ-ში ელენ ბარკინი, ჯიმი სმიტსი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** ქართული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"ლუქინის დაცვა"** მთ. როლ-ში ჯონ ტურტურო, ემილი უოტსონი **01.40** ფილმი ღამურა **"ვარსკვლავური დესანტი"** მთ. როლ-ში კასპერ ვან დიენი, დენიზ რიჩარდსი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" მე-**5** ს. **10.30** მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** **11.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **13.00** რუს. მხ. ფილმი **"კუზიანი ცხენი"** **14.40** ტელეჟურნალი "კონტაქტი" **15.10** მხ. ფილმი **"იპოვე და გაანადგურე"** **17.00** მხ. ფილმი **"გარღვევა"** **19.00** გადაცემა "ბელისიმო" **19.30** გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** გადაცემა "ოსტატები" **20.40** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" **1**-ლი ს. **21.30** მხ. ფილმი **"სასიკვდილო ბრძოლა"** **23.40** მხ. ფილმი **"მორევი"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.30** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** "ყველანი ვართ პატარები" **9.30** სათავგადასავლო ფილმი **"შერლოკ ბონდი"** **10.35** კომედია **"პრეზიდენტის მრჩეველი"** **12.10** მხატვრული ფილმი **"ცისფერი ტორნადო"** **13.50** ისტორიული ფილმი **"პირველი რაინდი"** **16.10** მულტფილმი "მახვილი ქვაში" **17.30** ისტორიული ფილმი **"ჟანა დ'არკი"** 2 სერია **19.00, 22.20, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20** მელოდრამა **"დედინაცვალი"** **21.20** დოკუმენტური ფილმი **22.30** «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíü å» **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.30** «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíü å» **01.00** მხატვრული ფილმი **"დაქირავებული მკვლელი"** **03.30** ფილმი-ფანტასტიკა **"არმაგედონი"**

VII არხი

**16.50** "ლა-ლა-ლა" **17.40** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.00** ევროპული ფეხბუთი **19.00** "აჩიკუდა" **19.50** კომპიუტერული თამაშები **20.00** რაგბი - **6** ერი - საფრანგეთი -შოტლანდია **21.50** "კინოკლუბი " - **"ბინგო-ბონგო"** იტალია **1985** წელი. კომედია. როლებში: ანდრიანო ჩელენტანო **23.00** კომპიუტერული თამაშები **23.10** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა **23.20** მელოდია **23.30** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. **01.20** მობილურები

## □ □ □□ □□ □□



**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**
რუსთაველის 25. ტ.99-65-66

20.02 (18.00) ჯაკომო პუჩინი "ტოსკა". ოპერა სამ მოქმედებად. დირიჟორი - გიორგი ჟორდანია
22.02 (18.00) ლუდვიგ მინკუსი "დონ კიხოტი". ბალეტი სამ მოქმედებად. □□□□□□□□ - თამაზ ჯაფარიძე.
23.02 (12.00) ზაქარია ფალიაშვილი "აბესალომ და ეთერი". ოპერა ოთხ მოქმედებად ორი შესვენებით. □□□□□□□□ - თამაზ ჯაფარიძე.

*ფასი 2-5 ლარი.*

**□ □□□□□□□ □□ □ □□□□ □□**
□□□□□ "□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□" □□□□.
□□□: 93-11-06

22.02, 23.02 (14.00) sabavSvo zRapari "yvelaze didi saswauli"
21.02, 23.02 (19.00) kinomsaxiobTa Teatris speqtakli. rafiel erisTavi "jer daixocnen, mere iqorwines" damdgmeli reJisori - giorgi margvelaSvili.
19.02 (19.00) daTo turaSvili "jinsebis Taoba". damdgmeli reJisori _ daviT doiaSvili.
20.02 (19.00) federiko garsia lorka "sisxliani qorwili". damdgmeli reJisori _ goCa kapanaZe.
22.02 (19.00) avTandil varsimaSvili "provokacia". damdgmeli reJisori _ avTandil varsimaSvili.

*fasi 5 lari.*

მუნიციპალური „მეტეხის თეატრი"
**თეატრი "ძველი სახლი"**
**თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"**
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64
თეატრი "ძველი სახლი" M.M.M.M.

18.02 (18.00) aziz nesini "momkal-momkal..." damdgmeli reJisori - levan kuWaiZe.
21.02 (18.00) Teodor dostoevski "idioti". damdgmeli reJisori - sandro mrevliSvili.

*fasi 2-5 lari.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

18.02, 19.02 (20.00) nino basilia "Tagvi". damdgmeli reJisori - levan wulaZe.
20.02 (20.00) r. akutagava "usier tyeSi". mono speqtakli zviad sxirtlaZis monawileobiT. damdgmeli reJisori - nino SoTaZe.
21.02 (20.00) Stefan cvaigi "ucnobi qalis werili". damdgmeli reJisori - laSa mesxi.
22.02, 23.02 (20.00) giga naxucriSvili, zurab qiqoZe "muu". damdgmeli reJisori - zurab qiqoZe.

*□□□□ 5 □□□□.*



**სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
ვეკუას ქ.8 ტ. 62-61-97

22.02, 23.02 (18.00) aka morCilaZe "faliaSvilis quCis ZaRlebi". damdgmeli reJisori - daviT andRulaZe.

*fasi 3 lari.*



**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
*ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38*

17.02 (18.00) levan sanikiZe "bagrationebi". kote maxaraZis speqtakli.
20.02 (18.00) patrik ziusvandi "kontrabasi". kiTxulobs gia gogiSvili. damdgmeli reJisori nino axvlediani.

*□□□□ 5 □□□□.*



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

20.02 (18.00) kinomsaxiobTa Teatris speqtakli. uiliam Seqspiri "zafxulis Ramis sizmari". damdgmeli reJisori _ mixeil TumaniSvili.
21.02 (18.00) polikarpe kakabaZe "yvaryvare TuTaberi". □□□□ □□□□□ □□□□□□□ - levan wulaZe.
22.02 (18.00) mixeil bulgakovi "pilate". damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.
23.02 (18.00) Teodor dostoevski "maradi qmari". damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.

*fasi 2-5 lari.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ადამიანი დროში







# ვერელი ველოქურუმი

80 წლის კაცს, ისიც სპორტსმენს, გასაგებია, უამრავი მოგონება აქვს, მაგრამ ზოგიერთი ძირითადად ამ ლამაზი წარსულით ცხოვრობს, ძველი წარმატებებით ტკბება...

ავთო გუნია არ განეკუთვნება ასეთთა რიცხვს. იგი დღესაც შრომობს, ფუსფუსებს, მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემს მომავალ თაობას, იმედისმომცემ ახალგაზრდებს, რომლებმაც, ისევე როგორც თავის დროზე ავთომ, ველოსპორტი შეიყვარეს...

ავთანდილ გუნია, ძირძველი ვერელი კაცი, ორთვლიან სპორტულ ინვენტარს – ველო და მოტოსპორტს ეთაყვანება, თუმცა, მისთვის არც სპორტის სხვა სახეობები იყო უცხო ხილი – ჭიდაობა და, რასაკვირველია, ფეხბურთი.

* * *

... ადამიანს ძირითადად ოჯახი ან ის უბანი აყალიბებს, სადაც დაიბადა, აღიზარდა, ცხოვრების გზას შეუდგა. ვერის უბანს წინათ თავისი „მინი" უბანიც ჰქონდა – ბელინსკის (ახლა – თამრიკო ჭოველიძის) ქუჩის 21 ნომერში, სადაც ავთო გუნია 1923 წლის 17 თებერვალს დაიბადა, უამრავი კოლორიტული პიროვნება ბინადრობდა, იმ სახლში თუ ახლომახლოდ ცხოვრობდნენ დიდებული ქალბატონები: სესილია თაყაიშვილი, ლიანა ასათიანი, ბელა მირიანაშვილი, „იმუბნელია" ნინო ანანიაშვილი, დები ლია და ნანული სარაჯიშვილები, ელენე ყიფშიძე... ახლა ვაჟებს არ იკითხავთ? არჩილ გომიაშვილი, ტარიელ საყვარელიძე, კოტე მაკარიძე, ნიაზ დიასამიძე, ალიკ გორგაძე, ბიძინა ავალიშვილი, ირაკლი ციციშვილი, დოდო აბაშიძე, მამა-შვილი დავით (დათო) ყიფიანები, გიგა ლორთქიფანიძე, ქართლოს კასრაძე, გუგული თორაძე, არჩილ გოგელია, ზურა ქვარიანი, გოგი გელოვანი, ბიჭიკო ანდრონიკაშვილი და მრავალი სხვა ღირსეული მამულიშვილი. ახლა ზოგიერთის ზედმეტსახელიც მოვიგონოთ: „წოპე", „ჩილა", „ჩიპაია", „ჭუტალა", „ლორთქია", სხვები და სხვები.

ასეთ გარემოცვაში მყოფმა ავთო გუნიამ ჯერ საშუალო სკოლა (მე-18, ფილარმონიასთან), 1952 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1960 წელს კი ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა.

**– და, მაინც, ვინ მოგიყვანა ველოსექციაში, შენი გარემოცვიდან გამომდინარე, ალბათ, უპრიანი იქნებოდა თეატრალური ინსტიტუტის და სცენის არჩევა...**

– იმ წლებში ველოსპორტის ერთგვარი ბუმი იდგა, ბიძაჩემი გიორგი ლექავაც უკვე ცნობილი სპორტსმენი იყო – 4-გზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ველოსპორტში. მწვრთნელებიც საუცხოო შემხვდა: ვერელი ივან სტეპანოვი და არკადი (ტიტე) ხაბურძანია. სწრაფად მივაღწიე მაღალ შედეგებსაც: 1944-53 წლებში საქართველოს ჩემპიონი გავხდი ბარე 20-ჯერ სხვადასხვა დისტანციაზე, ორჯერ ვიყავი საბჭოთა კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ორჯერ გავიმარჯვე საერთაშორისო შეჯიბრებაზე ლიდერ გიორგი ლექავასთან ერთად.

**– მარცხიც ხომ განგიცდიათ?**

– 1953 წელს ორი შეჯიბრება წავაგე გურამ რატიანიძესა და ვოვა ძებნიაურთან ველოსპორტში და ამის შემდეგ აღარც გამოვსულვარ ველოსიპედით...

**– და მწვრთნელობა დაიწყე?**



– გამოცდილება საკმაოდ მქონდა, სურვილიც გამიჩნდა ახალგაზრდების აღზრდისა. 1957-დან 73 წლამდე გახლდით საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი. „ჩემს ხელში" გაიარა იმ პერიოდის თითქმის ყველა ველოსიპედისტმა. ბევრი მათგანი მთავრობის წევრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი გახდა...

**– როგორც ვიცი, „მეორე მუზა" – მოტოსპორტიც გიყვარდა.**

– მოტოკროსში ძალების გამოცდა მოვინდომე ჯერ კიდევ 1945 წელს, საქართველოს პირველობაზე. ბიძაჩემმა მირჩია, არ გინდა, შერცხვებიო. ვიუკადრისე და ისე ყველაფერი აგიხდათ: 43 მონაწილეს შორის დავიკავე... 43-ე ადგილი! მაგრამ ახალგაზრდული ჟინი ხომ იცი რაა! არ შევეშვი მოტოსპორტს, ბევრს ვვარჯიშობდი და 1946-57 წლებში, თუ ტექნიკა არ მღალატობდა, იპოდრომზე, წრიულ შეჯიბრებებზე პირველობას არავის ვუთმობდი. აქაც გამიმართლა – ჩემი პირადი მექანიკოსი გახდა ცნობილი შალვა სუხიშვილი და, აქედან გამომდინარე, პირველი დიდი გულშემატკივარი – ილიკო სუხიშვილი. ჩემი რკინის რაშით გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, აგრეთვე II და III პრიზიორი.

**– ახლა მოდი, ჩემო ავთო, შენი საფეხბურთო „ბატალიები" გავიხსენოთ.**

– ფეხბურთი, ხომ იცი, ყველა ქართველის ბედისწერაა. მეც მითამაშია, თანაც ცნობილ ფეხბურთელებთან. მაგალითად, სკოლაში: ზურა ქვარიანთან, სპარტაკ ჯეჯელავასთან, მერაბ გამყრელიძესთან („ჩიკლიკა"), დათო (უფროსი) ყიფიანთან ერთად. დაბა ლესელიძეში, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები საწვრთნელ შეკრებაზე ვიყავით ხოლმე, მითამაშია გიორგი და ბორის სიჭინავებთან, მიშა მესხთან, ილია დათუნაშვილთან, ვოვა ელოშვილთან, მიშა პირაევთან, სერგო კოტრიკაძესთან...

**– ჭიდაობის სფეროდანაც ხომ გყავდა პარტნიორები... ფეხბურთში?**

– ველოტრეკზე იმართებოდა დაუვიწყარი ორთაბრძოლები, ვთქვათ, 1957 წელს. აი, პირველი გუნდის შემადგენლობა: გივი კარტოზია, ამურ ციმაკურიძე, მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე, გიორგი სხირტლაძე, ოთარ კანდელაკი... მეორე გუნდი. კაპიტანი – მე, შემადგენლობა: ბორის პაიჭაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ბიჭიკო ქორქია, ნოდარ გუგუშვილი (გაზეთ „ლელოს" თანამშრომლები), ოტია ქორდანია, ლევან სალაყაია და სხვები. ჩვენი გუნდის ექიმი გახლდათ ყველასთვის ცნობილი „წოპე".

**– საზღვარგარეთ თუ გქონია ასეთი საფეხბურთო სპექტაკლები?**

– გვითამაშია კუბაზე, ქვიშიან „მოედანზე" ისეთ გუნდში, სადაც კარს იცავდა ლევ იაშინი: თამაშობდა ო. პოპენჩენკო (მსოფლიო მრავალგზის ჩემპიონი კრივში), მე კი გუნდის კაპიტანი ვიყავი...

**– ასეთ ძვირფას მოგონებათა შესახებ ნუთუ არ გაგჩენია სურვილი მომცრო წიგნში მაინც მოგეთხრო სპორტის მოყვარულთათვის?**

– წიგნის გამოცემას, ხომ იცი, გვარიანი თანხა სჭირდება, მე კი, სადაც ვმუშაობდი და ვმუშაობ (აგერ უკვე 50 წელი იქნება) ასეთ თანხებს არ ვღებულობ (იცინის).

* * *

ჰო, მართლა, ავთოს სიცილზე გამახსენდა, რომ მის სახეს არ სცილდება სანდომიანი, ადამიანური ღიმილი, რომელიც კეთილ ადამიანს მუდამ გამოარჩევს სხვათაგან.

სიკეთე აკეთა ავთო გუნიამ მთელი ამ რვა ათეული წლის განმავლობაში! ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდას ემსახურება დღესაც და მომავალშიც, რადგან მან არ იცის დაღლა. სხვანაირად ვერავინ წარმოიდგენს ჩვენი სპორტის ღირსეულ ამაგდარს, ველო და მოტოსპორტის ვერელ ქურუმს.

**ანზორ ბასილაია.**

**სურათებზე: ავთო გუნია – მწვრთნელი, დამხმარე და ხელისშემწყობი; ავთო გუნია (ცენტრში), მარცხნივ – ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები – ფრანგი დანიელ მორელონი და ჩეხოსლოვაკიელი ივან ტკაჩი (1983 წ.); „რკინის რაშზე" ამხედრებული ავთო გუნია.**

**(ავთო გუნიას ფოტოარქივიდან).**

მხოლოდ შედეგები



## კალათბურთი

**საქართველოს ჩემპიონატი.** „დინამო" – აკადემია 85:72, სტუ – ქუთაისი 111:62, თსუ – „ბაკო" 76:74, „მაქაბი" – „აზოტი" 83:106.

## ფეხბურთი

**იტალიის ჩემპიონატი.** „კიევო" – „ინტერი" 2:1, „რომა" – „ბრეშია" 0:0.

**ესპანეთის ჩემპიონატი.** „ესპანიოლი" – „ბარსელონა" 0:2, „ვალენსია" – „მალაგა" 2:0, „ვალიადოლიდი" – „დეპორტივო" 0:1.

**გერმანიის ჩემპიონატი.** „მიუნხენი" – „ბაიერნი" 0:5, „ჰამბურგი" – „ვოლფსბურგი" 2:0, „ლევერკუზენი" – „ჰანზა" 1:2, „ბორუსია" – „ბოხუმი" 4:1, „შალკე" – „შტუტგარტი" 2:0, „ბილეფელდი" – „კაიზერსლაუტერნი" 1:1, „ნიურნბერგი" – „ვერდერი" 1:0.

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** „ნანტი" – „სოშო" 0:1.

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** „როზენდალი" – „უტრეხტი" 0:1, „ეინდჰოვენი" – „ზვოლე" 6:0, „აიაქსი" – „გრონინგენი" 2:1, „ალკმაარი" – „ფეიენოორდი" 1:4, „ტილბურგი" – „როდა" 5:0, „ბრედა" – „ექსცელსიორი" 2:1.

**ბელგიის ჩემპიონატი.** „ბრიუგე" – „სტანდარდი" 4:2, „მონსი" – „გენტი" 0:1, „ბეერსხოტი" – „ლუვიე" 2:0, „ლოკერენი" – „ბევერენი" 1:2, „ლიერსი" – „მეხელენი" 3:0, „ლომელი" – „გენკი" 1:3, „სენტ ტრუიდენი" – „ვესტერლო" 1:0,.

**პორტუგალიის ჩემპიონატი.** „ბოავიშტა" – „ფერეირა" 0:0, „მარიტიმუ" – „პორტუ" 2:1.



**შოტლანდიის ჩემპიონატი.** „რეინჯერსი" – „ჰართსი" 1:0, „ჰიბერნიანი" – „დანფერმლაინი" 1:3.

**თურქეთის ჩემპიონატი.** „მალათია" – „დენიზლი" 2:1, „ფენერბახჩე" – „გაზიანთეფი" 2:0, „სამსუნი" – „ქოჯაელი" 1:0.

**საბერძნეთის ჩემპიონატი.** „იანინა" – „არისი" 0:1, „ეგალეო" – „პანახაიკი" 4:0.

**ჩეხეთის ჩემპიონატი.** „ტეპლიცე" – „სპარტა" 1:0.

**ინგლისის თასი.** „მანჩესტერი" – „არსენალი" 0:2, „შეფილდი" – „უოლსოლი" 2:0, „სანდერლენდი" – „უოტფორდი" 0:1, „საუთჰემპტონი" – „ნორვიჩი" 2:0.

**საფრანგეთის თასი.** „კლერმონი" – „ბოვე" 1:0, „ისტრი" – „სენტ ეტიენი" 0:1, „ბურჟი" – „ოსერი" 1:3, „მარტიგი" – „მეცი" 2:1, „შილტიგემი" – „ტულუზა" 3:0, „ლიბურნი" – „რენი" 0:3, „ანგულემი" – „გენგამი" 0:0 (პენალტებით – 3:1).



## რაგბი

**ევროპის ერთა თასი.** პორტუგალია – საქართველო 34:30.

**ექვსი ერის თასი.** ინგლისი-საფრანგეთი 25:17, იტალია-უელსი 30:22.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეს საინტერესოა

## ჩოგბურთის ისტორიიდან

**სპორტის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სახეობის – ჩოგბურთის უპრესტიჟულესი ასპარეზობა – დევისის თასის გათამაშება რამდენიმე წლის წინათ საუკუნის გახდა. იმის შესახებ, თუ ვის სახელს უკავშირდება მისი დაბადება და, საერთოდ, როგორია ელიტური საზოგადოების ამ ნებიერას ისტორიის შთამბეჭდავი ფურცლები, შემოთავაზებული წერილიდან შეიტყობთ.**

# ვნებანი ვერცხლის სასაღათის გარშემო



ჩოგბურთელ ვაჟთა უდიდესი გუნდური შეჯიბრება ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტის დუაიტ ფილი დევისის პირმშოა, რომელმაც 1900 წელს მის მიერვე დაფუძნებულ ტურნირს გარდამავალი ჯილდოს სახით უზარმაზარი ვერცხლის სასალათე მიუძღვნა. ორიოდე სიტყვა ამ იდეის ავტორის შესახებ.



დევისი სენტლუისელი (მისურის შტატი) ჩოგბურთელი გახლდათ. იგი 1899-1901 წლებში ჰოლქოლმბ უორდთან ერთად აშშ ჩემპიონი გახდა წყვილთა თანრიგში, 1923 წელს კი სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციას. მალე მან დიპლომატობა არჩია და ჯერ აშშ სამხედრო მინისტრად (1925 წ.), ხოლო შემდეგ ფილიპინების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვიანებით მოხდა, სტუდენტობისას კი ყველაფერი ერთმა ჩანაფიქრმა გადაწყვიტა – აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გუნდებისათვის დაეარსებინა აფროსანთათვის ამერიკის თასის გათამაშების მსგავსი ასპარეზობა. სწორედ ამ იდეის ხორცშესხმამ გვაჩუქა გამარჯვებულთათვის გარდამავალ პრიზად დამკვიდრებული, მის მიერვე შეძენილი ვერცხლის მოოქროვილი ვეებერთელა სასალათე, რომელიც თავისი ლანგრითა და მოვერცხლილი ხის ორივე სადგარიანად, არც მეტი, არც ნაკლები, 198 (!) კილოგრამს იწონის. სიმბოლურია, რომ მისი პირველი მფლობელი უორდთან და მალქოლმ უაიტმენთან ერთად 1900 წელს თავად დევისი გახდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ბოსტონის კორტზე ინგლისელებს მოუგეს – 3:0.

სულ დევისის თასს დღემდე ათი ტრიუმფატორი ახსოვს: აშშ (33-ჯერ), ავსტრალია (27-ჯერ), დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი (9-9-ჯერ), შვედეთი (7-ჯერ), გერმანია (3-ჯერ), ჩეხოსლოვაკია, იტალია, სამხრეთ აფრიკა და რუსეთი (თითოჯერ).





ახლა კი მოკლედ რეკორდსმენთა თაობაზე.

**გამარჯვებების მხრივ** – როი ემერსონი (ავსტრალია) – 8-ჯერ (1959-62 და 1964-67 წ.წ.).

**ფინალში თამაშის რაოდენობის მხრივ** – ბილ ტოლდენი (აშშ) – 11-ჯერ (1920-30 წ.წ.).

დევისის თასის გათამაშებათა აბსოლუტური რეკორდი ჩატარებული მატჩების რაოდენობით იტალიელ **ნიკოლა პეტრანჯელის** ეკუთვნის – 164 შეხვედრა (1954-72 წ.წ.), რომელთაგანაც 120 მოიგო (78 – ერთეულთა, ხოლო 42 – წყვილთა თანრიგში). სხვათა შორის, ესეც საუკეთესო შედეგებია.

ტურნირის ისტორიამ ასაკობრივი მიღწევებიც შემოგვინახა. კერძოდ, ყველაზე უფროსი – დანიელი ტორბენ ულრიჰი 48 წლისა და 11 თვის იყო, როცა 1977 წელს ბრიუსელში ბელგიელთა წინააღმდეგ ითამაშა, ყველაზე ახალგაზრდა კი არაბეთის გაერთიანებული საამიროების წარმომადგენელი ჰადი ბადრი 14 წლისა და 42 დღისა იცავდა სამშობლოს სპორტულ ღირსებას.

საამაყოა, რომ დევისის თასის გათამაშებაში ომახიანი სიტყვა ქართველებსაც აქვთ ნათქვამი. მათგან განსაკუთრებულად გვესახება ალექსანდრე მეტრეველის მონაგარი – 105 შეხვედრაში მოპოვებული 80 გამარჯვება (56 – ერთეულთა, 24 – წყვილთა თანრიგში), რაც საუკეთესოა ყოფილი სსრ კავშირის ჩოგბურთელთა შორის და მეხუთე – მსოფლიოში. მეტრეველის კიდევ ერთი მიღწევა 1970 წლით თარიღდება – მაშინ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ერთეულთა თანრიგში ერთი შეხვედრაც კი არ წაუგია. დავძენთ, რომ მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია საბჭოთა კავშირის ნაკრების უდიდესი წარმატების მთავარი შემოქმედნიც არიან, რომელმაც 1976 წელს სწორედ მათი წყალობით მიაღწია ნახევარფინალამდე, სადაც შეხვედრა ჩილის გუნდთან პოლიტიკური მოტივით ჩაიშალა.

**გია პლატონიშვილი.**

**სურათებზე: დევისის თასის პირველი მფლობელი – აშშ ნაკრები (შუაში – დუაიტ ფილი დევისი); თეიმურაზ კაკულია (მარცხნივ) და ალექსანდრე მეტრეველი; თამაშობს ნიკოლა პეტრანჯელი.**

ჩემპიონთა ლიგა

# ხვალიდან – 28 მაისამდე




**2003 წლის 28 მაისი. მანჩესტერი. „ოლდ ტრაფორდის" სტადიონი. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი...**

*დიახ, სამიოდე თვეც და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ და პოპულარულ საკლუბო ტურნირს ახალი (იქნებ ძველი?) გამარჯვებული ეყოლება. მანამდე კი...*

*ზამთრის არდადეგების შემდეგ ქერის ორმო (გნებავთ – ფულის მახე) ხვალ წლევანდელი ციკლის აღმართს შეუდგება. გაგიგონიათ, ალბათ, გამეორება ცოდნის დედააო და ჩვენც, ამ შეგონების ერთგულნი, კიდევ ერთხელ გთავაზობთ მომავალ ბატალიათა კალენდარს (II ჯგუფური ეტაპი).*

**„ა" ჯგუფი**

**18 თებერვალი.** „ბარსელონა" – „ინტერი", „ლევერკუზენი" – „ნიუკასლი".

**26 თებერვალი.** „ინტერი" – „ბარსელონა", „ნიუკასლი" – „ლევერკუზენი".

**11 მარტი.** „ბარსელონა" – „ლევერკუზენი", „ინტერი" – „ნიუკასლი".

**19 მარტი.** „ლევერკუზენი" – „ინტერი", „ნიუკასლი – „ბარსელონა".

**„ბ" ჯგუფი**

**18 თებერვალი.** „არსენალი" – „აიაქსი", „რომა" – „ვალენსია".

**26 თებერვალი.** „აიაქსი" – „არსენალი", „ვალენსია – „რომა".

**11 მარტი.** „არსენალი" – „რომა", „აიაქსი" – „ვალენსია".

**19 მარტი.** „ვალენსია" – „არსენალი", „რომა" – „აიაქსი".

**„გ" ჯგუფი**

**19 თებერვალი.** „მილანი" – „ლოკომოტივი", „რეალი" – „ბორუსია".

**25 თებერვალი.** „ბორუსია" – „რეალი", „ლოკომოტივი" – „მილანი".

**12 მარტი.** „ბორუსია" – „ლოკომოტივი", „რეალი" – „მილანი".

**18 მარტი.** „ლოკომოტივი" – „რეალი", „მილანი" – „ბორუსია".



**„დ" ჯგუფი**

**19 თებერვალი.** „ბაზელი" – „დეპორტივო", „მანჩესტერი" – „იუვენტუსი".

**25 თებერვალი.** „დეპორტივო" – „ბაზელი", „იუვენტუსი" – „მანჩესტერი".

**12 მარტი.** „მანჩესტერი" – „ბაზელი", „იუვენტუსი" – „დეპორტივო".

**18 მარტი.** „ბაზელი" – „იუვენტუსი", „დეპორტივო" – „მანჩესტერი".

**მეოთხედფინალები:** 8-9 და 22-23 აპრილი.

**ნახევარფინალები:** 6-7 და 13-14 მაისი.

**ფინალი:** 28 მაისი.

კალათბურთი

# მოზაიკა

წლეულს აპრილში ბარსელონა ევროლიგის ფინალური ოთხეულის შეხვედრებს უმასპინძლებს. ამ დღეებში კატალონიის დედაქალაქში მოეწყო კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მეორე ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც ელიტური საზოგადოება ასეთ კვარტეტებად დაჰყო:

**„ა" ჯგუფი.** ცსკა, „ეფესი", „უნიკახა", „ციბონა".

**„ბ" ჯგუფი.** „პანათინაიკოსი", „ულქერი", „სკიპერი", „სიენა".

**„გ" ჯგუფი.** „ბენეტონი", „ტაუგრესი", „ვირტუსი", „მაქაბი".

**„დ" ჯგუფი.** „ბარსელონა", „ოლიმპია", „ოლიმპიაკოსი", „ვილერბანი".

შეგახსენებთ, რომ „ბენეტონში" მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობს, „ოლიმპიას" სპორტულ ღირსებას კი ვლადიმერ ბოისა იცავს.

* * *

გრძელდება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) რეგულარული სეზონი. გაუწყებთ ამ დღეებში გამართული მატჩების შედეგებს:

„ინდიანა" – „ატლანტა" 98:96 (დამატებით დროში), „ნიუ ჯერსი" – „ჩიკაგო" 90:72, „მინესოტა" – „ნიუ ორლეანი" 114:93, „მემფსი" – „დალასი" 103:110, „ტორონტო" – „გოლდენ სტეიტი" 114:118 (დამატებით დროში), „ფილადელფია" – „ორლანდო" 99:98, „ჰიუსტონი" – „მაიამი" 82:94, „მილუოკი" – „დეტროიტი" 96:86, „ფენიქსი" – „ნი-იორკი" 115:116, „საკრამენტო" – „სიეტლი" 110:81, „ლეიკერსი" – „სან ანტონიო" 95:103.

სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

**დასავლეთი კონფერენცია**

**შუადასავლეთის დივიზიონი.** „დალასი" – 38 მოგება, 9 წაგება; „სან ანტონიო" – 31 მოგება, 16 წაგება; „იუტა" – 28 მოგება, 20 წაგება; „მინესოტა" – 28 მოგება, 20 წაგება; „ჰიუსტონი" – 26 მოგება, 20 წაგება; „მემფისი" – 13 მოგება, 34 წაგება; „დენვერი" – 11 მოგება, 36 წაგება.





**წყნარი ოკეანის დივიზიონი.** „საკრამენტო" 33 მოგება, 16 წაგება, „პორტლენდი" – 30 მოგება, 16 წაგება; „ფენიქსი" – 29 მოგება, 21 წაგება; „ლეიკერსი" – 22 მოგება, 23 წაგება; „სიეტლი" – 21 მოგება, 25 წაგება, „გოლდენ სტეიტი" – 21 მოგება, 26 წაგება.

**აღმოსავლეთი კონფერენციას**

**ატლანტის დივიზიონი.** „ნიუ ჯერსი" – 33 მოგება, 15 წაგება; „ბოსტონი" – 26 მოგება, 22 წაგება; „ფილადელფია" – 25 მოგება, 23 წაგება; „ორლანდო" – 24 მოგება, 25 წაგება; „ვაშინგტონი" – 23 მოგება, 25 წაგება; „ნიუ იორკი" – 20 მოგება, 26 წაგება; „მაიამი" – 17 მოგება, 31 წაგება.

**ცენტრალური დივიზიონი.** „ინდიანა" – 34 მოგება, 14 წაგება; „დეტროიტი" – 31 მოგება, 15 წაგება; „მილუოკი" – 29 მოგება, 22 წაგება; „ნიუ ორლეანი" – 25 მოგება, 24 წაგება; „ატლანტა" – 19 მოგება, 30 წაგება; „ჩიკაგო" – 17 მოგება, 31 წაგება; „ტორონტო" – 13 მოგება, 34 წაგება; „კლივლენდი" – 9 მოგება, 39 წაგება.

**სურათებზე: პირველი ქართველი პროფესიონალები ვლადიმერ სტეფანია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი ნბას გაუშინაურდნენ.**

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების რკინიგზელთა ერთი ჯგუფი მარცხნიდან: პირველ რიგში: მიხეილ კოპალეიშვილი, ანატოლი ცხომარია, ბადრი პაპავა. მეორე რიგში: აკაკი წილოსანი, ჟორა კიკალიშვილი.

გადაღებულია 1980 წელს. სამტრედია.

მოგვაწოდა ჟორა კიკალიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## მსოფლიო შტრიხებში

# ალენ დელონი აკლდამას იმზადებს?

კინომოყვარულთა და, არა მარტო მათი, კერპი, ფრანგი მსახიობი ალენ დელონი, რომელიც უკვე 67 წლისაა, ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ფიქრობს სიკვდილზე, თუმცა იმასაც ამბობს, რომ მისი სულაც არ ეშინია. „ვიმედოვნებ, – ამბობს იგი, – რომ საკმაოდ დიდხანს ვიცოცხლებ, რათა უზრუნველვყო ჩემი შვილები ყოველივე აუცილებელით. შემდეგ კი...“



ვინაიდან გასული წლის ბოლოს მისი თანამგზავრი როზალია (15 წელი რომ ერთად გაატარეს) სხვაზე გათხოვდა, სახელგანთქმულ მსახიობს მოუწევს ორ შვილზე – 12 წლის ანუშკასა და 8 წლის ალენ-ფაბიენზე ზრუნვაც. თანაც მარტო მათზე კი არა – მის შვეიცარიულ მამულში ხომ 12 ძაღლი და ავარიაში დასახიჩრებული სამფეხა კატაც ცხოვრობს. მსახიობი, ბოლოს და ბოლოს, შეურიგდა თავის უფროს 38 წლის ვაჟიშვილსაც, რომელსაც 2 შვილი ჰყავს. ახლა ალენის მცირეწლოვანი შვილები და თითქმის მათი თანატოლი შვილიშვილები ხშირად ერთად ატარებენ დროს.

„დღეს ყველაზე მეტად იმისი მეშინია, რომ ვერ ვნახავ, თუ როგორებად გაიზრდებიან ჩემი შვილები, – ამბობს კინოვარსკვლავი, – მე იმდენად არ მეშინია ამ ცხოვრებიდან წასვლისა, რამდენადაც მათი დატოვებისა. ამიტომაც მინდოდა, რომ ისინი უფრო სწრაფად იზრდებოდნენ, ვიდრე მე ვბერდები“.

მართალია, საქვეყნოდ ცნობილმა მსახიობმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ კინოში აღარ ითამაშებდა, მაგრამ „სიტყვა გატეხა“ – ისევ იღებენ ტელესერიალში „ლომი“.

ჟურნალ „პარი-მატჩის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მსახიობი ამბობს: „მინდა ამ ცხოვრებიდან წავიდე ვალმოხდილის გრძნობით, მაგრამ არ მინდა მარტოობაში სიკვდილი. ვოცნებობ, რომ ეს ცხოვრება დავტოვო საკუთარ ლოგინში, ახლობელი ადამიანებით გარშემორტყმულმა. ვიმედოვნებ, რომ ასეთი სიკვდილი „გამომივა“. ამიტომაც გადავწყვიტე იმაზე ზრუნვაც, რათა დამკრძალონ ჩემს მამულში-დუშიში“. მან ადგილიც შეარჩია, საჭირო საბუთებიც მოაგროვა და პრეფექტურას წარუდგინა. საკუთარი ანდერძის მიხედვით, მსახიობს განსასვენებლად მიაბარებენ მისი საყვარელი ძაღლების საფლავებით გარშემორტყმულ აკლდამაში, ხოლო მისი თაყვანისმცემლებისათვის საგანგებოდ დატოვებენ ბილიკს, რომლითაც ისინი მის სამარესთან მივლენ ისევე, როგორც თავად დელონი დადიოდა ჟერარ ფილიპის საფლავზე.

## ღიმილის დოზა



უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდნენ: 2 იტალიელი მამაკაცი და ერთი იტალიელი ქალი; 2 გერმანელი მამაკაცი და ერთი გერმანელი ქალი; 2 ბერძენი მამაკაცი და ერთი ბერძენი ქალი; 2 ინგლისელი მამაკაცი და ერთი ინგლისელი ქალი; 2 ბულგარელი მამაკაცი და ერთი ბულგარელი ქალი; 2 შოტლანდიელი მამაკაცი და ერთი შოტლანდიელი ქალი; 2 შვედი მამაკაცი და ერთი შვედი ქალი; 2 ირლანდიელი მამაკაცი და ერთი ირლანდიელი ქალი და, რა თქმა უნდა, 2 რუსი მამაკაცი და ერთი რუსი ქალი.

გავიდა თვე...

ერთმა იტალიელმა მეორე მოკლა ქალის გამო.

ფრანგები ერთად ცხოვრობენ მეგობრულად და თანხმობით.

გერმანელებმა შეადგინეს განრიგი — ვინ და როდის დაწვება ქალთან.

ბერძენი კაცები ერთმანეთთან წვებიან, ქალი კი ურეცხავს და სადილებს უმზადებს ორივეს.

ინგლისელები, ჩვეულებისამებრ, ელოდებიან, როდის გააცნობენ ქალს.

ორივე ბულგარელმა გახედა უნაპირო ოკეანეს, შემდეგ ბულგარელ ქალს, გადახტნენ წყალში და გაცურეს გაურკვეველი მიმართულებით.

შოტლანდიელები ერთად დასახლდნენ. მამაკაცები ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, რადგან ასე უფრო იაფია.

ორივე შვედი თვითმკვლელობის უპირატესობაზე ფიქრობს, სანამ მათი ქალი მსჯელობს იმაზე, რომ მისი სხეული მისი საკუთრებაა და, აგრეთვე, ფემინიზმის ჭეშმარიტ ბუნებაზე.

ირლანდიელები კუნძულის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად დაყოფას შეუდგნენ და დაიწყეს ვისკის გამოხდა. მათ უკვე აღარ ახსოვთ, რა არის სექსი, რადგან დალეულმა ვისკიმ გააბრუა, სამაგიეროდ არ ავიწყდებათ, რომ ინგლისელებს საქმე აწყობილი არა აქვთ.

ერთმა რუსმა რუსის ქალი მოიყვანა ცოლად და იქვე გაეყარა. მას შემდეგ იგი ირლანდიელთა ლუდხანის საუკეთესო კლიენტია.

მეორე რუსმა ფული გააკეთა ერთი იტალიელის მკვლელობასა და ბულგარელებისათვის გასამგზავრებელი ვიზის შოვნაზე. ამჟამად იგი რეგულარულად დადის შვედ ქალთან ინგლისურის შესწავლის მიზნით.

ამასობაში, ფრანგები დარწმუნებულები არიან, რომ იმ კუნძულზე მარტონი ცხოვრობენ.

## მოდა

# ურჩ დიზაინერებს ებრძვიან...

ნიუ-იორკში ამ სეზონის ტრადიციული მოდის კვირეული დაიწყო და უკვე ორი ჩვენება გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ცხოველების დამცველთა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ტანსაცმლის შესაქმნელად ბეწვეულისა და ტყავის გამოყენება საგრძნობლად შემცირდა, მაინც, ამ სეზონისთვის, ბუნებრივი ბეწვი მოდის უკანასკნელი გამოძახილია.

წლევანდელი ზამთრისთვის წამყვანმა დიზაინერებმა, ბეწვეულზე მუშაობისას, რამდენიმე მიმართულება შეარჩიეს: აღმოსავლური ტრადიციების შერწყმა თანამედროვეობასთან; მოდერნისტული, რომელიც 70-იანი წლების ბეწვეულის მოდას მოგვაგონებს და რევოლუციური, ანუ ჰიპური – წავის ბეწვისგან შექმნილი უცნაური სტილის ქურქები. სწორედ ამიტომ, ნიუ-იორკის ამჟამინდელ კვირეულს ცხოველთა სამყაროს დამცველებიც შეუერთდნენ. ორგანიზაცია „პეტამ“ მოდის მიმდევართ საკუთარი კოლექცია შესთავაზა, მათ ძვირფასი ტყავეულისა და ბეწვეულის ნაცვლად, რეზინისგან შეკერილი ტანსაცმელი წარმოადგინა. ჩვენებას „პეტას“ ვიცე-პრეზიდენტიც ესწრებოდა, იგი უჩვეულო მასალისგან შექმნილი კოლექციით აღფრთოვანებული ამბობდა: – რეზინი უფრო გამძლეა, ვიდრე ტყავი, ამიტომ ყველა დიზაინერს მის გამოყენებას ვურჩევო, ხოლო მათ, ვინც კვლავ ბუნებრივ მასალას მიანიჭებს უპირატესობას, ცხოველების მოყვარული საპროტესტო აქციებით დაემუქრა.

ნიუ-იორკის მოდის კვირეული, ამჟამად ერთ-ერთმა ყველაზე მოდურმა დიზაინერმა ნარცისო როდრიგესმა ულამაზეს შოუდ გადააქცია. მან ჩვეული სიფაქიზით შეარჩია მსოფლიოს ცნობილი მანაკენები, რომელთაც მოდელების წარმოჩენა მიანდო. მის შემოქმედებაში, ძირითადად, სადა, კლასიკური სტილი, ამასთანავე, შავი და თეთრი ფერი დომინირებდა.

ცხოველთა სამყაროს დამცველები მოდის სხვა ჩვენებებშიც აპირებენ მონაწილეობას. ამჯერად ისინი განსაკუთრებული აქტივობით ებრძვიან ურჩ დიზაინერებს, რომლებიც ჯიუტად ცდილობენ თავიანთ შემოქმედებაში კვლავ ნატურალური ბეწვი, ან ტყავი გამოიყენონ. თუმცა, საეჭვოა, ყოვლისშემძლე მაღალი მოდის სამყაროზე მათმა თავგამოდებულმა ბრძოლამ გავლენა იქონიოს.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე:** მოდელები ნიუ-იორკის პოდიუმზე.





## სოციალური გამოკითხვა

# რა არის საჭირო ბედნიერი ქორწინებისათვის

### შესაძლოთა პასუხის რამდენიმე ვარიანტი

70,9 პროცენტი – ცოლ-ქმრული ერთგულება

67,7 პროცენტი – პატივისცემა და თანადგომა

61,20 პროცენტი – მოთმინება

53,4 პროცენტი – კარგი შემოსავალი

47,4 პროცენტი – სექსუალური ჰარმონია

44,5 პროცენტი – კარგი საცხოვრებელი პირობები

11,1 პროცენტი – ერთი რელიგიური რწმენა

9,3 პროცენტი – თანაბარი სოციალური წარმოშობა

3 პროცენტი – თანხმობა პოლიტიკის საკითხებში.



ROMIR Monitoring-ის მონაცემებით.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge